**215. კლასტერების განვითარების ხელშეწყობა დამახასიათებელია:**

პირველ სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეორე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მესამე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეოთხე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის

**216. უცხოური ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მოზიდვა დამახასიათებელია:**

პირველ სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეორე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მესამე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეოთხე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის

**217. კლასტერების განვითარების შემდგომი გაძლიერება დამახასიათებელია:**

პირველ სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეორე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მესამე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეოთხე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის

**218. მსოფლიო დონის კვლევითი რესურსების (ორგანიზაციები, ინფრასტრუქტურა, სამუშაო ძალა და სხვა) შექმნა დამახასიათებელია:**

პირველ სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეორე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მესამე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის  
მეოთხე სტადიაზე მყოფი ეკონომიკისათვის

**219. რამდენი სახისაა ინვესტიცია?**

ორი  
ხუთი  
ოთხი  
ექვსი

**220. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არ ხორციელდება:**

ფასიანი ქაღალდების პასიური ფლობით  
კომპანიის ან მისი საწარმოო სიმძლავრეების ფლობით  
მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით  
პარტნიორთან ერთად ერთობლივი (ზიარი) საწარმოს გახსნით

**221. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მთავარი მიზანია:**

მოგების მიღება  
შრომის ნაყოფიერების ამაღლება  
რენტაბელობის დონის გადიდება  
თვითღირებულების შემცირება

**222. რომელ კონცეფციას ეფუძნება ინტერნაციონალიზაციის თეორია?**

წმინდა მოგების  
მიმდინარე აქტივების  
ტრანსაქციური დანახარჯების;  
საერთაშორისო ვაჭრობის

**223. რამდენი ალტერნატიული ასპექტით განიხილავს ეკლექტიკური მოდელი უცხოეთში ეკონომიკურ საქმიანობას?**

ორი  
სამი  
ხუთი

- 224. რომელი ალტერნატიული ასპექტით განიხილავს ეკლექტიკური მოდელი უცხოეთში ეკონომიკურ საქმიანობას (საერთაშორისო ბიზნესს)?**  
უპირატესობა ფასიანი აქტივების ფლობით  
უპირატესობა საწარმოო სიმძლავრეების უცხოეთში გატანით  
უპირატესობა პროდუქციის წარმოების ინტერნალიზაციით  
ყველა პასუხი სწორია
- 225. ეკლექტიკური მოდელის თანახმად, უცხოეთში კაპიტალის პირდაპირი დაბანდება გავლენას:**  
ახდენს როგორც კომპანიის საერთაშორისო კომერციულ, ისე შიდაკორპორაციულ შედეგებზე  
ახდენს მხოლოდ კომპანიის საერთაშორისო კომერციულ შედეგებზე  
არ ახდენს კომპანიის საერთაშორისო კომერციულ შედეგებზე  
არ ახდენს კომპანიის შიდაკორპორაციულ შედეგებზე
- 226. ეკლექტიკური მოდელის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მეშვეობით საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა მიზანშეწონილია, თუ არსებობს:**  
უნიკალური აქტივების (სავაჭრო მარკა, პატენტი) ფლობით მიღებული კონკურენტული უპირატესობა  
საინვესტიციო ქვეყანაში ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენებით, ასევე სპეციალური შეღავათებისა და ტარიფების არსებობით მიღებული უპირატესობა  
ბიზნესის ინტერნალიზაციით მიღებული უპირატესობა  
ყველა პასუხი სწორია
- 227. საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიების გამოყენებით, ინგლისელმა მკვლევარმა ალფრედ მარშალმა განსაკუთრებით რისი როლი გამოჰყო ახალი კონცეფციების ჩამოსაყალიბებლად?**  
მიწოდების როლი  
მოთხოვნის როლი  
წარმოების როლი  
კვლავწარმოების როლი
- 228. ინგლისელმა მკვლევარმა ალფრედ მარშალმა ახალი კონცეფციების ჩამოსაყალიბებლად, მიიჩნია, რომ:**  
მოცემული ქვეყნის საქონელზე საერთაშორისო მოთხოვნა გაიზრდება, თუ ეს ქვეყანა მომხმარებელს უფრო კეთილსასურველ პირობებს შესთავაზებს  
მოცემული ქვეყნის საქონელზე საერთაშორისო მოთხოვნა გაიზრდება, თუ ეს ქვეყანა მომხმარებელს საკუთარ მოთხოვნებს იძულებით თავს მოახვევს  
მოცემული ქვეყნის საქონელზე საერთაშორისო მოთხოვნა შემცირდება, თუ ეს ქვეყანა მომხმარებელს სასურველ გარანტიებს შესთავაზებს  
არცერთი პასუხი არ არის სწორი
- 229. პორტერის მიხედვით, კონკურენტულ ურთიერთობაში ის ქვეყანა იმარჯვებს, რომელიც ოპერატიულად ითვისებს:**  
კერძო საკუთრებას  
ინტელექტუალურ საკუთრებას  
სახელმწიფო საკუთრებას  
კერძო და სახელმწიფო საკუთრებას
- 230. რას ემყარება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა:**  
შრომის საერთაშორისო დანაწილებას  
წარმოების სპეციალიზაციას  
სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას  
ყველა პასუხი სწორია
- 231. რაზეა დამოკიდებული საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება?**

ქვეყნის ბუნებრივ და შექმნილ ფაქტორებზე  
სოციალურ და სამართლებრივ პირობებზე  
პოლიტიკურ და სამართლებრივ პირობებზე  
ყველა პასუხი სწორია

**232. მსოფლიო ქვეყნების ეროვნული ეკონომიკები სამეურნეო კავშირებით ურთიერთდაკავშირებულია, რაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთიან სისტემას ქმნის. რაში ვლინდება ქვეყნებს შორის ეს სამეურნეო კავშირები?**

საქონლისა და მომსახურების ტრანსსასაზღვრო მოძრაობაში  
ფინანსების ტრანსსასაზღვრო მოძრაობაში  
ინვესტიციებისა და სამუშაო ძალის ტრანსსასაზღვრო მოძრაობაში  
ყველა პასუხი სწორია

**233. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებია:**

საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობა  
წარმოების ფაქტორების (კაპიტალი, სამუშაო ძალა, ტექნოლოგიები) საერთაშორისო მოძრაობა  
ფინანსური ინსტრუმენტებით (ვალუტა, ფასიანი ქაღალდები, კრედიტები) საერთაშორისო ვაჭრობა  
ყველა პასუხი სწორია

**234. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფორმა არ არის:**

საქონლისა და მომსახურების ვაჭრობა  
წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა  
ფინანსური ინსტრუმენტებით საერთაშორისო ვაჭრობა  
საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნა

**235. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ნიშნებია:**

მსოფლიო სასაქონლო, საფინანსო და სავალუტო ბაზრებზე მწვავე კონკურენციის წარმოქმნა  
სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმებით ურთიერთობა  
საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნა  
ყველა პასუხი სწორია

**236. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ნიშანი არ არის:**

მსოფლიო სასაქონლო, საფინანსო და სავალუტო ბაზრებზე მწვავე კონკურენციის წარმოქმნა  
სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმებით ურთიერთობა  
ტნკ-ის გავლენით, კონკურენტულ ურთიერთობებში ანტიმონოპოლიური მიდრეკილების ჩამოყალიბება  
საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნა

**საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მთავარ პრინციპად ითვლება:**

მარკეტინგული მიდგომა  
კორპორაციული მიდგომა  
მიმზიდველობის მიდგომა  
რენტაბელურობის გადიდების მიდგომა

**237. ეკონომიკური ურთიერთობის უპირველესი ობიექტებია:**

საქონელი და მომსახურება  
საერთაშორისო ორგანიზაციები  
სახელმწიფო ორგანოები და საწარმოები  
კერძო ფირმები

**238. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტები არ არის:**

საერთაშორისო ორგანიზაციები  
საქონელი და მომსახურება

სახელმწიფო ორგანოები და საწარმოები (საჯარო სამართლის იურიდიული პირები)  
კერძო ფირმები (კერძო სამართლის იურიდიული პირები)

**239. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაზე მოქმედები ფაქტორებია:**

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება  
გარემომცველ გარემოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები  
მოსახლეობის მუდმივი გადაადგილება  
ყველა პასუხი სწორია

**240. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაზე მოქმედები ფაქტორებია: 75-76**

მოსახლეობის დროებითი გადაადგილება  
საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლის შემცირება  
ეკონომიკური ურთიერთდაკავშირებულობა  
მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავების შემცირება

**241. რომელი მაჩვენებელი ასახავს მსოფლიო მეურნეობაში ეროვნულ ეკონომიკათა ინტეგრაციას?**

საგარეო ვაჭრობის მოცულობა/მშპ-ის მოცულობა X 100%  
საგარეო ვაჭრობის მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა  
პუი-ს მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა  
ექსპორტის მოცულობა/მშპ-ის მოცულობა

**242. რომელი მაჩვენებელი ასახავს ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების შემოტანისა და საზღვარგარეთ ეროვნული ინვესტიციების გატანის კვტებს?**

პუი-ს მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა  
ექსპორტის მოცულობა/ მშპ-ის მოცულობა  
ინვესტიციების მოცულობა/ეროვნული კაპიტალის მოცულობა X 100%  
იმპორტის მოცულობა/საქონელბრუნვის მოცულობა X 100%

**243. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ზემოქმედების მახასიათებლად გამოყენებულია იმპორტის პროცენტული წილი ქვეყნის მთლიან შიდა საქონელბრუნვაში, რომელიც გაიანგარიშება შეფარდებით:**

საგარეო ვაჭრობის მოცულობა/მშპ-ის მოცულობა X 100%  
საგარეო ვაჭრობის მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა  
პუი-ს მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა  
იმპორტის მოცულობა/საქონელბრუნვის მოცულობა X 100%

### თემა 3. საერთაშორისო ვაჭრობა

**244. საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტია:**

მატერიალური ნივთები  
მომსახურება  
ინტელექტუალური საკუთრება  
ყველა პასუხი სწორია

**245. საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი არ არის:**

მზა პროდუქცია  
საარქივო მასალები  
ტურისტული მომსახურება  
ინტელექტუალური საკუთრება

**246. საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი არ არის:**

- სატრანსპორტო მომსახურება
- მანქანა-მოწყობილობები
- ისტორიულ-კულტურული ძეგლები
- პატენტები

**247. საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი არ არის:**

- შრომითი რესურსები
- სადაზღვევო მომსახურება
- სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურება
- საავტორო უფლება

**248. საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი არ არის:**

- საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურება
- პირადი და საოჯახო მოხმარების საგნები
- საფინანსო-საკრედიტო მომსახურება
- ნედლეული

**249. რა ეწოდება ისეთ ბაზარს, როცა წარმოებული საქონელი მის მწარმოებელ ქვეყანაში იყიდება?**

- შიდა ბაზარი
- ეროვნული ბაზარი
- საერთაშორისო ბაზარი
- მსოფლიო ბაზარი

**250. რა ეწოდება ისეთ ბაზარს, როცა წარმოებული საქონლის მცირე ნაწილია უცხოელ მყიდველებზე ორიენტირებული?**

- შიდა ბაზარი
- ეროვნული ბაზარი
- საერთაშორისო ბაზარი
- მსოფლიო ბაზარი

**251. რა ეწოდება ისეთ ბაზარს, როცა ეროვნული ბაზრის ნაწილი უშუალოდ უცხოურთან დაკავშირებულია?**

- შიდა ბაზარი
- ეროვნული ბაზარი
- საერთაშორისო ბაზარი
- მსოფლიო ბაზარი

**252. რა ეწოდება ისეთ ბაზარს, როცა იგი ქვეყნებს შორის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ისეთი სფეროა, რომელიც მთლიანად შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე და წარმოების ფაქტორების გადაადგილებაზეა დამოკიდებული?**

- შიდა ბაზარი
- ეროვნული ბაზარი
- საერთაშორისო ბაზარი
- მსოფლიო ბაზარი

**253. რამდენი შემხვედრი სასაქონლო ნაკადისაგან შედგება საერთაშორისო ვაჭრობა?**

- ორი
- სამი
- ოთხი
- ხუთი

**254. ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი მოცულობების ჯამს ეწოდება:**

- საგარეო-სავაჭრო ბრუნვა
- საგარეო-სავაჭრო სალდო
- საგარეო-სავაჭრო ოფერტა
- საგარეო-სავაჭრო აქცეპტი



**255. ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებით მოცულობებს შორის სხვაობას ეწოდება:**

- საგარეო-სავაჭრო კვოტა
- საგარეო-სავაჭრო სალდო
- საგარეო-სავაჭრო ოფერტა
- საგარეო-სავაჭრო აქცეპტი

**256. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებია:**

- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება
- ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა
- სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება
- ყველა პასუხი სწორია

**257. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებია:**

- მსოფლიო ბაზარზე ტნკ-ის საქმიანობის გააქტიურება
- საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია
- სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება
- ყველა პასუხი სწორია

**258. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე არ მოქმედებს:**

- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება
- ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა
- სახელმწიფოთა სივრცობრივი დაშორება
- სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება

**259. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე არ მოქმედებს:**

- ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა
- მსოფლიო არენაზე „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ საქმიანობის გააქტიურება
- საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია
- სასაქონლო ნომენკლატურისა და საქონელნაკადების გავრცელების გეოგრაფია

**260. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე არ მოქმედებს:**

- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება
- მსოფლიო ბაზარზე ტნკ-ის საქმიანობის გააქტიურება
- საავტორო უფლებების გადაცემა
- სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება

**261. მაღალგანვითარებული ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაში არ შეიმჩნევა:**

- მზა პროდუქციის ექსპორტის სიჭარბე მისივე იმპორტთან
- მზა პროდუქციის ხვედრითი წილის შემცირება
- სათბობის იმპორტის მეტობა მისივე ექსპორტთან
- ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტისა და ექსპორტის ხვედრითი წილების დაახლოება

**262. მსოფლიო ვაჭრობის მთლიან მოცულობაში, „შემხვედრ“ ვაჭრობას, დაახლოებით, უკავია:**

- 5-10%
- 10-15%
- 15-20%
- 20-30%

**263. საგარეო ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის მეთოდებიდან რომელ მათგანს ექცევა დღეს მეორეხარისხოვანი ყურადღება?**

- პროდუქციის ხარისხს
- საფასო კონკურენციას
- ტექნიკური სიახლეს და საიმედოობას
- დიზაინსა და ეკოლოგიურობას

**264. საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრობლემა არ არის:**

ნედლეულსა და მასალეზზე ფასების გადიდების მოთხოვნა  
სავაჭრო უთანხმოება განვითარებულ ქვეყნებს შორის  
„ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან“ სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი  
სავაჭრო უთანხმოება განვითარებად ქვეყნებს შორის

**265. დაახლოებით რამდენ პროცენტს შეადგენს მსოფლიო ექსპორტის საერთო მოცულობაში „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ სასაქონლო ექსპორტი?**

- 10%-მდე
- 15%-მდე
- 20%-მდე
- 25%-მდე

**266. ვმო-ს დამფუძნებელი მარაქემის შეთანხმება გაფორმდა:**

- 1990 წელს
- 1991 წელს
- 1993 წელს
- 1994 წელს

**267. ვმო-ს შტაბ-ბინა მდებარეობს:**

- მადრიდში (ესპანეთი)
- პარიზში (საფრანგეთი)
- ჟენევაში (შვეიცარია)
- ლონდონში (დიდი ბრიტანეთი)

**268. ვმო-ის ძირითადი მიზანია:**

- კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში ყველა ქვეყნის მეწარმისათვის ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა
- საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შემცირება
- საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენციის შემცირება
- საერთაშორისო ვაჭრობაში ერთიანი ვალუტის დაწესება

**269. ვმო-ს ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპი არ არის:**

- დისკრიმინაციის გარეშე ვაჭრობა
- მრავალმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე საგარეო ვაჭრობის განვითარების დაგეგმვა
- ურთიერთდათმობათა მეშვეობით კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება
- წარმატებული კომპანიების საქმიანობის სტიმულირება

**270. ვმო-ს ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპი არ არის:**

- კონსულტაციებითა და მოლაპარაკებებით დავების გადაწყვეტა
- შიდა ბაზრის დასაცავად, უპირატესად, არასატარიფო მეთოდების გამოყენება
- პრეფერენციული რეჟიმის გავრცელება
- იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის თანაბარი უფლებებითა და პირობებით უზრუნველყოფა

**271. როგორი სამართალი აქვს ვმო-ს?**

- იერარქიული
- „რბილი“
- დემოკრატიული
- სოციალისტური

**272. გადაწყვეტილების მიღებაში ვმო ვალდებულია გამოიყენოს:**

- კონსენსუსის პრინციპი
- ზედამხედველობის პრინციპი
- თანამშრომლობის პრინციპი
- ვალდებულების შესრულების პრინციპი

**273. მმართველობის რომელი დროებითი ორგანო ხელმძღვანელობს ვმო-ს?**

მინისტრების კონფერენცია  
გენერალური საბჭო  
სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობის ორგანო  
დავების გადაწყვეტის ორგანო

**274. რამდენი მუდმივმოქმედი ორგანო მართავს ვმო-ს?**

ორი  
სამი  
ოთხი  
არც ერთი

**275. ვმო-ს მართვის მუდმივმოქმედი ორგანოებია:**

გენერალური საბჭო  
დავების გადაწყვეტის ორგანო  
სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობის ორგანო  
ყველა პასუხი სწორია

**276. ვმო-ში ახალი წევრის მიღების გადაწყვეტილებას მინისტრთა კონფერენცია ამტკიცებს:**

მარტივი უმრავლესობით  
კვალიფიციური უმრავლესობით (2/3+1 ხმა)  
კვალიფიციური უმრავლესობით (3/4+1 ხმა)  
100%-ანი თანხმობით

**277. ვმო არის:**

საერთაშორისო ვაჭრობის „საერთო ინსტიტუციონალური სტრუქტურა“  
მრავალმხრივი მოლაპარაკებების ერთიანი ფორუმი  
საერთაშორისო სავაჭრო სისტემის მართვის ორგანო  
ყველა პასუხი სწორია

**278. ვმო-ს ძირითადი ფუნქცია არ არის:**

მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების წარმართვა  
ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დავების სამართლებრივად მოგვარება  
ცალკეული ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრა  
მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა

**279. ვმო-ს ძირითადი ფუნქცია არ არის:**

საერთაშორისო ვაჭრობაში მოქმედი ბარიერებისა და დისკრიმინაციის აღსაკვეთად სამართლებრივი ბაზის შემუშავება  
მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების წარმართვა  
საგარეო-სავაჭრო ტარიფების შემცირება  
ვმო-ს წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა

**280. საქართველო ვმო-ში გაწევრიანდა:**

1990 წელს  
1995 წელს  
2000 წელს  
2005 წელს

**281. რომელი პასუხია არასწორი? ვმო-ში საქართველოს გაწევრიანებით:**

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო ნორმებთან უფრო ჰარმონიული ხდება  
იმპორტულ პროდუქციაზე სატარიფო განაკვეთები გაიზარდება  
უმჯობესდება საინვესტიციო კლიმატი  
უმჯობესდება ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა

**282. საერთაშორისო სავაჭრო სისტემის მთავარი ინსტიტუციონალურ-სუბიექტური კომპონენტებია:**

საჯარო პირები  
სახელმწიფოთა ინტეგრაციული გაერთიანებები  
არასამთავრობო ორგანიზაციები  
ყველა პასუხი სწორია

**283. საერთაშორისო სავაჭრო სისტემის მთავარი მარეგულირებელი კომპონენტებია:**

საერთაშორისო ვაჭრობის სამართალი  
სახელმწიფოთა შიდა სამართალი  
ტრანსნაციონალური სამართალი  
ყველა პასუხი სწორია

**284. საერთაშორისო სავაჭრო სისტემის მთავარი ფუნქციური კომპონენტებია:**

სამართლებრივი და პოლიტიკური რეგულირების მეთოდები  
სახელმწიფოთა ორმხრივი რეგულირების მეთოდები  
სახელმწიფოთა მრავალმხრივი რეგულირების მეთოდები  
ყველა პასუხი სწორია

**285. საერთაშორისო სავაჭრო სისტემის იდეოლოგიური მთავარი კომპონენტებია:**

საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური დოქტრინები  
საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური კონცეფციები  
საერთაშორისო სამართალშეგნება  
ყველა პასუხი სწორია

**286. რას ეფუძნება საერთაშორისო ეკონომიკური მართლწესრიგი?**

ეკონომიკის ლიბერალურ-საბაზრო ფასეულობებს  
საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციას  
საერთაშორისო ინვესტიციების რეგულირებას  
საერთაშორისო მიგრაციის გამკაცრებას

**287. სავაჭრო სისტემაში სახელმწიფო სამართლებრივი რეგულირების რამდენი მეთოდი გამოიყენება?**

ერთი მეთოდი  
ორი მეთოდი  
სამი მეთოდი  
ოთხი მეთოდი

**288. ვმო-ს სამართლის თავისებურება არ არის:**

სამართლებრივი მექანიზმის უნიკალურობა  
სამართლებრივი ნორმების იმპერატიულობა  
განვითარებადი ქვეყნების შიდასამართლებრივი კანონმდებლობის ცვლილება  
გადაწყვეტილების მისაღებად კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით ხელმძღვანელობა

**289. ვმო-ს სამართლის პრინციპი არ არის:**

არადისკრიმინაციის პრინციპი  
სავაჭრო ტარიფების გადიდების პრინციპი  
უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი  
ეროვნული რეჟიმის მინიჭების პრინციპი

**290. რა სამართლებრივი სტატუსი აქვს ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კონფერენციას – იუნკტადს?**

გაეროს გენერალური ასამბლეის მუდმივი ორგანოს  
არასამთავრობო ორგანიზაციის  
გაეროს კონსულტაციური ორგანოს  
სახელმწიფოთაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციის

**291. ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კონფერენციის შტაბ-ბინა მდებარეობს:**

- ჟენევაში (შვეიცარია)
- ვაშინგტონში (აშშ)
- ნიუ-იორკში (აშშ)
- პარიზში (საფრანგეთი)

**292. რომელმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დაამუშავა სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტია?**

- ემო-მ
- იუნკტადმა
- უნიდრუამ
- იუნსიტრალმა

**293. საერთაშორისო მნიშვნელობის რომელი დოკუმენტი არ არის იუნკტადის მიერ მომზადებული?**

- სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტია
- ვენის 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“
- დეკლარაცია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ
- დეკლარაცია ეკონომიკური ძალდატანების ღონისძიებათა უარყოფის შესახებ

**294. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (იუნკტადის) მიზნებია:**

- განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარების დაჩქარება
- განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებების შემცირება
- ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოსათვის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემის გაუმჯობესება
- ყველა პასუხი სწორია

**295. იუნკტადის მიერ დამუშავებული გაეროს რეზოლუცია არ არის:**

- სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტია
- დეკლარაცია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ
- დეკლარაცია ეკონომიკური ძალდატანების ღონისძიებათა უარყოფის შესახებ
- დეკლარაცია სახელმწიფოთა სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ

**296. საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიას შემოკლებით ეწოდება:**

- იუნკტადი
- იუნსიტრალი
- პროონი
- იუნისეფი

**297. რა სამართლებრივი სტატუსი აქვს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიას?**

- გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო
- გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია
- სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია
- გაეროს კონსულტაციური ორგანო

**298. საერთაშორისო მნიშვნელობის რომელი დოკუმენტი არ არის იუნსიტრალის მიერ მომზადებული?**

- „საერთაშორისო გადასაგზავნი თამასუქისა და საერთაშორისო მარტივი თამასუქის შესახებ“
- კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“
- დეკლარაცია „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ“
- ტიპური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“

**299. რომელ წელს შეიქმნა საერთაშორისო სავაჭრო პალატა და სად მდებარეობს მისი შტაბ-ბინა?**

- 1990 წელს, ჟენევაში (შვეიცარია)
- 1920 წელს, პარიზში (საფრანგეთი)
- 1930 წელს, ვაშინგტონში (აშშ)
- 1940 წელს, მადრიდში (ესპანეთი)

- 300. რა ეწოდება კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტს და სად მდებარეობს მისი შტაბ-ბინა?**  
 იუნკტადი, ჟენევაში (შვეიცარია)  
 იუნსიტრალი, ვენაში (ავსტრია)  
 უნიდრუა, რომში (იტალია)  
 იუნისეფი, ბრიუსელში (ბელგია)
- 301. საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი პრინციპი არ არის:**  
 ვაჭრობის განვითარების პრინციპი  
 ლიბერალიზაციის პრინციპი  
 განვითარებული ქვეყნების ვაჭრობის სრულყოფის პრინციპი  
 თავისუფალი ტრანზიტის პრინციპი
- 302. საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი პრინციპი არ არის:**  
 ეროვნული ბაზრის დაცვის პრინციპი  
 ეროვნული რეჟიმის მინიჭების პრინციპი  
 ლიბერალიზაციის პრინციპი  
 განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობის სრულყოფის პრინციპი
- 303. საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი პრინციპი არ არის:**  
 არადისკრიმინაციის პრინციპი  
 უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი  
 „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ ვაჭრობის სრულყოფის პრინციპი  
 პრეფერენციის პრინციპი
- 304. ვაჭრობის განვითარების პრინციპით სახელმწიფოს უფლება არ არის:**  
 მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ვაჭრობაში  
 განავითაროს საგარეო ვაჭრობა  
 თავისუფლად გააფორმოს ხელშეკრულებები  
 მიიღოს სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან
- 305. ვაჭრობის განვითარების პრინციპით სახელმწიფოს ვალდებულება არ არის:**  
 უზრუნველყოს პატიოსანი, კეთილსასურველი კონკურენცია, შეზღუდოს დემპინგი  
 განავითაროს საგარეო ვაჭრობა  
 განამტკიცოს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა  
 გაწევრიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციაში
- 306. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პრინციპით სახელმწიფოს უფლება არ არის:**  
 აღმოფხვრას საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული დაბრკოლებები  
 მოითხოვოს არაკანონიერი აკრძალვებისა და შეზღუდვების აღმოფხვრა  
 შემხვედრი წესით შეამციროს საბაჟო გადასახადის განაკვეთები  
 მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევაში
- 307. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პრინციპით სახელმწიფოს ვალდებულება არ არის:**  
 აღმოფხვრას საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული დაბრკოლებები  
 შეამციროს იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო დაბეგვრის დონე  
 არ დააწესოს აკრძალვები და შეზღუდვები ექსპორტ-იმპორტზე  
 მოითხოვოს კონტრზომების გამოყენება
- 308. ეროვნული ბაზრის დაცვის პრინციპით სახელმწიფოს ვალდებულება არ არის:**  
 საკუთარი ეკონომიკის დასაცავად გამოიყენოს მხოლოდ საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები  
 თვითნებურად გამოიყენოს ანტიდემპინგური, კომპენსაციური და დაცვითი ღონისძიებები  
 გამოიყენოს არასატარიფო ზომები (აკრძალვები, კვოტირება) იმ საზღვრებში, რომლებიც ვმო-ს შეთანხმებებშია მოცემული  
 არ გამოიყენოს ექსპორტის მიზნობრივი სუბსიდირება (მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისათვის)

**309. თავისუფალი ტრანზიტის პრინციპით რომელი ფორმულირება არ არის მართებული?**

ანტიდემპინგური ღონისძიებებისა და კომპენსაციური ბაჟის თვითნებური გამოყენება  
საერთაშორისო სავაჭრო სისტემის წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისუფალი ტრანზიტის უფლება და  
სატრანზიტო საქონლის გათავისუფლება საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან  
საერთაშორისო ვაჭრობის განსახორციელებლად ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოსათვის ზღვაზე  
თავისუფლად გასვლის უფლება  
სანაპიროს მქონე სახელმწიფოთა ვალდებულება მისცეს თავისუფლება საქონლის ტრანზიტს, ასევე იმ  
სახელმწიფოთა გემებს საზღვაო პორტებში შესვლის უფლება, რომლებსაც არა აქვთ გასასვლელი ზღვაზე

**310. არადისკრიმინაციის პრინციპით რომელი ფორმულირება არ არის მართებული?**

სახელმწიფოს უფლება - არ განიცადოს დისკრიმინაცია, ისარგებლოს ყველასათვის მისაღები რეჟიმებით უცხოურ  
ბაზარზე საქონლის შეღწევისას  
სახელმწიფოს უფლება – თვითნებურად გამოიყენოს ანტიდემპინგური ღონისძიებები და კომპენსაციური ბაჟი  
სახელმწიფოს ვალდებულება – არ მიანიჭოს ერთი სახელმწიფოს საქონელსა და ფიზიკურ (იურიდიულ) პირს  
უფრო ნაკლები უფლებები, ვიდრე ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს საქონელსა და ფიზიკურ (იურიდიულ) პირს

**311. პრეფერენციის პრინციპით განვითარებადი სახელმწიფოს უფლება არ არის:**

მიიღოს სპეციალური უპირატესობები სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების სფეროში საბაჟო გადასახადების  
შემცირების, არაპირდაპირი სუბსიდიების, განვითარებული ქვეყნების ბაზარზე საქონლის შეღწევის  
გასაადვილებლად  
არ მიანიჭოს განვითარებულ სახელმწიფოებს ის შეღავათები, რომლებიც არსებობს განვითარებადი  
ქვეყნებისათვის  
ნაცვალგების გარეშე განვითარებადი ქვეყნების საქონელზე შეამციროს ან გააუქმოს საბაჟო გადასახადები  
ეკონომიკური განვითარების მიზნით, გამოიყენოს სუბსიდიები, მათ შორის, საექსპორტო საქონლის მიმართაც.

**312. თანამედროვე ეტაპზე, ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში საბაჟო ტარიფის საშუალო სიდიდეა:**

- 25-30 %
- 15-20 %
- 10-15 %
- 3-5 %

**313. ანტიდემპინგური პროცესი შედგება:**

- ორი სტადიისაგან
- სამი სტადიისაგან
- ოთხი სტადიისაგან
- ხუთი სტადიისაგან

**314. რა იგულისხმება სპეციალურ შეზღუდვებში?**

- კვოტირება
- ლიცენზირება
- საბაჟო მოსაკრებლები და ფორმალობები
- ყველა პასუხი სწორია

**315. რა იგულისხმება არასატარიფო შეზღუდვებში?**

- სანიტარული ნორმები
- ადმინისტრაციული ფორმალობები
- აქციზები
- ყველა პასუხი სწორია

**316. რა მიზანი აქვს სანიტარულ ნორმებს?**

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
- სოფლის მეურნეობის რისკებისაგან დაზღვევა
- ავადმყოფობის გამომწვევ ნივთიერებათა გავრცელების შეზღუდვა
- ყველა პასუხი სწორია

## თემა 4. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა

### 317. რამდენი სახის კაპიტალი არსებობს?

- ორი სახის
- სამი სახის
- ოთხი სახის
- ხუთი სახის

### 318. ჩამოთვალეთ კაპიტალის სახეები:

- საწყისი და საბრუნავი
- ძირითადი და საბრუნავი
- საწყისი და საწარმოო
- საწყისი და ძირითადი

### 319. ძირითადი კაპიტალი მოიცავს:

- ნაღდი ფულს
- მატერიალურ-საწარმოო მარაგებს
- არარეალიზებულ მზა პროდუქციას
- ხანგრძლივად მოქმედ მატერიალურ ფასეულობებს

### 320. ძირითადი კაპიტალი არ მოიცავს:

- ფინანსურ დაბანდებებს
- არამატერიალურ აქტივებს
- მატერიალურ-საწარმოო მარაგებს
- ხანგრძლივად მოქმედ მატერიალურ ფასეულობებს

### 321. საბრუნავ კაპიტალს მიეკუთვნება:

- ფინანსურ დაბანდებები
- არამატერიალურ აქტივები
- ნაღდი ფული
- ხანგრძლივად მოქმედი მატერიალური ფასეულობები

### 322. საბრუნავ კაპიტალს არ მიეკუთვნება:

- ნაღდი ფული
- მატერიალურ-საწარმოო მარაგები
- არარეალიზებული მზა პროდუქცია
- ხანგრძლივად მოქმედი მატერიალური ფასეულობები

### 323. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი მიზეზია:

- ეროვნულ ქვეყანაში მისი სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობა
- უცხო ქვეყანაში მისი სიჭარბე და მეტი მომგებიანობა
- ეროვნულ ქვეყანაში მისი სიჭარბე და მეტი მომგებიანობა
- უცხო ქვეყანაში მისი სიმცირე და ნაკლებმომგებიანობა

### 324. უცხოეთში კაპიტალის გატანის მიზეზებია:

- კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების დონეთა უთანაბრობა
- უცხოეთის ბაზრის მონოპოლიზაცია
- კაპიტალის იმპორტირებად ქვეყანაში უფრო იაფი ნედლეული და სამუშაო ძალა ყველა პასუხი სწორია

### 325. უცხოეთში კაპიტალის გატანის მიზეზებია:



კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების დონეთა თანაბრობა  
უცხოეთის ბაზრის მონოპოლიზაცია  
კაპიტალის იმპორტირებად ქვეყანაში უფრო ძვირი ნედლეული და სამუშაო ძალა  
არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია

**326. კაპიტალის უცხოეთში გატანაზე დადებითად მოქმედებს:**

ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირი და ურთიერთგადაჯაჭვულობა  
საერთაშორისო სამრეწველო კოოპერაცია  
განვითარებული ქვეყნების მიზნობრივი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა  
ყველა პასუხი სწორია

**327. კაპიტალის უცხოეთში გატანაზე დადებითად მოქმედებს:**

ეკოლოგიური ფაქტორები  
განვითარებადი ქვეყნების მიზნობრივი ეკონომიკურ-სამართლებრივი გარემო  
განვითარებული ქვეყნების არამიზნობრივი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა  
საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პასიურობა

**328. კაპიტალის წარმოშობის წყაროს მიხედვით კაპიტალური დაბანდებების კლასიფიკაცია არის:**

სახელმწიფო და კერძო (არასახელმწიფო)  
სამეწარმეო და სასესხო  
მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი  
პირდაპირი და პორტფელური

**329. გამოყენების ხასიათის მიხედვით კაპიტალური დაბანდებების კლასიფიკაცია არის:**

სახელმწიფო და კერძო (არასახელმწიფო)  
სამეწარმეო და სასესხო  
მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი  
პირდაპირი და პორტფელური

**330. მოქმედების ვადის მიხედვით კაპიტალური დაბანდებების კლასიფიკაცია არის:**

მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი  
სახელმწიფო და კერძო  
სამეწარმეო და სასესხო  
პირდაპირი და პორტფელური

**331. დაბანდების მიზნის მიხედვით კაპიტალური დაბანდებების კლასიფიკაცია არის:**

სახელმწიფო და კერძო  
სამეწარმეო და სასესხო  
მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი  
პირდაპირი და პორტფელური

**332. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მიზანშეწონილია მაშინ, როცა:**

კომპანიას აქვს კონკურენტული უპირატესობა უცხოურ კომპანიასთან შედარებით საკუთარ ეროვნულ ქვეყანაში  
საწარმოო სიმძლავრეების საკუთარ ქვეყანაში განლაგება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე უცხოეთში  
დიდი ტრანსაქციური ხარჯების გამო, კომპანიისათვის უფრო ხელსაყრელია პროდუქციის დამზადება საკუთარ  
უცხოურ საწარმოში, ვიდრე ამისათვის უცხოურ ფირმასთან კონტრაქტის გაფორმება  
საწარმოო სიმძლავრეების უცხოეთში განლაგება არახელსაყრელია, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში

**333. საინვესტიციო პოლიტიკაში ძირითადი ტენდენციებია:**

უცხოური ინვესტიციების ლიბერალიზაცია და სტიმულირება  
ფინანსური ინვესტიციების ზრდა  
საინვესტიციო პოლიტიკის გამკაცრება

საინვესტიციო პოლიტიკის არეალის გაფართოება

**334. პუი-ზე მოქმედი რამდენი სახის ფაქტორი არსებობს?**

- ორი სახის
- სამი სახის
- ოთხი სახის
- ხუთი სახის

**335. პუი-ზე მოქმედი მიწოდების ფაქტორებია:**

პროდუქციაზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობა  
მარკეტინგული და კონკურენტული უპირატესობა  
შემკვეთის მობილურობა  
წარმოებისა და ლოგისტიკის ხარჯები

**336. პუი-ზე მოქმედი მიწოდების ფაქტორებია:**

პროდუქციაზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობა  
მარკეტინგული და კონკურენტული უპირატესობა  
რესურსების არსებობა  
შემკვეთის მობილურობა

**337. პუი-ზე მოქმედი მიწოდების ფაქტორებია:**

პროდუქციაზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობა  
მარკეტინგული და კონკურენტული უპირატესობა  
ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა  
შემკვეთის მობილურობა

**338. პუი-ზე მოქმედი მოთხოვნის ფაქტორებია:**

პროდუქციაზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობა  
წარმოებისა და ლოგისტიკის ხარჯები  
ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა  
რესურსების არსებობა

**339. პუი-ზე მოქმედი მოთხოვნის ფაქტორებია:**

წარმოებისა და ლოგისტიკის ხარჯები  
მარკეტინგული და კონკურენტული უპირატესობა  
ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა  
რესურსების არსებობა

**340. პუი-ზე მოქმედი მოთხოვნის ფაქტორებია:**

წარმოებისა და ლოგისტიკის ხარჯები  
ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა  
შემკვეთის მობილურობა  
რესურსების არსებობა

**341. საზღვარგარეთ პუი-ის საბაზრო ორიენტაციის მოტივებია:**

უცხოეთში საკუთარი საწარმო-სამეურნეო ბაზის ფორმირებით თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის გაზრდა  
სანედლეულო რესურსების დივერსიფიკაცია და ეროვნული რესურსული პოტენციალის საზღვარგარეთ უფრო  
მეტად და აქტიურად წარმოჩენა  
ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეებზე და წარმოებისა და მართვის მოწინავე ფორმებზე ხელმისაწვდომობა  
საკუთარი რესურსების (ფინანსური, შრომითი) მანევრი-რებით დანახარჯების ოპტიმიზაცია

**342. საზღვარგარეთ პუი-ის რესურსებზე ორიენტირებული მოტივებია:**

უცხოეთში საკუთარი საწარმო-სამეურნეო ბაზის ფორმირებით თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის გაზრდა სანედლეულო რესურსების დივერსიფიკაცია და ეროვნული რესურსული პოტენციალის საზღვარგარეთ უფრო მეტად და აქტიურად წარმოჩენა  
ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეებზე და წარმოებისა და მართვის მოწინავე ფორმებზე ხელმისაწვდომობა საკუთარი რესურსების (ფინანსური, შრომითი) მანევრირებით დანახარჯების ოპტიმიზაცია

**343. საზღვარგარეთ პუი-ის ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მოტივებია:**

უცხოეთში საკუთარი საწარმო-სამეურნეო ბაზის ფორმირებით თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის გაზრდა სანედლეულო რესურსების დივერსიფიკაცია და ეროვნული რესურსული პოტენციალის საზღვარგარეთ უფრო მეტად და აქტიურად წარმოჩენა  
ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეებზე და წარმოებისა და მართვის მოწინავე ფორმებზე ხელმისაწვდომობა საკუთარი რესურსების (ფინანსური, შრომითი) მანევრირებით დანახარჯების ოპტიმიზაცია

**344. საზღვარგარეთ პუი-ის ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებაზე ორიენტირებული მოტივებია:**

უცხოეთში საკუთარი საწარმო-სამეურნეო ბაზის ფორმირებით თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის გაზრდა სანედლეულო რესურსების დივერსიფიკაცია და ეროვნული რესურსული პოტენ-ციალის საზღვარგარეთ უფრო მეტად და აქტიურად წარმოჩენა  
ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეებზე და წარმოებისა და მართვის მოწინავე ფორმებზე ხელმისაწვდომობა საკუთარი რესურსების (ფინანსური, შრომითი) მანევრირებით დანახარჯების ოპტიმიზაცია

**345. პუი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს. ეკონომიკური თვალსაზრისით, კომპანიის პოზიციიდან ესაა:**

საგარეო ბაზარზე სტაბილური გასვლის უზრუნველყოფა  
უცხო ქვეყანაში „საკუთარი ბაზრის“ წარმოშობა;  
რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ქვეყანათაშორის ურთიერთობებში პირადი ინტერესების ჩართვა ყველა პასუხი სწორია

**346. კაპიტალის აქტიური საერთაშორისო მოძრაობის გამო, მსოფლიო მეურნეობა შესამჩნევად იცვლება და „თამაშის ახალი წესები“ განისაზღვრება, რაც შემდეგ თავისებურებებში შეინიშნება:**

საინვესტიციო რეჟიმის მარეგულირებელი კანონმდებლობები უფრო მკაცრდება  
ორმხრივ შეთანხმებათა რაოდენობა მცირდება  
რეგიონულ შეთანხმებათა რაოდენობა მცირდება  
ორმხრივ შეთანხმებათა რაოდენობა იზრდება

**347. კაპიტალის აქტიური საერთაშორისო მოძრაობის გამო, მსოფლიო მეურნეობა შესამჩნევად იცვლება და „თამაშის ახალი წესები“ განისაზღვრება, რაც შემდეგ თავისებურებებში შეინიშნება:**

საინვესტიციო რეჟიმის მარეგულირებელი კანონმდებლობები უფრო ლიბერალური ხდება  
რეგიონულ შეთანხმებათა რაოდენობა მცირდება  
ორმხრივ შეთანხმებათა რაოდენობა იზრდება  
საინვესტიციო რეჟიმის მარეგულირებელი კანონმდებლობები უფრო მკაცრდება

**348. როგორ გაიანგარიშება პუი-ს წილის ინდექსი?**

პუი-ს მოცულობა / მშპ-ს მოცულობა  
პუი-ს მოცულობა / საგარეო ვაჭრობის მოცულობა  
პუი-ს მოცულობა / ეროვნული შემოსავლის მოცულობა  
პუი-ს მოცულობა / საინვესტიციო შეთანხმებათა რაოდენობა

**349. ინვესტიციურ ურთიერთობათა სისტემაში რამდენი დონე არსებობს?**

ორი დონე  
სამი დონე  
ოთხი დონე  
ხუთი დონე

**350. ინვესტიციურ ურთიერთობათა სისტემაში რომელი დონე არ არსებობს?**

- საჯარო დონე
- კერძო დონე
- დიაგონალური ანუ „შერეული“ დონე
- პირდაპირი დონე

**351. ინვესტიციურ ურთიერთობათა სისტემაში საჯარო დონე ეს არის:**

- საჯარო პირების ანუ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა
- კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა
- საჯარო პირებისა და კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა
- საჯარო პირებისა და კერძო ფიზიკური პირების მონაწილეობა

**352. ინვესტიციურ ურთიერთობათა სისტემაში კერძო დონე არის:**

- საჯარო პირების ანუ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა
- კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა
- საჯარო პირებისა და კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა
- საჯარო პირებისა და კერძო ფიზიკური პირების მონაწილეობა

**353. ინვესტიციურ ურთიერთობათა სისტემაში დიაგონალური ანუ შერეული დონე არის:**

- საჯარო პირების ანუ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა
- კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა
- საჯარო პირებისა და კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა
- საჯარო პირებისა და კერძო ფიზიკური პირების მონაწილეობა

**354. რომელია მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით?**

- დონორი ქვეყნებისადმი დისკრიმინაციული მიდგომა
- უცხოური ინვესტიციებისთვის არაეროვნული რეჟიმის მინიჭება
- შეზღუდვების მინიმიზაცია და კომპენსაციის გარეშე ნაციონალიზაციის დაუშვებლობა
- უცხოური ინვესტიციების თავისუფალი მოძრაობა

**355. რომელია მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით?**

- დონორი ქვეყნებისადმი არადისკრიმინაციული მიდგომა
- უცხოური ინვესტიციებისთვის ეროვნული რეჟიმის მინიჭება
- შეზღუდვების მინიმიზაცია და კომპენსაციის გარეშე ნაციონალიზაციის დაუშვებლობა
- ყველა პასუხი სწორია

**356. რომელია მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით?**

- დონორი ქვეყნებისადმი დისკრიმინაციული მიდგომა
- უცხოური ინვესტიციებისთვის არაეროვნული რეჟიმის მინიჭება
- შეზღუდვების მაქსიმიზაცია და ნაციონალიზაცია
- უცხოური ინვესტიციებისთვის ეროვნული რეჟიმის მინიჭება

**357. რომელი რეჟიმებისგან შედგება საინვესტიციო კლიმატი?**

- იმპორტიორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციების მიღება-დაცვის რეჟიმი
- ექსპორტიორი სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების გარანტიების რეჟიმი
- საინვესტიციო საქმიანობის რეჟიმი
- ყველა პასუხი სწორია

**358. რომელი რეჟიმისგან არ შედგება საინვესტიციო კლიმატი?**

იმპორტიორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციების მიღება-დაცვის რეჟიმი  
ექსპორტიორი სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების გარანტიების რეჟიმი  
იმპორტიორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციების მიღება-ჩაბარების რეჟიმი  
საინვესტიციო საქმიანობის რეჟიმი

**359. ინვესტორები საბაზო და მიმღები ქვეყნების მთავრობების ყურადღებით სარგებლობენ. კერძოდ, მათ მიმართ**

**ხორციელდება:**

სახელმწიფო გარანტიები  
საინვესტიციო დავებში არ მონაწილეობა  
ორმაგი დაბეგვრის აუცილებლობა  
ადმინისტრაციული კონტროლი

**360. ინვესტორები საბაზო და მიმღები ქვეყნების მთავრობების ყურადღებით სარგებლობენ. კერძოდ, მათ მიმართ**

**ხორციელდება:**

სახელმწიფო გარანტიები  
უცხოური ინვესტიციების დაზღვევა  
ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა  
ყველა პასუხი სწორია

**361. ინვესტორები საბაზო და მიმღები ქვეყნების მთავრობების ყურადღებით სარგებლობენ. კერძოდ, მათ მიმართ არ**

**ხორციელდება:**

სახელმწიფო გარანტიები  
უცხოური ინვესტიციების დაზღვევა  
ორმაგი დაბეგვრის აუცილებლობა  
ადმინისტრაციული და დიპლომატიური მხარდაჭერა

**თემა 5. შრომითი რესურსების მიგრაცია და ეკონომიკური დახმარება**

**362. რომელი განმარტებაა მართებული? ემიგრაცია არის:**

ადამიანების იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში  
უცხო ქვეყანაში ადამიანების ტურისტული მოგზაურობა  
უცხო ქვეყნიდან საკუთარ სამშობლოში ადამიანების დაბრუნება  
ადამიანების გადაადგილება ეროვნული ქვეყნის შიგნით

**363. იმიგრაცია არის:**

ადამიანების ნებაყოფლობითი შემოსვლა საკუთარ სამშობლოში  
უცხო ქვეყანაში ადამიანების ტურისტული მოგზაურობა  
მოცემულ სახელმწიფოში უცხოელის შემოსვლა  
ადამიანების გადაადგილება ეროვნული ქვეყნის შიგნით

**364. რა ეწოდება ადამიანების იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლებას სამშობლოდან სხვა ქვეყანაში?**

იმიგრაცია  
ემიგრაცია  
მიგრაცია  
ექსტრადიცია

**365. რამდენი მიმართულება აქვს საერთაშორისო მიგრაციას?**

ორი

სამი  
ოთხი  
ხუთი

**366. იმიგრაციასა და ემიგრაციას შორის სხვაობას ეწოდება:**

მიგრაციული სალდო  
მიგრაციული მოგება  
მიგრაციული ხარჯი  
მიგრაციული განაკვეთი

**367. მიგრაციის ძირითადი ფორმა არ არის:**

შრომითი მიგრაცია  
ოჯახური მიგრაცია  
სამსახურებრივი მიგრაცია  
რეკრეაციული მიგრაცია

**368. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია არსებობს:**

დაბრუნებადი  
დროებით-მუდმივი  
სეზონური  
ყველა პასუხი სწორია

**369. საერთაშორისო მიგრაცია არსებობს:**

ქანქარისებური  
არარეგალური  
„გონების გადინება“  
ყველა პასუხი სწორია

**370. მიგრაციის სუბიექტები არ არიან:**

ლტოლვილები  
იძულებით ადგილნაცვალი იმიგრანტები  
ნებაყოფლობით ადგილნაცვალი მიგრანტები  
ტურისტები

**371. ადამიანის მიგრაციის მიზეზებია:**

პოლიტიკური პრობლემები  
რელიგიური პრობლემები  
ეკოლოგიური პრობლემები  
ყველა პასუხი სწორია

**371. საერთაშორისო მიგრაციის საფუძველია:**

ქვეყნებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა შორის განსხვავება  
სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზარი  
სამუშაო ძალის დეფიციტი  
სამუშაო ძალის სიჭარბე

**373. თანამედროვე ეტაპზე მიგრაციულ ნაკადებს შორის დომინირებს:**

ეკონომიკური ხასიათის  
ინტელექტუალური ხასიათის  
ტურისტული ხასიათის  
სამედიცინო ხასიათის

**374. რომელმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა საერთაშორისო მიგრაცია?**

თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა და სატრანსპორტო კომუნიკაციებმა შრომის მაღალმა ანაზღაურებამ სხვა ქვეყნების მიმზიდველობამ რელიგიურმა ფაქტორებმა

**375. რომელი ფაქტორები (მიზეზები) არ განაპირობებს ადამიანების საერთაშორისო მიგრაციას?**

ეკონომიკური ფაქტორები  
დიპლომატიური ფაქტორები  
პოლიტიკური ფაქტორები  
რელიგიური ფაქტორები

**376. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია არის:**

ერთი სახელმწიფოდან მეორეში შრომისუნარიანი მოსახლეობის გადასახლება სამუშაოს მისაღებად  
ერთი სახელმწიფოდან მეორეში ტურისტული ნაკადის მიღება  
ერთი სახელმწიფოდან მეორეში საბრძოლო რაზმების მიღება  
ერთი სახელმწიფოდან მეორეში შრომითი რესურსების დეპორტაცია

**377. ეროვნული საზღვრების გადამკვეთი შრომითი ნაკად-მიმართულებებია:**

განვითარებადი ქვეყნიებიდან განვითარებულ ქვეყნებში მიგრაცია  
განვითარებულ ქვეყნებში ურთიერთმიგრაცია  
განვითარებად ქვეყნებში ურთიერთმიგრაცია  
ყველა პასუხი სწორია

**378. საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციებია:**

მსოფლიო მიგრაციული ნაკადების გლობალიზაცია  
შრმითი მიგრაციის დაჩქარება  
არალეგალური მიგრაციის მნიშვნელოვანი ზრდა  
ყველა პასუხი სწორია

**378. საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციებია:**

იძულებითი მიგრაციის მაშტაბების გადიდება და გეოგრაფიული არეალის გაფართოება  
ხარისხობრივი ცვლილებები მიგრაციულ ნაკადებში  
მიგრაციის ფემინიზაცია  
ყველა პასუხი სწორია

**380. სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყანაში იმიგრაციის დადებითი შედეგი არ არის:**

ქვეყანაში სოციალური დამაბულობის შემცირება  
წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლება  
საქონელზე ახალი მოთხოვნების წარმოშობა  
განათლების ხარჯების შემცირება

**381. სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყანაში იმიგრაციის დადებითი შედეგი არ არის:**

განათლების ხარჯების შემცირება  
წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლება  
შრომის მოწინავე ფორმების დანერგვა  
საქონელზე ახალი მოთხოვნების წარმოშობა

**382. სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყანაში იმიგრაციის დადებითი შედეგი არ არის:**

წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლება  
საქონელზე ახალი მოთხოვნების წარმოშობა  
განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება  
მიმღებ ქვეყანაში სოციალური დამაბულობის წარმოშობა

**383. სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყანაში იმიგრაციის უარყოფითი შედეგია:**

- სოციალური დამაბულობის წარმოშობა
- წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლება
- საქონელზე ახალი მოთხოვნების წარმოშობა
- განათლების ხარჯების გადიდება

**384. სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყანაში იმიგრაციის უარყოფითი შედეგია:**

- წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლება
- ეროვნებათაშორისი შუღლის გამწვავება
- განათლების ხარჯების გადიდება
- იმიგრანტებზე სოციალური პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების გაზრდა

**384. სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყანაში ემიგრაციის უარყოფითი შედეგია:**

- წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის შემცირება
- საქონელზე ახალი მოთხოვნების გადიდება
- ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვნად შეფერხება
- განათლების ხარჯების გაზრდა

**385. სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყანაში ემიგრაციის უარყოფითი შედეგია:**

- დამატებითი შემოსავლების მიღება
- „გონების გადინების“ პრობლემის წარმოშობა
- წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობის შემცირება
- განათლების ხარჯების გაზრდა

**386. სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყანაში ემიგრაციის დადებითი შედეგია:**

- საქონელზე ახალი მოთხოვნები იზრდება
- წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობა მაღლდება
- განათლების ხარჯები იზრდება
- დამატებითი შემოსავლების მიღება

**387. სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყანაში ემიგრაციის დადებითი შედეგია:**

- სოციალური დამაბულობა მცირდება
- წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობა მაღლდება
- საქონელზე ახალი მოთხოვნები იზრდება
- განათლების ხარჯები იზრდება

**388. სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყანაში ემიგრაციის დადებითი შედეგია:**

- წარმოებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობა მაღლდება
- საქონელზე ახალი მოთხოვნები იზრდება
- შრომის მოწინავე ორგანიზაციული ფორმები აითვისება
- განათლების ხარჯები იზრდება

**389. სამუშაო ძალის მიზიდვის მსოფლიო ცენტრებია:**

- აშშ
- დასავლეთი ევროპა
- ავსტრალია
- ყველა პასუხი სწორია

**390. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის პრობლემებს იკვლევს:**

- ხალხთმოსახლეობის კომისია
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
- ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია



ყველა პასუხი სწორია

**391. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის პრობლემებს არ იხილავს:**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია  
საერთაშორისო სავაჭრო პალატა  
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია  
ხალხთმოსახლეობის კომისია

**392. სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ემიგრაციული პოლიტიკის მიზანია:**

კვალიფიციური სპეციალისტების მიღება  
ემიგრანტებიდან ქვეყნის სავალუტო შემოსავლების გადიდება  
წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება  
ადგილობრივი წარმოების დამატებითი სტიმულირება

**393. სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ემიგრაციული პოლიტიკის მიზანია:**

კვალიფიციური სპეციალისტების მიღება  
ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება  
წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება  
ადგილობრივი წარმოების დამატებითი სტიმულირება

**394. სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ემიგრაციული პოლიტიკის მიზანია:**

ემიგრანტთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება  
კვალიფიციური სპეციალისტების მიღება  
წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება  
ადგილობრივი წარმოების დამატებითი სტიმულირება

**395. სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ემიგრაციული პოლიტიკის მიზანი არ არის:**

ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება  
ემიგრანტებიდან ქვეყნის სავალუტო შემოსავლების გადიდება  
ემიგრანტთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება  
ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღორძინება

**396. სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ემიგრაციული პოლიტიკის მიზანი არ არის:**

ემიგრანტებიდან ქვეყნის სავალუტო შემოსავლების გადიდება  
ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება  
ემიგრანტთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება.  
სპეციალური სოციალური ფონდების ჩამოყალიბება

**397. სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ემიგრაციული პოლიტიკის მიზანი არ არის:**

ემიგრანტთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება  
შრომითი რესურსების ექსპორტირების რეგულირება  
ემიგრანტებიდან ქვეყნის სავალუტო შემოსავლების გადიდება  
ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება

**398. როგორია სახელმწიფოთა დამოკიდებულება უცხოელი შრომითი მიგრაციის სფეროში?**

სახელმწიფო შეზღუდვები მკაცრდება  
საგარეო-სავაჭრო რეჟიმები თანდათან ლიბერალური ხდება  
სატარიფო და არასატარიფო ბარიერების დონეები მცირდება  
უცხო ქვეყანაში იმიგრანტების ნაკადი მცირდება

**399. რას ნიშნავს ტერმინი „დეპორტაცია“?**

არალეგალურად შემოსული ემიგრანტის ქვეყნიდან გაძევებას  
არალეგალურად შემოსული დიპლომატის ქვეყნიდან გაძევებას

არალეგალურად შემოსული იმიგრანტის ქვეყნიდან გაძევებას  
არალეგალურად შემოსული სამხედრო პირის ქვეყნიდან გაძევებას

**400. საქართველოს რომელი სახელმწიფო ორგანო ადგენს სავიზო რეჟიმს?**

საგარეო საქმეთა სამინისტრო  
იუსტიციის სამინისტრო  
შინაგან საქმეთა სამინისტრო  
შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

**401. საქართველოს რომელი სახელმწიფო ორგანო განსაზღვრავს სასაზღვრო რეჟიმს?**

საგარეო საქმეთა სამინისტრო  
იუსტიციის სამინისტრო  
შინაგან საქმეთა სამინისტრო  
შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

**402. საქართველოს რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია მოცემული ასეთი ფორმულირება: „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“.**

საქართველოს კონსტიტუციაში  
საქართველოს 1993 წლის 7 დეკემბრის კანონში „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“  
საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეების შესახებ“  
საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონში „იმიგრაციის შესახებ“

**403. საქართველოს რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია მოცემული ასეთი ფორმულირება: „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში“.**

საქართველოს კონსტიტუციაში  
საქართველოს 1993 წლის 7 დეკემბრის კანონში „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“  
საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეების შესახებ“  
საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონში „იმიგრაციის შესახებ“

**404. საქართველოს რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია მოცემული ასეთი ფორმულირება: „შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ“.**

საქართველოს კონსტიტუციაში  
საქართველოს 1993 წლის 7 დეკემბრის კანონში „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“  
საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეების შესახებ“  
საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონში „იმიგრაციის შესახებ“

**405. საქართველოს რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია მოცემული ასეთი ფორმულირება: „უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლებანაირიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება, თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების შემზღვეველი ნორმები“.**

საქართველოს კონსტიტუციაში  
საქართველოს კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“  
საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეების შესახებ“.  
საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონში „იმიგრაციის შესახებ“.

**406. რომელ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტშია მოცემული ასეთი ფორმულირება: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის, თავისი და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში“.**

გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“

აშშ, დ. ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი.  
აშშ, იაპონია და გერმანია.

**624. ევროკავშირის ძირითადი პარტნიორებია, იმპორტში:**

ჩინეთი, აშშ, რუსეთი, იაპონია, შვეიცარია და ნორვეგია.  
ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, ნორვეგია და რუსეთი.  
ჩინეთი, აშშ, გერმანია და ბრაზილია.  
ჩინეთი, აშშ, ინდოეთი, საფრანგეთი და იაპონია.

**625. რომელი ხელშეკრულება იწოდება ევროგაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებად?**

რომის 1952 წლის ხელშეკრულება.  
რომის 1957 წლის ხელშეკრულება.  
რომის 1960 წლის ხელშეკრულება.  
რომის 1965 წლის ხელშეკრულება.

**626. რა იყო ევროგაერთიანების ხელშეკრულებების მთავარი მიზანი?**

ევროპის ქვეყნების ტერიტორიული დაახლოება.  
ერთიანი ბაზრის შექმნა.  
ევროპის ჩამორჩენილი ქვეყნების აღორძინება.  
ევროპის ხალხთა კულტურული იდენტიფიკაცია.

**627. რას გულისხმობდა ევროპის ერთიანი ბაზარი? ეკონომიკური გაერთიანების წევრ-სახელმწიფოებს შორის:**

ერთიან საგარეო-სავაჭრო ტარიფებს.  
ევროპულ ქვეყნებში ტერორიზმის აღმოფხვრას.  
ევროპულ ქვეყნებში დასაქმების გადიდებას.  
ევროპულ ქვეყნებში წარმოების მოდერნიზაციას.

**628. რას გულისხმობდა ევროპის ერთიანი ბაზარი? ეკონომიკური გაერთიანების წევრ-სახელმწიფოებს შორის:**

საქონლის, მოქალაქეებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას.  
საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის შემცირებას.  
ევროპულ ქვეყნებში წარმოების კონცენტრაციას.  
ევროპულ ქვეყნებში ფულის მიმოქცევის გამლიერებას.

**629. ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით, რას ითვალისწინებდა ჰააგის (ნიდერლანდი) 1969 წლის გადაწყვეტილება?**

თანამეგობრობის გაფართოებასა და ინტეგრაციის გაღრმავებას.  
ევროპის ქვეყნებს შორის საქონლის, მოქალაქეებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას.  
აშშ-ის ეკონომიკასთან ევროპის ეკონომიკის დაახლოებას.  
მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებთან.

**630. რომელი სამართლებრივი აქტით დადგინდა ევროკავშირში სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად ერთობლივი თანხმობის შესახებ?**

რომის 1957 წლის ხელშეკრულებით.  
ბრიუსელის 1965 წლის ხელშეკრულებით.  
ლუქსემბურგის 1971 წლის ხელშეკრულებით  
1986 წლის ერთიანი ევროპული აქტით.

**631. ევროპაში ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით, რას ითვალისწინებდა ლუქსემბურგის 1971 წლის შეთანხმება?**

სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებას.  
საქონლის, მოქალაქეებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეთა დაახლოებას.  
ევროპაში ტერორიზმის აღმოფხვრას.

**632. რომელი სამართლებრივი აქტით გადაისინჯა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის რომის 1957 წლის ხელშეკრულება?**

ბრიუსელის 1965 წლის აქტით.  
პარიზის 1952 წლის აქტით.  
1986 წლის ერთიანი ევროპული აქტით.  
ჰააგის 1969 წლის აქტით.

**633. რომელი წლიდან შევიდა ძალაში შენგენის შეთანხმება?**

1980 წლიდან.  
1990 წლიდან.  
1995 წლიდან.  
2000 წლიდან.

**634. რას ითვალისწინებდა შენგენის 1995 წლის შეთანხმება?**

ინტეგრაციულ სივრცეში ეროვნული ეკონომიკების დაახლოებას.  
ინტეგრაციულ სივრცეში ადამიანების, ტვირთებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას.  
ინტეგრაციულ სივრცეში საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრას.  
ინტეგრაციულ სივრცეში ფულის მიმოქცევის დაჩქარებას.

**635. რომელი სამართლებრივი აქტით ჩამოერთვათ ევროგაერთიანების წევრებს ევროპის თანამეგობრობის აქტების მიღებისას ვეტოს უფლება?**

ბრიუსელის 1965 წლის აქტით.  
პარიზის 1952 წლის აქტით.  
1986 წლის ერთიანი ევროპული აქტით.  
ჰააგის 1969 წლის აქტით.

**636. რომელი სამართლებრივი აქტით დადგინდა ევროპის თანამეგობრობის აქტების მიღებისას „კვალიფიციური უმრავლესობის“ პრინციპის გამოყენება?**

ბრიუსელის 1965 წლის აქტით.  
პარიზის 1952 წლის აქტით.  
1986 წლის ერთიანი ევროპული აქტით.  
ჰააგის 1969 წლის აქტით.

**637. რომელი სამართლებრივი აქტით დაჩქარდა ევროპაში ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი: ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარება და ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარება?**

ბრიუსელის 1965 წლის აქტით.  
პარიზის 1952 წლის აქტით.  
1986 წლის ერთიანი ევროპული აქტით.  
ჰააგის 1969 წლის აქტით.

**638. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი არ არის ევროკავშირის წევრი?**

დანია.  
შვედეთი.  
ნორვეგია.  
ფინეთი.

**639. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი არ არის ევროკავშირის წევრი?**

ირლანდია.  
ისლანდია.

ბელგია.

დანია.

**640. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი არ არის ევროკავშირის წევრი?**

ფინეთი.

კვიპროსი.

შვეიცარია.

ავსტრია.

**641. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი არ არის ევროკავშირის წევრი?**

პორტუგალია.

ლიხტენშტაინი.

საბერძნეთი.

ესტონეთი.

**642. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი არ არის ევროკავშირის წევრი?**

ლატვია.

ბელარუსი.

ჩეხეთი.

სლოვაკეთი.

**643. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი არ არის ევროკავშირის წევრი?**

გერმანია.

უკრაინა.

სლოვენია.

ბელგია.

**644. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი არ არის ევროკავშირის წევრი?**

მოლდოვა.

პოლონეთი.

ფინეთი.

ავსტრია.

**645. რომელი ხელშეკრულება ითვლება ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებად?**

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულება.

ნიცის 2001 წლის ხელშეკრულება.

მასტრიხტის 1993 წლის ხელშეკრულება.

ლუქსემბურგის 1971 წლის ხელშეკრულება.

**646. როდის დაინგრა ბერლინის კედელი და გერმანია გაერთიანდა?**

1989 წელს.

1990 წელს.

1991 წელს.

1992 წელს.

**647. როდის დაიშალა საბჭოთა კავშირი?**

1989 წელს.

1990 წელს.

1991 წელს.

1992 წელს.

**648. მასტრიხტის ხელშეკრულებით რამდენი საყრდენი (ბურჯი) აქვს ევროკავშირს?**

ორი.

სამი.

ოთხი.

ხუთი.

**649. რომელია ევროკავშირის პირველი და უმთავრესი საყრდენი (ზურჯი)?**

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.  
ევროგაერთიანება, რომელიც ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურებით იმართება.  
მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები.  
საერთაშორისო ტერორიზმთან დაუნდობელი ბრძოლა.

**650. რომელია ევროკავშირის მეორე საყრდენი (ზურჯი)?**

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.  
ევროგაერთიანება, რომელიც ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურებით იმართება.  
მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები.  
საერთაშორისო ტერორიზმთან დაუნდობელი ბრძოლა.

**651. რომელია ევროკავშირის მესამე საყრდენი (ზურჯი)?**

ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.  
ევროგაერთიანება, რომელიც ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურებით იმართება.  
მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები.  
საერთაშორისო ტერორიზმთან დაუნდობელი ბრძოლა.

**652. ევროკავშირის რომელი საყრდენია (ზურჯია) ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა?**

პირველი და უმთავრესი.  
მეორე.  
მესამე.  
მეოთხე.

**653. ევროკავშირის რომელი საყრდენია (ზურჯია) მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები?**

პირველი და უმთავრესი.  
მეორე.  
მესამე.  
მეოთხე.

**654. რომელი წლიდან შემოვიდა მიმოქცევაში ევროკავშირის ერთიანი ვალუტა-ევრო? :**

1997 წლიდან.  
2001 წლიდან.  
2002 წლიდან.  
1999 წლიდან.

**655. რომელი ხელშეკრულებით დაფუძნდა ერთიანი ევროპული მოქალაქეობის ინსტიტუტი?**

მაასტრიხტის ხელშეკრულებით.  
რომის ხელშეკრულებით.  
ამსტერდამის ხელშეკრულებით.  
ბრიუსელის ხელშეკრულებით.

**656. რომელი ხელშეკრულებით ჩამოყალიბდა ევროპაში ერთიანი სავალუტო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის სამართლებრივი საფუძვლები?**

მაასტრიხტის ხელშეკრულებით.  
რომის ხელშეკრულებით.  
ამსტერდამის ხელშეკრულებით.  
ბრიუსელის ხელშეკრულებით.

**657. რა მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ევროსივრცეში 1993 წლის 1 ნოემბრიდან? (ორი პასუხია სწორი)**

ევროპის ქვეყნებში „ევროს“ ფუნქციონირება დაიწყო.



ევროპული თანამეგობრობა „ევროპის კავშირის“ სახელით შეიცვალა.  
ევროპის ქვეყნების ეკონომიკები ერთმანეთს პოლიტიკურად დაუკავშირდა.  
„ევროპის კავშირმა“ იურიდიული სტატუსი შეიძინა.

**658. ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით ცვლილებები შევიდა: (ორი პასუხია სწორი)**

ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში.  
ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკათა მაკროეკონომიკურ პარამეტრებში.  
ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.  
ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკების მართვის მექანიზმებში.

**659. რა ცვლილებები განხორციელდა ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით? (ორი პასუხია სწორი)**

ევროკავშირი თავისუფლების, უშიშროებისა და სამართლიანობის სივრცედ გამოცხადდა.  
ევროკავშირის მმართველობის ორგანოები გაიზარდა.  
ევროკავშირის მასშტაბური გაფართოების პრინციპები განისაზღვრა.  
ტრანსფარენტულობის (გამჭვირვალობის) პრინციპები განისაზღვრა.

**660. რომელი ხელშეკრულებით დაწესდა ევროკავშირში ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ახალი თანამდებობა?**

რომის 1957 წლის ხელშეკრულებით.  
ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით.  
ნიცის 2001 წლის ხელშეკრულებით.  
მაასტრიხტის 1993 წლის ხელშეკრულებით.

**661. რომელი ხელშეკრულებით განისაზღვრა ევროკავშირის მასშტაბური გაფართოების პრინციპები?**

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით.  
ნიცის 2001 წლის ხელშეკრულებით.  
მაასტრიხტის 1993 წლის ხელშეკრულებით.  
პარიზის 1952 წლის ხელშეკრულებით.

**662. რომელი ხელშეკრულებით შევიდა შესწორებები ევროკავშირში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანებისა და მათი შემდგომი ინტეგრაციის გასაადვილებლად?**

პარიზის 1952 წლის ხელშეკრულებით.  
მაასტრიხტის 1993 წლის ხელშეკრულებით.  
ნიცის 2001 წლის ხელშეკრულებით.  
ლუქსემბურგის 1971 წლის ხელშეკრულებით.

**663. რომელ სამიტზე მიიღეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია?**

მაასტრიხტის სამიტზე.  
ნიცის სამიტზე.  
ამსტერდამის სამიტზე.  
ბერლინის სამიტზე.

**664. რომელი მნიშვნელოვანი ქარტია მიიღეს ნიცის 2001 წლის სამიტზე?**

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია.  
ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკური აქტიურობის ქარტია.  
ევროსაწარმოთა მოდერნიზაციის ქარტია.  
ევროპარლამენტის ფუნქციონირების გაძლიერების ქარტია.

**665. რომელი ხელშეკრულებით დაწესდა ევროკომისიის წევრების როტაციის (მონაცვლეობის) წესით არჩევა?**

რომის 1957 წლის ხელშეკრულებით.  
ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით.  
ნიცის 2001 წლის ხელშეკრულებით.

მასტრიხტის 1993 წლის ხელშეკრულებით.

- 666. ევროკავშირის მრავალმხრივი პოლიტიკიდან შედარებით მნიშვნელოვანია: (ორი პასუხია სწორი)**  
ერთიანი აგრარული პოლიტიკა.  
ერთიანი კულტურული პოლიტიკა.  
ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა.  
ერთიანი ინფორმაციული პოლიტიკა.
- 667. ევროკავშირის მრავალმხრივი პოლიტიკიდან შედარებით მნიშვნელოვანია: (ორი პასუხია სწორი)**  
ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.  
ერთიანი ტრანსატლანტიკური პოლიტიკა.  
ერთიანი ინდუსტრიული პოლიტიკა.  
ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკა.
- 668. ევროკავშირის მრავალმხრივი პოლიტიკიდან შედარებით მნიშვნელოვანია: (ორი პასუხია სწორი)**  
ერთიანი სოციალური პოლიტიკა.  
ერთიანი კულტურული პოლიტიკა.  
გარემოს დაცვის ერთიანი პოლიტიკა.  
ერთიანი ინდუსტრიული პოლიტიკა.
- 669. რა მიზნებს ისახავს ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა? (ორი პასუხია სწორი)**  
სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდას.  
ეკონომიკური ზონის ეფექტურ მუშაობას.  
აგრარული ბაზრის სტაბილიზაციას.  
ევროკავშირის ექსკლუზიური კომპეტენციის გაძლიერებას.
- 670. რა მიზნებს ისახავს ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა? (ორი პასუხია სწორი)**  
ფერმერებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას.  
სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტრანსპორტირებას.  
მეცხოველეობის მრავალფეროვნების გაფართოებას.  
აგრარული ბაზრის სტაბილიზაციას.
- 671. ევროკავშირის აგრარული პოლიტიკით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: (ორი პასუხია სწორი)**  
უსაფრთხო საკვებს.  
სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავაჭრო პოლიტიკას.  
ეკოლოგიასა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.  
სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ერთიანი კულტურული ფასეულობების დაწესებას.
- 672. ევროკავშირის ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის მიზანია:**  
ყველა სახეობის ტრანსპორტზე გადაადგილების უსაფრთხოების გაუმჯობესება.  
ყველა სახეობის ტრანსპორტზე მგზავრობის ტარიფების გათანაბრება.  
ყველა სახეობის ტრანსპორტზე მგზავრობის ტარიფების შემცირება.  
ყველა სახეობის ტრანსპორტზე მომსახურების დონის ამაღლება.
- 673. ევროკავშირის სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს: (ორი პასუხია სწორი)**  
მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებაში წინააღმდეგობათა დაძლევას.  
მოქალაქეთა უსაფრთხო გაადგილებას.  
დასაქმების პოლიტიკის კოორდინაციას.  
მოქალაქეთა კულტურული დონის ამაღლებას.
- 674. ევროკავშირის სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს: (ორი პასუხია სწორი)**  
მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკას.

მოქალაქეთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას.  
მოქალაქეთა საკვებით მომარაგების გაუმჯობესებას.  
ადამიანისეული რესურსების განვითარებასა და სეგრეგაციასთან ბრძოლას.

**675. ევროკავშირის სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს: (ორი პასუხია სწორი)**

მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას.  
მოქალაქეთა საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.  
მოქალაქეთა ხარჯების შემცირებას.  
ქალისა და მამაკაცის უზრუნველყოფას თანაბარი შესაძლებლობებით.

**676. ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის მიზანია:**

თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ევროპის ეკონომიკური ზონის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა.  
პროდუქციის სარეალიზაციო ფასების შემცირება.  
ინდუსტრიის განახლება-მოდერნიზაცია.  
სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფართო რეკლამირება.

**677. რომელია ევროკავშირში კულტურის სფეროში მოქმედი პროგრამები? (ორი პასუხია სწორი)**

პროგრამა „კალიდოსკოპი“.  
პროგრამა „სინხუა“.  
პროგრამა „არიანა“.  
პროგრამა „დიეგო“.

**678. რომელია ევროკავშირში კულტურის სფეროში მოქმედი პროგრამები? (ორი პასუხია სწორი)**

პროგრამა „არიანა“.  
პროგრამა „სოკრატე“.  
პროგრამა „ევრიპიდე“.  
პროგრამა „რაფაელი“.

**679. რას ითვალისწინებს ევროკავშირში კულტურის სფეროში მოქმედ პროგრამა „კალიდოსკოპი“?**

ევროპული კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას.  
საგამომცემლო საქმეში დახმარებას.  
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებას.  
უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარებას.

**680. რომელია ევროკავშირში განათლების სფეროში მოქმედი პროგრამები? (ორი პასუხია სწორი)**

პროგრამა „რაფაელი“.  
პროგრამა „ერაზმუს მუნდუსი“.  
პროგრამა „კალიდოსკოპი“.  
პროგრამა „არიონი“.

**681. რას ითვალისწინებს ევროკავშირში განათლების სფეროში მოქმედი პროგრამა „სოკრატე“? (ორი პასუხია სწორი)**

პასუხისმგებელ პირთა გამოცდილების გაზიარებას.  
ხელს უწყობს სტუდენტთა გაცვლას უნივერსიტეტებს შორის.  
უზრუნველყოფს განათლების სფეროს ზოგადი ინფორმაციით.  
განათლების კვალიფიკაციის ურთიერთაღიარებას.

**682. რას ითვალისწინებს ევროკავშირში განათლების სფეროში მოქმედი პროგრამა „ერაზმუს მუნდუსი“?**

ემსახურება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების საზღვარგარეთ სტაჟირებას.  
უცხოური ენების სწავლას საზღვარგარეთ.  
უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარებას.  
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებას.

**683. რას ემსახურება ევროკავშირში განათლების სფეროში მოქმედი პროგრამა „ლეონარდო“?**

პროფესიული მომზადების ხელშეწყობას.  
ზრდასრული მოსახლეობის განათლების ამაღლებას.  
უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარებას.  
პასუხისმგებელ პირთა გამოცდილების გაზიარებას.

**684. რას ითვალისწინებს ევროკავშირში განათლების სფეროში მოქმედი პროგრამა „გრუნდტივი“?**

უცხოური ენების სწავლას საზღვარგარეთ.  
ზრდასრული მოსახლეობის განათლების ამაღლებას.  
უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარებას.  
უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების საზღვარგარეთ სტაჟირებას.

**685. რას ითვალისწინებს ევროკავშირში განათლების სფეროში მოქმედი პროგრამა „არიონი“?**

პასუხისმგებელ პირთა გამოცდილების გაზიარებას.  
პროფესიული მომზადების ხელშეწყობას.  
უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარებას.  
უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების საზღვარგარეთ სტაჟირებას.

**686. რას ითვალისწინებს ევროკავშირში განათლების სფეროში მოქმედი პროგრამა „მონე“?**

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტაჟირებას საზღვარგარეთ.  
უმაღლეს განათლებაში ცოდნის გაფართოებას.  
ზრდასრული მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას.  
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებას.

**687. რა ეწოდება ევროკავშირში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროგრამას?**

„ლისაბონის სტრატეგია“.  
„ამსტერდამის სტრატეგია“.  
„პარიზის სტრატეგია“.  
„ბრიუსელის სტრატეგია“.

**688. რას ითვალისწინებს ევროკავშირში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროგრამა, ე.წ. „ლისაბონის სტრატეგია?“ (ორი პასუხია სწორი)**

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ინვესტიციების გადიდებას.  
მოსახლეობის სოციალური დაცულობის გაძლიერებას.  
მეწარმეთა ინიციატივის თავისუფლებას.  
ინფორმაციული ომისაგან დაცვას.

**689. რას ითვალისწინებს ევროკავშირში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროგრამა, ე.წ. „ლისაბონის სტრატეგია?“ (ორი პასუხია სწორი)**

მიმზიდველი კლიმატის შექმნას.  
მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.  
ბიზნესის რეგულირებაში ადმინისტრაციული ბარიერების შეზღუდვას.  
მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას.

**690. რას ითვალისწინებს ევროკავშირში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროგრამა, ე.წ. „ლისაბონის სტრატეგია?“ (ორი პასუხია სწორი)**

სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებში უცხოელ მეცნიერთა ჩართვას.  
მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.  
მეწარმეთა ინიციატივების თავისუფლებას.  
ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

**691. როდის მოაწერს ხელი ევროკავშირმა, აშშ-მა და იაპონიამ ტრანსატლანტიკურ ქარტიას?**

1990 წელს.  
1991 წელს.  
1992 წელს.  
1993 წელს.

**692. რომელმა ქვეყნებმა და ევროკავშირმა მოაწერეს ხელი „ტრანსატლანტიკურ ქარტიას“ ?**

ევროკავშირი, აშშ, კანადა.  
ევროკავშირი, აშშ, დანია.  
ბელგია, ევროკავშირი, იაპონია.  
აშშ, იაპონია, ევროკავშირი.

**693. რას ითვალისწინებს ევროკავშირს, აშშ-სა და იაპონიას შორის ხელმოწერილი ტრანსატლანტიკური ქარტია?**

პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ორმხრივი კავშირების განმტკიცებას.  
კულტურულ სფეროში ორმხრივი კავშირების განმტკიცებას.  
სამხედრო სფეროში ორმხრივი კავშირების განმტკიცებას.  
ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ორმხრივი კავშირების განმტკიცებას.

**694. ევროკავშირში გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა:**

ევროპარლამენტი.  
ევროპის კავშირის საბჭო, იგივე მინისტრების საბჭო.  
ევროკომისია.  
მართლმსაჯულების სასამართლო.

**695. რა ვადით ირჩევენ ევროკავშირის თავმჯდომარეს?**

3 თვე.  
6 თვე.  
9 თვე.  
12 თვე.

**696. ვინ ამზადებს ევროკავშირის მინისტრების საბჭოზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტს?**

კორეპერი.  
კომისარი.  
კოორდინატორი.  
კომივოიაჟერი.

**697. ევროკავშირის მინისტრების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობს გენერალური მდივანი, რომელიც ,  
იმავდროულად, არის ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი:**

სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის სფეროში.  
საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.  
საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის პოლიტიკის სფეროში.  
საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პოლიტიკის სფეროში.

**698. როგორ იღებს გადაწყვეტილებას ევროკავშირის მინისტრთა საბჭო?**

„მარტივი უმრავლესობით“.  
„კვალიფიციური უმრავლესობით“.  
„აბსოლუტური უმრავლესობით“.  
„აწონილი ხმების პრინციპით“.

**699. რომელი ქვეყნები ფლობენ ევროკავშირის მინისტრების საბჭოში ყველაზე მეტ ხმებს?**

გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი.  
გერმანია, იტალია და პოლონეთი.  
დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ესპანეთი.

ესპანეთი, საფრანგეთი და გერმანია.

**700. რამდენ ხმას ფლობს თითოეული ქვეყანა, მაგალითად, გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის მინისტრთა საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას?**

30-30 ხმას.

29-29 ხმას.

28-28 ხმას.

27-27 ხმას.

**701. რამდენია ევროკავშირის მინისტრთა საბჭოში ხმების საერთო რაოდენობა?**

345 ხმა.

354 ხმა.

365 ხმა.

356 ხმა.

**702. რომელია ევროკავშირის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო?**

მინისტრების საბჭო.

ევროპის კომისია.

ევროპის პარლამენტი.

ევროპის პოლიცია.

**703. რამდენი წლის ვადით ინიშნებიან ევროპის კომისიის წევრები (იგივე, კომისრები)?**

5 წლის ვადით.

4 წლის ვადით.

3 წლის ვადით.

6 წლის ვადით.

**704. ევროკავშირის რომელი მმართველობითი ორგანო ამტკიცებს ევროპის კომისიის წევრებს?**

ევროკავშირის მინისტრების საბჭო.

ევროპარლამენტი.

ევროსაბჭო.

ევროკომისია.

**705. რამდენი წევრისგან შედგება ევროპის კომისია?**

25 წევრისგან.

26 წევრისგან.

27 წევრისგან.

28 წევრისგან.

**706. სად მდებარეობს ევროპის კომისიის შტაბ-ბინა?**

ბელგიაში, ქ. ბრიუსელში.

საფრანგეთში, ქ. სტრასბურგში.

ლუქსემბურგში, ქ. ლუქსემბურგში.

გერმანიაში, ქ. ბერლინში.

**707. ევროკომისიის უფლებამოსილებაშია: (ორი პასუხია სწორი)**

ევროკავშირის ბიუჯეტის მართვა.

ევროკავშირში კანონიერების დაცვა.

ევროკავშირის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემუშავება.

ევროკავშირში საგარეო ურთიერთობის კოორდინაცია.

**708. ევროკომისიის უფლებამოსილებაშია: (ორი პასუხია სწორი)**

ევროკავშირის საკანონმდებლო ინიციატივა.

ევროკავშირში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

ევროკავშირის ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

ევროკავშირის ხელშეკრულებების დაცვის მეთვალყურეობა.

**709. ევროკომისიის უფლებამოსილებაშია: (ორი პასუხია სწორი)**

ევროკავშირის პოლიტიკის ადმინისტრირება და აღსრულება.

ევროპული კულტურის ამაღლება.

ევროკავშირში ურთიერთთავსებადობის კრიტერიუმების შემუშავება.

ევროკავშირში საგარეო ურთიერთობის კოორდინაცია.

**710. სად მდებარეობს ევროპარლამენტის შტაბ-ბინა?**

ქ. ლუქსემბურგში.

ქ. ბრიუსელში.

ქ. ბერლინში.

ქ. ჰააგაში.

**711. რა ნიშნით ჯგუფდებიან ევროპარლამენტარები?**

პოლიტიკური ნიშნით.

ეკონომიკური ნიშნით.

სოციალური ნიშნით.

მემკვიდრეობით.

**712. ევროპარლამენტის ფუნქციებია: (ორი პასუხია სწორი)**

ევროკომისიის წინადადებების განხილვა.

ევროპარლამენტის შემადგენლობის დამტკიცება.

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ევროკავშირის საქმიანობის კომტროლი.

ევროპული საბჭოს მოწვევის პროცედურის განსაზღვრა.

**713. რამდენი მოსამართლეა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში?**

28 მოსამართლე.

30 მოსამართლე.

32 მოსამართლე.

34 მოსამართლე.

**714. სად მდებარეობს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო?**

ქ. ჟენევაში.

ქ. ლუქსემბურგში.

ქ. სტრასბურგში.

ქ. ჰააგაში.

**715. რა ფუნციას ასრულებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო?**

იცავს კანონიერებას შეთანხმებათა შესრულებაში.

იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს.

იცავს სახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესებს.

იცავს ევროკავშირის უსაფრთხოებას.

**716. რომელია ევროკავშირის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო?**

მინისტრების საბჭო.

ევროკომისია.

ევროპული საბჭო.

ევროპარლამენტი.

**717. სად მდებარეობს ევროპული საბჭოს შტაბ-ბინა?**

- ქ. სტრასბურგში.
- ქ. ჰააგაში.
- ქ. ლუქსემბურგში.
- ქ. ჟენევაში.

**718. რომელი ქვეყნის ინიციატივით დაარსდა ევროპული საბჭო?**

- გერმანიის.
- საფრანგეთის.
- დიდი ბრიტანეთის.
- იტალიის.

**719. ევროკავშირის ხელშეკრულებით როდის მიენიჭა ევროპულ საბჭოს ოფიციალური სტატუსი?**

- 1975 წელს.
- 1987 წელს.
- 1993 წელს.
- 1997 წელს.

**720. რამდენჯერ იკრიბება ევროპული საბჭო წელიწადში?**

- ერთჯერ.
- ორჯერ.
- სამჯერ.
- ოთხჯერ.

**721. სრულფლებიანი წევრის სტატუსით ვინ ესწრება ევროპულ საბჭოს?**

- ევროკომისიის პრეზიდენტი.
- ევროპარლამენტის თავმჯდომარე.
- ევროკავშირის თავმჯდომარე.
- ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი.

**722. ევროპული საბჭოს მიზანია: (ორი პასუხია სწორი)**

- ევროკავშირის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემუშავება.
- ევროკავშირის ბიუჯეტის მართვა.
- საგარეო ურთიერთობის კოორდინაცია.
- ევროკავშირის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და სამომავლო ამოცანების დასახვა.

**723. რომელ საკითხებს განიხილავენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მეთაურები ევროპულ საბჭოზე? (ორი პასუხია სწორი)**

- განსაზღვრავენ ინტეგრაციის მიმართულებებს.
- აკონტროლებენ ევროკავშირის ფინანსებს.
- ნიშნავენ ევროკომისიისა და ცენტრალური ბანკის პრეზიდენტებს.
- ადმინისტრირებას უწევენ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას.

**724. სად მდებარეობს ევროპის საბჭოს შტაბ-ბინა?**

- ქ. სტრასბურგში.
- ქ. ლუქსემბურგში.
- ქ. ბრიუსელში.
- ქ. ჰააგაში.

**725. რომელი წლიდან არის საქართველო ევროპის საბჭოს წევრი?**

- 1996 წლიდან.



1997 წლიდან.  
1998 წლიდან.  
1999 წლიდან.

**726. რომელი ფორმულირებაა მართებული? ევროპის საბჭოს მიზნებია: (ორი პასუხია სწორი)**  
ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა.  
ევროინტეგრაციის მიმართულებების განსაზღვრა.  
ევროკავშირის ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.  
ევროპული საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება.

**727. რომელი ფორმულირებაა მართებული? ევროპის საბჭოს მიზნებია: (ორი პასუხია სწორი)**  
ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება.  
ევროინტეგრაციის მიმართულებების განსაზღვრა.  
ევროპული კულტურის განვითარება.  
ევროკავშირის ფუნქციონირების ამაღლების ოპტიმალური გზების ძიება.

**728. რამდენი ქვეყანაა გაერთიანებული ევროპის საბჭოში?**  
28 ქვეყანა.  
40 ქვეყანა.  
42 ქვეყანა.  
47 ქვეყანა.

**729. რომელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ევროპის საბჭოში?**  
წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან შემდგარი მინისტრთა კომიტეტი.  
სახელმწიფოების მეთაურების კომიტეტი.  
მთავრობის მეთაურების კომიტეტი.  
უმაღლესი კომისრების კომიტეტი.

**730. რომელია ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანო?**  
საპარლამენტო ასამბლეა.  
მინისტრთა კომიტეტი.  
უმაღლესი კომისრების კომიტეტი.  
საგარეო საქმეთა მინისტრების ჯგუფი.

**731. რომელია ევროკავშირის სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება?**  
ევროპული საინვესტიციო ბანკი.  
ევროპის ცენტრალური ბანკი.  
რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.  
ევროკავშირის განვითარების ბანკი.

**732. ევროკავშირის რომელი სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება აძლევს უპირატესად სახელმწიფო ორგანიზაციებს გრძელვადიან სესხებს?**  
ევროპის ცენტრალური ბანკი.  
ევროპული საინვესტიციო ბანკი.  
რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.  
ევროკავშირის განვითარების ბანკი.

**733. სად მდებარეობს ევროპული საინვესტიციო ბანკის შტაბ-ბინა?**  
ქ. ლუქსემბურგში.  
ქ. ლონდონში.  
ქ. პარიზში.  
ქ. ბერლინში.

**734. რომელი ფორმულირებაა მართებული? ევროპულ საინვესტიციო ბანკს აქვს: (ორი პასუხია სწორი)**  
იურიდიული პირის სტატუსი.  
საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი.  
კომერციული ბანკის ფუნქციები.  
არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი.

**735. ევროპულ საინვესტიციო ბანკს შეუძლია:**  
საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე დამოუკიდებლად მონაწილეობა.  
ევროკავშირის ფინანსების ხარჯვის ზედამხედველობა.  
ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება.  
ევროკომისიის ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

**736. სად მდებარეობს ევროპის ცენტრალური ბანკის შტაბ-ბინა?**  
ქ. მაინის ფრანკფურტში.  
ქ. ლონდონში.  
ქ. ლუქსემბურგში.  
ქ. ბრიუსელში.

**737. რომელი ბანკი განაგებს ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემას?**  
ევროპული საინვესტიციო ბანკი.  
ევროპის ცენტრალური ბანკი.  
რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი.  
ევროპის განვითარების ბანკი.

**738. რომელი მსჯელობაა მართებული? ევროპის ცენტრალური ბანკის ამოცანაა: (ორი პასუხია სწორი)**  
მიმოქცევაში ფულის მართვა.  
წევრ-სახელმწიფოთა სავალუტო გადარიცხვების ზედამხედველობა.  
წევრ-სახელმწიფოთა ოფიციალური საგარეო რეზერვების მართვა.  
წერ-სახელმწიფოთა ვალუტის კურსის სტაბილიზაცია.

**739. რომელი ბანკი დაარსდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხარდასაჭერად ?**  
ევროპის ცენტრალური ბანკი.  
რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი.  
მსოფლიო ბანკი.  
აზიის განვითარების ბანკი.

**740. როდის დაარსდა რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი და სად მდებარეობს მისი შტაბ-ბინა?**  
1990 წელს, პარიზში.  
1991 წელს, ლონდონში.  
1994 წელს, მაინის ფრანკფურტში.  
1997 წელს, ბრიუსელში.

**741. რომელი ორგანო ნიშნავს ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს წევრებს?**  
ევროკავშირის მინისტრების საბჭო.  
ევროკავშირის კომისია.  
ევროკავშირის პარლამენტი  
ევროკავშირის სასამართლო.

**742. რა იგულისხმება „ევროპოლში“ ?**

ევროპის პოლიტიკური გაერთიანება.  
ევროპის პოლიციის სამსახური.  
ევროპარლამენტის ასამბლეა.  
ევროპელთა პროფესიული კავშირი.

**743. ევროკავშირის სამართლის ინსტრუმენტებია: (ორი პასუხია სწორი)**

რეგლამენტი.  
მემორანდუმი.  
დირექტივა.  
ხელშეკრულება.

**744. ევროკავშირის სამართლის ინსტრუმენტებია: (ორი პასუხია სწორი)**

გადაწყვეტილება  
პროტოკოლი.  
პრემიულა.  
რეკომენდაცია და მოსაზრება.

**745. რას ნიშნავს ევროსამართლის ინსტრუმენტი „რეგლამენტი“?**

სავალდებულოა და მოქმედებს ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.  
განსაზღვრულია სავალდებულო მიზანი, რომლის მისაღწევად წევრ-სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ თვითონ შეარჩიონ აღსრულების მექანიზმები.  
სავალდებულოა მისთვის, ვისთვისაც იგია გათვალისწინებული.  
შესასრულებლად არასავალდებულოა და დეკლარაციული ხასიათი აქვს.

**746. რას ნიშნავს ევროსამართლის ინსტრუმენტი „დირექტივა“?**

სავალდებულოა და მოქმედებს ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.  
განსაზღვრულია სავალდებულო მიზანი, რომლის მისაღწევად წევრ-სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ თვითონ შეარჩიონ აღსრულების მექანიზმები.  
სავალდებულოა მისთვის, ვისთვისაც იგია გათვალისწინებული.  
შესასრულებლად არასავალდებულოა და დეკლარაციული ხასიათი აქვს.

**747. რას ნიშნავს ევროსამართლის ინსტრუმენტი „გადაწყვეტილება“?**

სავალდებულოა და მოქმედებს ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.  
განსაზღვრულია სავალდებულო მიზანი, რომლის მისაღწევად წევრ-სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ თვითონ შეარჩიონ აღსრულების მექანიზმები.  
სავალდებულოა მისთვის, ვისთვისაც იგია გათვალისწინებული.  
შესასრულებლად არასავალდებულოა და დეკლარაციული ხასიათი აქვს.

**748. რას ნიშნავს ევროსამართლის ინსტრუმენტი „რეკომენდაცია და მოსაზრება“?**

სავალდებულოა და მოქმედებს ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.  
განსაზღვრულია სავალდებულო მიზანი, რომლის მისაღწევად წევრ-სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ თვითონ შეარჩიონ აღსრულების მექანიზმები.  
სავალდებულოა მისთვის, ვისთვისაც იგია გათვალისწინებული.  
შესასრულებლად არასავალდებულოა და დეკლარაციული ხასიათი აქვს.

**749. ევროკავშირის მოქალაქე შეიძლება იყოს :**

მხოლოდ წევრი სახელმწიფოს მოქალაქე.  
როგორც წევრი, ასევე წევრობაზე განაცხადის შემტანი სახელმწიფოს მოქალაქე.  
არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქე.  
ყველა ევროპული სახელმწიფოს მოქალაქე.

**750. რა უფლებები აქვს ევროკავშირის მოქალაქეს? (ორი პასუხია სწორი)**

ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლება.

შენგენის ზონაში გადაადგილების თავისუფლება.

ადგილობრივ არჩევნებსა და ევროპარლამენტის პირდაპირ არჩევნებში მონაწილეობა და ადგილსამყოფელ ქვეყანაში ხმის მიცემის უფლება.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გადაადგილების თავისუფლება.

**751. რა უფლებები აქვს ევროკავშირის მოქალაქეს? (ორი პასუხია სწორი)**

მფარველობა თითოეული წევრი სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის მხრიდან.

ნაფტას ზონაში გადაადგილების თავისუფლება.

ევროპის ომბუდსმენისადმი მიმართვისა და აპელაციის უფლება.

ასეანის ზონაში გადაადგილების თავისუფლება.

**752. 1993 წელს ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის სამიტზე განსაზღვრა:**

მინისტრთა საბჭოს არჩევის კრიტერიუმები.

წევრი ქვეყნების ხმის მიცემის კვოტირების კრიტერიუმები.

ევროკავშირში მიღების კრიტერიუმები.

ევროკავშირის სამართლის კრიტერიუმები.

**753. ჩამოთვლილთაგან რომელი პასუხია მცდარი? - ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც :**

აღიარებს პლურალისტურ დემოკრაციას.

გმობს უმცირესობათა პატივისცემის გარანტიას.

იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს.

გააჩნია სტაბილური ინსტიტუტები.

**754. რა დადებითი შედეგები იქნა მიღწეული ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად? (ორი პასუხია სწორი)**

საქონლისა და მომსახურების საერთო ბაზარი შეიქმნა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები გაფართოვდა.

ერთიანი ეკონომიკურ-სამართლებრივი სივრცე შეიქმნა.

ოფშორულ ზონებში „შავი ფულის“ „გათეთრება“ შემცირდა.

**755. როდის და სად განისაზღვრა ევროკავშირში მიღების პირობები (კრიტერიუმები)?**

1990 წელს ბრიუსელში.

1993 წელს კოპენჰაგენში.

1995 წელს მასტრიხტში.

1997 წელს ამსტერდამში.

**756. რამდენი ჯგუფის კრიტერიუმია აუცილებელი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის?**

ორი ჯგუფის.

სამი ჯგუფის.

ოთხი ჯგუფის.

არც ერთი მათგანის.

**757. რას გულისხმობს ევროკავშირში გაწევრიანების „პოლიტიკური კრიტერიუმი“? (ორი პასუხია სწორი)**

სტაბილურ ინსტიტუტებს.

მოქმედ საბაზრო ეკონომიკას.

კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და უმცირესობათა პატივისცემის გარანტიას.

ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისადმი ერთგულებას.

**758. მასტრიხტის ხელშეკრულებით რას ითვალისწინებს ურთიერთთავსებადობის კრიტერიუმი? (ორი პასუხია სწორი)**

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს.

საგარეო-სავაჭრო სალდო არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის ნახევარს.

სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს.

უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობას.

**759. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ევროკავშირის სიმბოლო ?**

ევროპული დროშა.

ევროპული ჰიმნი.

ევროპული გერბი.

ევროპული სლოგანი.

**760. 12 ოქროსფერი ვარსკვლავი ევროკავშირის დროშაზე აღნიშნავს:**

სრულყოფილებას, სისრულესა და ერთობას.

წვერი ქვეყნების რაოდენობას.

12 მოციქულს.

შტაბ-ბინების რაოდენობას.

**761. ევროპულ ჰიმნს:**

ოფიციალური ტექსტი არა აქვს და არ იმღერება.

ოფიციალური ტექსტი აქვს და იმღერება.

ოფიციალური ტექსტი აქვს და არ იმღერება.

ოფიციალური ტექსტი არა აქვს და იმღერება.

**762. 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირმა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი:**

გააწვერიანა ევროპულ გაერთიანებაში.

ჩართო „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“.

გააერთიანდა ევროპული პრეფერენციების სისტემაში.

წარადგინა გაერთიანების მომავალ პრეტენდენტებად.

**763. ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე თეორია და პრაქტიკა განასხვავებს განვითარების ოთხ თანამიმდევრულ პროცესს. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელია თანამიმდევრული?**

თავისუფალი სავაჭრო ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი.

თავისუფალი სავაჭრო ზონა, საერთო ბაზარი, საბაჟო კავშირი, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი.

თავისუფალი სავაჭრო ზონა, საბაჟო კავშირი, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი, საერთო ბაზარი,

ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი. თავისუფალი სავაჭრო ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი.

**764. ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ეტაპებში არ შედის :**

თავისუფალი სავაჭრო ზონა.

სპეციალური ეკონომიკური ზონა.

საერთო ან ერთიანი ბაზარი.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი.

**765. ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ეტაპებიდან ყველაზე რთული საფეხურია:**

თავისუფალი სავაჭრო ზონა.

საბაჟო კავშირი.

საერთო ან ერთიანი ბაზარი.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი.

**766. რა განსხვავებაა „თავისუფალ სავაჭრო ზონასა“ და „საბაჟო კავშირს“ შორის ?**

ზონა ითვალისწინებს საბაჟო გადასახადის თანდათანობით შემცირებას, საბაჟო კავშირში კი

თავიდანვე მოხსნილია საბაჟო გადასახადი.

ზონაში თავიდანვე მოხსნილია საბაჟო გადასახადი, საბაჟო კავშირში კი თანდათანობით მცირდება.

ზონა საბაჟო კავშირთან შედარებით უფრო სრულყოფილი სტრუქტურაა.

არანაირი განსხვავება მათ შორის არ არის.

767. რა სახის თავისუფლება მოქმედებს საერთო ბაზრის შიგნით? (ორი პასუხია სწორი)  
საქონლის თავისუფალი მოძრაობა.  
ინფრასტრუქტურის თავისუფალი გადაადგილება.  
ადამიანის თავისუფალი გადაადგილება.  
კლასტერების თავისუფალი გადაადგილება.

768. ჩამოთვლილთაგან რომელია ლათინური ამერიკის უმსხვილესი ინტეგრირებული ბაზარი?  
„მერკოსური“.  
„ლათინურული“.  
„ანდებისური“.  
„მისური“.

769. რომელი გაერთიანების წევრებია შემდეგი ქვეყნები? : გაიანა, ანტიგუა, ბარბადოსი, ტრინიდადი და ტობაგო, დომინიკა და იამაიკა.  
სამხერთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია.  
კარიბის თანამეგობრობა.  
აზია-წყნარი ოკეანის თანამეგობრობა.  
ანდების ჯგუფი.

770. ანდების ჯგუფს მიეკუთვნება შემდეგი ქვეყნები:  
ბოლივია, ეკვადორი, ვენესუელა, კოლუმბია და პერუ.  
მექსიკა, კანადა, აშშ, კუბა.  
პარაგვაი, ურუგვაი, კოსტა-რიკა, ჩილე.  
არგენტინა, ბრაზილია, ჩილე, იამაიკა.

771. რომელ წლებში იყო საქართველო დსთ-ს შემადგენლობაში?  
1993-1997 წწ.  
1997-2001 წწ.  
1993-2008 წწ.  
1990-1995 წწ.

772. რომელმა სახელმწიფოებმა ჩაუყარეს საფუძველი დსთ-ს შექმნას?  
რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელარუსი.  
რუსეთის ფედერაცია, ლიტვა, ლატვია.  
რუსეთის ფედერაცია, ბელარუსი, მოლდოვა.  
რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, აზერბაიჯანი.

773. სექტორული ინტეგრაცია ნიშნავს:  
ტრანსნაციონალური სასაქონლო ბაზრების გაერთიანებას.  
ბაზრების სეგმენტურ დანაწილებას.  
ქვეყნების სექტორულ ინტეგრაციას.  
არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი არაა სწორი.

774. რა სახელით არის ცნობილი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია?  
„ოპელი“.  
„სუამი“.  
„ოპეკი“.  
„დსთ“.

775. „სუამის“ წევრი ქვეყნებია:  
საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ისრაელი.

საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მაკედონია, ისრაელი.  
საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა.  
საქართველო, უზბეკეთი, სასომხეთი, აზერბაიჯანი.

776. დღესდღეობით რომელი გაერთიანების წევრია საქართველო?  
ევროკავშირის.  
ნატოს.  
დსთ-ს.  
სუამი-ს.

## თემა 9. თავისუფალი ეკონომიკური და ოფშორული ზონები

777. რომელია მართებული ფორმულირება? თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ადგილობრივი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს:

გაფართოებული სამეურნეო დამოუკიდებლობა, მართვის განსაკუთრებული რეჟიმი და მეწარმეებისათვის საქმიანობის შეღავათიანი პირობები.  
ავტონომიური რეჟიმი და დეფაქტო მმართველობა.  
უვიზო მიმოსვლის რეჟიმი.  
არც ერთი ჩამოთვლილთაგანი.

778. ხშირად თეზ-ები განიხილება, როგორც :

ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების მთავარი გარანტი.  
ქვეყნის კულტურული უსაფრთხოების მთავარი გარანტი.  
ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბების შემცირების მექანიზმი.  
ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერების მთავარი მექანიზმი.

779. რომელია მართებული ფორმულირება? თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში სახელმწიფო :

აწესებს დამატებით შეზღუდვებს, ამცირებს ეკონომიკურ პროცესებში ჩარევის მასშტაბებს.  
აწესებს დამატებით შეღავათებს, ამცირებს ეკონომიკურ პროცესებში ჩარევის მასშტაბებს.  
ამცირებს დამატებით შეღავათებს, ამცირებს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს.  
ზრდის დამატებით შეღავათებს, ამცირებს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს.

780. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ფრაზა?

თეზ-ში დასაშვებია ის, რაც არ შეიძლება მოცემული ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე.  
თეზ-ში დასაშვებია ის, რაც დასაშვებია მოცემული ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე.  
თეზ-ში არ არის დასაშვები ის, რაც დასაშვები არ არის მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე.  
ყველა ფრაზა მცდარია.

781. 1878-80 წლებში ბათუმი საბაჟო გადასახადებისაგან თავისუფალი ტერიტორია იყო, რომელიც იწოდებოდა :

„ტურისტულ ზონად“.  
„ოფშორულ ზონად“.  
„ტექნიკურ - დანერგვით ზონად“.  
„პორტო-ფრანკოდ“.

**782. რომელმა ქალაქმა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო თავისუფალი პორტის სტატუსი?**

- ვენეცია.
- ფლორენცია.
- გენუა.
- ჰამბურგი

**783. რას ნიშნავს ტერმინი „ექსპანსია“?**

- გავლენის სფეროს გაფართოებას.
- ტერიტორიის დაკარგვას.
- ქვეყნებს შორის ზავის დადებას.
- ეკონომიკურ რყევას.

**784. თავისუფალ ეკონომიკურ და სავაჭრო ზონაში რომელს უწოდებენ „ოქროს სამკუთხედს“?**

- ბერმუდის სამკუთხედს.
- ნაჯიბ-სონბონგის თავისუფალ ეკონომიკურ და სავაჭრო ზონას.
- ამსტერდამ-როტერდამის სამკუთხედს.
- ვენეცია-ფლორენციის სამკუთხედს.

**785. რა ნიშნით განიხილავენ უმსხვილესი საერთაშორისო კომპანიები თეზ-ებს?**

- ზემოგების მიღების ნიშნით.
- თავიანთი თანამშრომლების დასაქმების ნიშნით.
- ინოვაციური განვითარების ნიშნით.
- ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ნიშნით.

**786. ყველაზე მეტად რომელ ქვეყანაშია გავრცელებული თეზ-ები?**

- ჩინეთში.
- აშშ-ში.
- ინგლისში.
- იაპონიაში.

**788. თეზ-ების შექმნა განიხილება:**

- საერთაშორისო კომპანიების განვითარების ერთ-ერთ პრინციპად.
- „ღია ეკონომიკის“ განვითარების ერთ-ერთ პრინციპად.
- უცხოური ინვესტიციების გააქტიურების ერთ-ერთ პრინციპად.
- ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ერთ-ერთ პრინციპად.

**789. დაახლოებით მსოფლიო საქონელბრუნვის რა ნაწილი სრულდება თეზ-ებში?**

- 10 %.
- 30 %.
- 80 %.
- 100 %.

**800. თეზ-ების შექმნის მიზნებია: (ორი პასუხია სწორი)**

- სამრეწველო ექსპორტის სტიმულირებით, დამატებითი სავალუტო რესურსების მიღება.
- ეროვნული ქვეყნიდან სავალუტო რესურსების გადინება.
- ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ადგილობრივი სამუშაო ძალის უცხოეთში დასაქმება.



**801. თეზ-ების შექმნის მიზნებია: (ორი პასუხია სწორი)**

ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებით, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.  
ქვეყნის ინოვაციური განვითარების შემოწმება.  
მენეჯმენტის ახალი მეთოდების შემოწმების საცდელ ეკონომიკურ არეალად გამოყენება.  
ეროვნული ქვეყნის საერთაშორისო კომპანიების უცხოეთში საქმიანობის გააქტიურება.

**802. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წამოადგენს თეზ-ების დისლოკაციის (განლაგების) მთავარ პირობას?**

შიდა და საგარეო ბაზართან დაკავშირებული ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა.  
განვითარებული სამრეწველო, მომსახურების და სოციალური ინფრასტრუქტურის არსებობა.  
ქვეყნის სუვერენიტეტული სტატუსი.  
ფასეული ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი.

**803. რამდენი ფაქტორი განსაზღვრავს თეზ-ების ეკონომიკური ეფექტურობის დონეს?**

ორი ფაქტორი.  
სამი ფაქტორი.  
ოთხი ფაქტორი.  
ხუთი ფაქტორი.

**804. რომელი ფაქტორებია თეზ-ების ეკონომიკური ეფექტურობის დონის განმსაზღვრელი? (ორი პასუხია სწორი)**

შესაბამისი ბაზრების სიახლოვე და გეოპოლიტიკური ვითარება.  
ქვეყნის ჩართულობა ეკონომიკურ ინტეგრაციულ გაერთიანებებში.  
მოქნილი სატრანსპორტო კვანძი და გამართული ლოგისტიკა.  
ქვეყნაში მოქმედი ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა.

**805. ჩამოთვლილთაგან რომელი სახეობის თეზ-ი არ არსებობს?**

თავისუფალი სავაჭრო ზონა.  
ფრანკო-ზონა.  
თავისუფალი სასაწყობო ზონა.  
ტექნოლოგიური ზონა.

**806. რა სახელწოდებითაა ცნობილი ე.წ „მეორე თაობის“ თეზ-ები?**

სამთო-სათხილამურო ზონები.  
ოფშორული ზონები.  
სამრეწველო-საწარმოო ზონები.  
რეკრეაციული ზონები.

**807. „მესამე თაობის“ ზონას მიეკუთვნება:**

ტექნოლოგიური ზონა.  
კულტუროლოგიური ზონა.  
თავისუფალი სავაჭრო ზონა.  
ემიგრანტების ზონა.

**808. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ტექნოლოგიურ ზონას?**

„აბრეშუმის ზონა“.  
„შენჟენი“.  
„სილიკონ ველი“.  
„ბოსტონის მარშრუტი 128“.

**809. მსოფლიოში პირველი კონტინენტური და მაღალტექნოლოგიური დარგების ცენტრია :**

„ჯებელ ალი“.

„კალინინგრადის ზონა“.

„შენჟენი“.

„სონი“.

**810. თეზ-ის შეღავათების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება - განსაკუთრებული საბაჟო ტარიფის შემოღება ან საგარეო-სავაჭრო ოპერაციების გამარტივება?**

საბაჟო შეღავათების ჯგუფს.

საგადასახადო შეღავათების ჯგუფს.

საფინანსო შეღავათების ჯგუფს.

ადმინისტრაციული შეღავათების ჯგუფს.

**811. თეზ-ის შეღავათების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება - კონკრეტული სახეობის საქმიანობაზე საგადასახადო სტიმულირება?**

საბაჟო შეღავათების ჯგუფს.

საგადასახადო შეღავათების ჯგუფს.

საფინანსო შეღავათების ჯგუფს.

ადმინისტრაციული შეღავათების ჯგუფს.

**812. თეზ-ის შეღავათების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება - საწარმოთა გამარტივებული რეგისტრაციის პროცედურები და მოქალაქეთა მიმოსვლის რეჟიმის შემსუბუქება?**

საბაჟო შეღავათების ჯგუფს.

საგადასახადო შეღავათების ჯგუფს.

საფინანსო შეღავათების ჯგუფს.

ადმინისტრაციული შეღავათების ჯგუფს.

**813. თეზ-ის შეღავათების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება - სხვადასხვა სახეობის სუბსიდიები?**

საბაჟო შეღავათების ჯგუფს.

საგადასახადო შეღავათების ჯგუფს.

საფინანსო შეღავათების ჯგუფს.

ადმინისტრაციული შეღავათების ჯგუფს.

**814. ჩამოთვლილთაგან რომელი არ განეკუთვნება უცხოური კაპიტალის მოსაზიდ საჭირო ეფექტურ ფაქტორებს?**

ქვეყანაში მყარი პოლიტიკური სიტუაცია.

ცენტრალური ხელისუფლების ყოველმხრივი მხარდაჭერა.

მიგრაციის მაჩვენებელი.

ინფრასტრუქტურის განვითარების დონე.

**815. განვითარებული ქვეყნების თეზ-ების დამახასიათებელი თავისებურებებია: (ორი პასუხია სწორი)**

საექსპორტო-სამრეწველო ზონების გავრცელება.

დეპრესიულ რაიონებში კლასტერების ჩამოყალიბება.

ფირმების კომპლექსური განვითარების სავაჭრო-სამრეწველო დივერსიფიკაცია.

ზონის ტერიტორიის ანკლავად გადაქცევა.

**816. ნებისმიერი ბიზნესის მთავარი მიზანია:**

დანახარჯების მინიმიზაცია.

წარმოების ზრდა.  
მასშტაბის ეფექტის მიღწევა.  
მაქსიმალური მოგების მიღება.

**817. ოფშორული ბიზნესი არის გადასახადებისაგან თავის აცილების და მოგების გაზრდის ისეთი ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც:**

მოცემული ზონის იურისდიქციის გარეთ ხორციელდება, აქვს შემოსავლების მიღების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.  
მოცემული ზონის იურისდიქციის ფარგლებში ხორციელდება, აქვს შემოსავლის მიღების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.  
მოცემული ზონის იურისდიქციის გარეთ ხორციელდება, აქვს შემოსავლების მიღების ადგილობრივი წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**818. რას ნიშნავს ინგლისური წარმოშობის სიტყვა „ოფშორი“?**

„ნაპირს შიგნით“.  
„ნაპირს გარეთ“.  
„ნაპირთან ახლოს“.  
„უნაპიროს“.

**819. რომელ ქვეყანაში წარმოიშვა პირველად ოფშორული ბიზნესის შექმნის იდეა?**

ინგლისში.  
ესპანეთში.  
იტალიაში.  
მაკედონიაში.

**820. რა სახელით არიან ასევე ცნობილი ოფშორული ცენტრები?**

„საგადასახადო პორტი“.  
„საგადასახადო გემთსაშენი“.  
„საგადასახადო ნავსაყუდელი“.  
„საგადასახადო ლუზა“.

**821. რამ შეუწყო ხელი ოფშორული ცენტრების განვითარებას? (ორი პასუხია სწორი)**

მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ.  
ეროვნულ ქვეყანაში საგადასახადო პირობების გაუმჯობესებამ  
სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებამ.  
საერთაშორისო კომპანიების დაინტერესების დაქვეითებამ.

**822. რამ შეუწყო ხელი ოფშორული ცენტრების განვითარებას? (ორი პასუხია სწორი)**

კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების განვითარებამ.  
დეპრესიული ზონების გაფართოებამ.  
ტნკ-ისა და საბანკო ქსელის გაფართოებამ.  
განვითარებადი ქვეყნების აქტიურობამ.

**823. ოფშორული ზონები არ გამოირჩევიან :**

საბანკო ანგარიშების კონფედენციალურობის მაღალი ხარისხით.  
საშემოსავლო გადასახადების გაუქმებით.

სარეგისტრაციო პროცედურების სირთულით.  
სავალუტო კონტროლის არარსებობით.

**824. რა ეკონომიკური ინტერესები აქვთ სახელმწიფოებს ოფშორული ზონების შექმნით? (ორი პასუხია სწორი)**  
არარეზიდენტებისაგან ფინანსური შემოსავლების დამატებით მიღება.

მიღებულ სავალუტო შემოსავლების დიასპორების დასაფინანსებლად გამოყენება.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის გადიდება.

**825. რა ეკონომიკური ინტერესები აქვთ სახელმწიფოებს ოფშორული ზონების შექმნით? (ორი პასუხია სწორი)**

ზონის სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება.

მიღებული სავალუტო შემოსავლების შეიარაღების დასაფინანსებლად გამოყენება.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

ქვეყნის ეკოლოგიურ ვითარების გაუმჯობესება.

**826. ოფშორულ ზონებში მოქმედი კეთილსასურველი სამართლებრივი რეჟიმი მოიცავს საგადასახადო და ანგარიშგებით სფეროებს, მაგრამ ზონაში კრძალავს: (ორი პასუხია სწორი)**

სამეურნეო საქმიანობას.

ოფშორული კომპანიების საქმიანობის დივერსიფიკაციას.

მოგების ამოღებასა და რეზიდენტებთან გარიგების გაფორმებას.

საზღვარგარეთ სავალუტო გადარიცხვებს.

**827. ტიპური ოფშორული ზონის მაგალითია :**

ფარერის კუნძულები.

სან-მარინოს კუნძულები.

ბაჰამის კუნძულები.

იაპონიის კუნძულები.

**828. რა საერთო (ყველასათვის ნიშანდობლივი) თავისებურებები ახასიათებს ოფშორულ კომპანიებს?**

ოფშორული კომპანიები იქმნება მხოლოდ არარეზიდენტების ანუ უცხოელი ინვესტორების მიერ.

ოფშორული კომპანიები თავიანთ შემოსავლებს (მოგებას) ინოვაციური განვითარებისათვის წარმართავენ.

ოფშორული ბიზნესი და მისი შედეგათები მხოლოდ ადგილობრივი კანონმდებლობით რეგულირდება.

ოფშორული კომპანიები თავიანთი წარმომომავლობის ქვეყანაში საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან.

**829. რომელ ზონებს ახასიათებს სავალუტო კონტროლის არარსებობა და კაპიტალისა და მოგების 100%-იანი რეპატრაციის (დაბრუნების) გარანტია?**

სამრეწველო-საწარმოო ზონებს.

თავისუფალ სავაჭრო ზონებს.

ტურისტულ ზონებს.

ოფშორულ ზონებს.

**830. ოფშორული კომპანიები იქმნება მხოლოდ:**

ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

ადგილობრივი ინვესტორების მიერ.

არარეზიდენტების ანუ უცხოელი ინვესტორების მიერ.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

**831. რამდენ ჯგუფად ხდება ოფშორული ზონების კლასიფიკაცია?**

- ორ ჯგუფად.
- სამ ჯგუფად.
- ოთხ ჯგუფად.
- ხუთ ჯგუფად.

**832. ოფშორული ზონების კლასიფიკაციის რომელ ჯგუფშია დაბეგვრის დონე დაბალი, კონფიდენციალურობა მაღალი, ხოლო აუცილებელი ანგარიშგება არ არსებობს?**

- პირველ ჯგუფში.
- მეორე ჯგუფში.
- მესამე ჯგუფში.
- მეოთხე ჯგუფში.

**833. ოფშორული ზონების კლასიფიკაციის რომელ ჯგუფშია დადგენილი არსებითი საგადასახადო შეღავათები და სავალდებულო ფინანსური ანგარიშგება?**

- პირველ ჯგუფში.
- მეორე ჯგუფში.
- მესამე ჯგუფში.
- მეოთხე ჯგუფში.

**834. ოფშორული ზონების კლასიფიკაციის რომელ ჯგუფში ხდება ორმხრივი შეთანხმებით ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება?**

- პირველ ჯგუფში.
- მეორე ჯგუფში.
- მესამე ჯგუფში.
- მეოთხე ჯგუფში.

**835. ოფშორული ზონების კლასიფიკაციის რომელ ჯგუფშია გაერთიანებული ბაჰამისა და კაიმანის კუნძულები; ასევე კუნძულები: მენი, ტერსკი, კაიკოსი?**

- პირველ ჯგუფში.
- მეორე ჯგუფში.
- მესამე ჯგუფში.
- მეოთხე ჯგუფში.

**836. ოფშორული ზონების კლასიფიკაციის რომელ ჯგუფშია გაერთიანებული კვიპროსი, აშშ-ის დელავერისა და უაიომინგის შტატები?**

- პირველ ჯგუფში.
- მეორე ჯგუფში.
- მესამე ჯგუფში.
- მეოთხე ჯგუფში.

**837. ოფშორული ზონების კლასიფიკაციის რომელ ჯგუფშია გაერთიანებული ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდი და შვედეთი?**

- პირველ ჯგუფში.
- მეორე ჯგუფში.
- მესამე ჯგუფში.
- მეოთხე ჯგუფში.

**838. ოფშორულ იურისდიქციებში საბანკო ბიზნესისთვის უზრუნველყოფილია: (ორი პასუხია სწორი)**

სრული კონფიდენციალურობა.  
კომპანიების ინოვაციური საქმიანობა.  
ეროვნული კონტროლისაგან გათავისუფლება.  
ინტელექტუალური მუშაკების დასაქმება.

**839. რა განაპირობებს ოფშორულ იურისდიქციებში მომუშავე ბანკების რენტაბელობის მაღალ დონეს? (ორი პასუხია სწორი)**

მათი საქმიანობის სრული კონფიდენციალურობა.  
მათი აქტიური საფინანსო საქმიანობა.  
მათი გათავისუფლება ეროვნული კონტროლისგან.  
მათი საქმიანობის დივერსიფიკაცია.

**840. ტრანსკონტინენტურ სასაქონლო გადაზიდვებში საერთაშორისო ვაჭრობის საერთო მოცულობის რა ნაწილი უკავია საზღვაო ტრანსპორტს?**

1/4.  
1/2.  
3/4.  
100 %.

**841. რას გულისხმობს „იაფი დროშის“ პრაქტიკა საზღვაო გადაზიდვების სფეროში?**

გემების ღია რეგისტრაციას დამატებითი მოგების მისაღებად.  
გემების ნებისმიერ პორტში თავისუფლად დგომის უფლებას.  
გემებით ტვირთის ტრანსპორტირებას შეღავათიან ფასებში.  
ასეთი პრაქტიკა არ არსებობს.

**842. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ოფშორული ბიზნესით გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებში?**

არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენცია.  
ინტელექტუალური კაპიტალის შემოღინება.  
დანაშაულებრივი გზით შემოსავლების ლეგალიზაცია.  
ეროვნული ქვეყნიდან კაპიტალის ფართომასშტაბიანი გადინება.

**843. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ოფშორული ბიზნესით გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებში?**

არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენცია.  
განვითარებული ქვეყნის განვითარებად ქვეყნად გადარდაქმნა.  
დანაშაულებრივი გზით შემოსავლების ლეგალიზაცია.  
ეროვნული ქვეყნიდან კაპიტალის ფართომასშტაბიანი გადინება.

**401. ჩამოთვლილთაგან რომელი ნეგატიური მოვლენები გამოიწვია ოფშორულმა ბიზნესმა? (ორი პასუხია სწორი)**

არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენცია.  
ინტელექტუალური კაპიტალის გადინება.  
დანაშაულებრივი გზით შემოსავლების ლეგალიზაცია.  
ეროვნული ქვეყნის ეკონომიკური დონის დაქვეითება.

**844. რას გამოიწვევს ოფშორული ეკონომიკური პრინციპებისა და კონფიდენციალურობის მოშლა? (ორი პასუხია სწორი)**

ოფშორული იურისდიქციების ეკონომიკური განვითარება შეფერხდება.  
გაუარესდება მოსახლეობის მდგომარეობა.

შეფერხდება თავისუფალი ვაჭრობა.  
დაკნინდება ეროვნული ინოვაციური განვითარება.

**845. რომელი ქვეყანაა ოფშორული ბიზნესის რეგულირების გამკაცრების მიმართულებით მსოფლიო ლიდერი?**  
აშშ.

ჩინეთი.

იაპონია.

სამხრეთი კორეა.

**846. ოფშორულ ბიზნესში რომელი მიმართულებით არის განსაკუთრებით აქტიური აშშ?**

ოფშორულ ზონაში საბაჟო ბარიერების გამკაცრების საკითხში.

ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების და ამ მიზნით ოფშორული ბიზნესის გამოყენების გამოაშკარავების საკითხში.

ოფშორულ ზონაში სამხედრო-საწვრთნელი ბაზების განლაგების საკითხში.

ოფშორულ ზონაში ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხში.

**847. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ რა განსაკუთრებული უფლებები მიეცათ აშშ-ის სპეცსამსახურებს?**

სატელეფონო მოლაპარაკებების მოსმენა.

ელექტრონული ფოსტის კონტროლი.

ბანკების საქმიანობის პირდაპირი და მკაცრი ზედამხედველობა.

ყველა პასუხი სწორია.

**848. დაასრულეთ ფრაზა - ეთგოს ანტიოფშორული პოლიტიკა მისივე კონცეფციას „თავისუფალი ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ“... :**

არ ეწინააღმდეგება.

თავსებადია.

ეწინააღმდეგება.

ანვითარებს.

**849. ეთგო-ს მიერ გამოყოფილი კრიტერიუმები ოფშორული ბიზნესისადმი გულისხმობს:**

ვასეულობების გადახედვას.

საბაჟო გადასახადების დაწესებას.

ყოველგვარი ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობასა და საფინანსო სექტორის გამჭვირვალობას.

სარეგისტრაციო პროცედურების გამკაცრებას.

**850. რა მისიით შეიქმნა 1989 წელს სამთავრობოთაშორისი დამოუკიდებელი ორგანიზაცია FATF?**

ტერორიზმთან საბრძოლველად.

„შავი ფულის ლეგალიზაციის“ დაძლევის რეკომენდაციების შესამუშავებლად.

სატარიფო შეზღუდვებთან საბრძოლველად.

ადგილობრივი კაპიტალის გადინებასთან საბრძოლველად.

**851. FATF-ის რეკომენდაციების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ბანკების ვალდებულება შესაბამის ორგანოებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია მსხვილი ფინანსური ოპერაციების შესახებ?**

რეკომენდაციებს ეროვნული სამართლის ფორმირების შესახებ.

რეკომენდაციებს საფინანსო სისტემის ფორმირების შესახებ.

რეკომენდაციებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

არც ერთ მათგანს.

- 852. FATF-ის რეკომენდაციები საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ გულისხმობს :**  
 დამნაშავე პირების ეროვნულ სახელმწიფოზე გადაცემას.  
 ბანკების ვალდებულებას ტრანსაქციების ჩანაწერების შენახვის თაობაზე.  
 მოთხოვნას კლიენტების იდენტიფიკაციის თაობაზე.  
 მოთხოვნას „ფულის გათეთრება“ მიჩნეულ იქნეს სისხლის სამართლებრივ დანაშაულად.
- 853. FATF-ის მიერ განსაზღვრული „შავი სია“ გულისხმობს:**  
 „ფულის გათეთრების“ ცენტრებს, რომლებიც ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ.  
 „ფულის გათეთრების“ ცენტრებს, რომლებიც ორგანიზაციასთან არ თანამშრომლობენ.  
 „ფულის გათეთრების“ სავარაუდო ცენტრებს.  
 „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრებს.
- 854. მთლიანობაში როგორი დამოკიდებულება აქვს განვითარებულ ქვეყნებს ოფშორული ცენტრებისადმი?**  
 ლოიალური.  
 პოზიტიური.  
 ნეგატიური.  
 ნეიტრალური.

## თემა 10. საქართველო ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო სისტემაში

- 855. რას ნიშნავს „დასტურლამალები“?**  
 ლითონის ფულს.  
 გარიგებათა წიგნებს და დიდებულთა კრებულებს.  
 სავაჭრო საქონელს.  
 ქურქ-ბეწვეულს.
- 856. უბველესი დროის რომელ უძლიერეს ქართულ სამეფოს ჰქონდა მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ანტიკურ საბერძნეთთან?**  
 ქართლის სამეფოს.  
 კახეთის სამეფოს  
 ჰერეთის სამეფოს.  
 კოლხეთის სამეფოს.
- 857. რა წარწერა ჰქონდა ათენში აღმოჩენილ წყლის უბველეს ქართულ სასმისს?**  
 „კახმა გამაკეთა მე“.  
 „კოლხმა გამაკეთა მე“.  
 „იბერიამ შემქმნა მე“.  
 „ქართველმა შემქმნა მე“.
- 858. ძვ. წ. II ს-ში ინდოეთიდან მომავალი სავაჭრო გზით რომელი საქონელი შეჰქონდათ ჩინეთიდან ძველი რომის იმპერიაში?**  
 აბრეშუმი.



მარმაში.  
ნელსაცხებლები.  
არც ერთი მათგანი.

**859. საქართველოში რა განსხვავება იყო ფეოდალისა და ვაჭრის კულტებს შორის?**

ფეოდალის კულტია უძრაობა და სტაბილურობა, ვაჭრის მოძრაობა და პასიურობა.  
ფეოდალის კულტია უძრაობა და სტაბილურობა, ვაჭრის მოძრაობა და აქტიურობა.  
ფეოდალის კულტია მოძრაობა და სტაბილურობა, ვაჭრის მოძრაობა და პასიურობა.  
ფეოდალისა და ვაჭრის კულტი არ არსებობდა.

**860. ივანე ჯავახიშვილს აზრით, რა ეწოდებოდა ვაჭართა წყობილების უფროსს?**

ქორ-ვაჭარი.  
ჩარჩ-ვაჭარი.  
ბურჟუა-ვაჭარი.  
ვაჭართუხუცესი.

**861. ბაგრატ კურაპალატის დროინდელ საქართველოში რომელი სოციალური ფენა იყო იმდენად დაფასებული, რომ მოცემული ფენის წარმომადგენლებს მოსამართლეებად ნიშნავდნენ ?**

ბურჟუაზია.  
ვაჭრები.  
არისტოკრატები.  
დარბაისლები.

**862. პაკისტანელი ეკონომისტის მაჰზუბ ალ ჰაქსის ინიციატივით, რომელი სახელწოდების პროგრამა დაამუშავა გაერომ?**

ადამიანის განვითარების ინდექსის პროგრამა.  
ტერორიზმის გამომაშკარავების პროგრამა.  
მიგრაციის განვითარების ინდექსის პროგრამა.  
კრეატიული ეკონომიკის განვითარების ინდექსის პროგრამა.

**863. ადმიანის პოტენციალის განვითარების ინდექსით რომელი მაჩვენებლები განისაზღვრება ქვეყანაში?**

ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება.  
ცოდნა.  
ღირსეული ცხოვრების სტანდარტი.  
ყველა ჩამოთვლილი ერთად.

**864. რომელი პარამეტრით იზომება ღირსეული ცხოვრების სტანდარტი?**

სარეალიზაციო ფასების დონით.  
საგარეო ვაჭრობის დონით.  
მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის დონით.  
ინფრასტრუქტურული განვითარების დონით.

**865. რა დიაპაზონით განისაზღვრება ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი ?**

0-დან 1-მდე.  
0-დან 10-მდე.  
0-დან 100-მდე.  
არც ერთით.

866. 2014 წლის მონაცემებით, მერამდენე ადგილს იკავებს საქართველო ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით 178 ქვეყანას შორის ?
- 59-ე.
  - 69-ე.
  - 79-ე.
  - 89-ე.
867. რამდენი კატეგორიის საშუალო არითმეტიკულით გაიანგარიშება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი.
- 10.
  - 20.
  - 30.
  - 40.
868. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელი კატეგორიის ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველო?
- თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.
  - უპირატესად თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.
  - უპირატესად არათავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.
  - არათავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.
869. წლების განმავლობაში რომელი ქვეყანა ლიდერობს ინოვაციების გლობალური ინდექსის მიხედვით ?
- შვეიცარია.
  - რუსეთი.
  - კანადა.
  - ჩინეთი.
870. რომელი ქვეყნებია „ინოვაციური ლიდერები“?
- შვეიცარია, სკანდინავიის ქვეყნები, სინგაპური, დ. ბრიტანეთი, ნიდერლანდი, ჰონკონგი, აშშ.
  - ჩინეთი, ინდოეთი, კორეა, ეთიოპია, ფინეთი, დანია.
  - აშშ, კანადა, ბრაზილია, განა, ეგვიპტე, სირია.
  - ისრაელი, საქართველო, შვედეთი, ირლანდია, საფრანგეთი.
871. რომელი ცნობილი ინდექსი ასახავს ინოვაციური საქმიანობის კომერციულ შედეგებს, ასევე სამთავრობო პოლიტიკას ინოვაციური სფეროს მხარდაჭერასა და წახალისებაში?
- „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“.
  - „ინოვაციების გლობალური ინდექსი“.
  - „გლობალური კონურენტუნარიანობის ინდექსი“.
  - „ადამიანური განვითარების ინდექსი“.
872. რომელი კრიტერიუმი არ შედის „ცოდნის ეკონომიკის ინდექსში“?
- „ეკონომიკურ-ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსი“.
  - „სავაჭრო ინდექსი“.
  - „ინოვაციების ინდექსი“.
  - „ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინდექსი“.
873. 1992 წლის 31 ივლისს რომელი ორგანიზაციის წევრად მიიღეს საქართველო?
- გაეროს.

ევროკავშირის.  
ნატოს.  
დსთ-ს.

**874. „ეროვნული სიმდიდრის შეფასების მეთოდის“ კრიტერიუმებია:**

ბუნებრივი რესურსები.  
საწარმოო კაპიტალი.  
ადამიანისეული კაპიტალი.  
ყველა ერთად.

**875. რა რესურსული პოტენციალი არ გააჩნია საქართველოს?**

ჰელიორესურსების პოტენციალი.  
ჰიდროენერგორესურსების პოტენციალი.  
ჰიდრომინერალური რესურსული პოტენციალი.  
ნავთობის რესურსული პოტენციალი.

**876. დაასრულეთ ფრაზა - სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოს:**

საგარეო ვაჭრობა მცირდება, სავაჭრო სალდო კი უარყოფითია.  
საგარეო ვაჭრობა იზრდება, სავაჭრო სალდო კი უარყოფითია.  
საგარეო ვაჭრობა იზრდება, სავაჭრო სალდო კი დადებითია.  
სავაჭრო სალდო ნულის ტოლია.

**877. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა:**

იმპორტის მოცულობის ზრდა.  
იმპორტის მოცულობის შეზღუდვა.  
ექსპორტის მოცულობის ზრდა.  
სავაჭრო სალდოს ნულოვანი მაჩვენებლის მიღწევა.

**878. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ეფექტური ათვისების ძირითადი რეზერვა ქვეყანაში არსებული :**

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.  
მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება.  
შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება.  
ყველა პასუხი სწორია.

**879. რა კატეგორიის საქონლის რექსპორტს ახდენს საქართველო -ანუ ვყიდით იმას, რასაც ვყიდულობთ?**

მსუბუქი ავტომობილები.  
თხილი.  
ნავთობპროდუქტები.  
მინერალური წყლები.

**880. რომელია საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა?**

რუსეთი.  
უკრაინა.  
თურქეთი.  
აზერბაიჯანი.

- 881. რომელია საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა?**  
აზერბაიჯანი.  
თურქეთი.  
იტალია.  
რუსეთი.
- 881. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული წილის მიხედვით, რომელი ქვეყანაა საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი 2014 წლის მონაცემებით?**  
ნიდერლანდი.  
დიდი ბრიტანეთი.  
თურქეთი.  
რუსეთი.
- 882. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ეკონომიკის რომელ სექტორში განხორციელდა ყველაზე მეტი ინვესტიცია საქართველოში?**  
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.  
უძრავი ქონება.  
გადამამუშავებელი მრეწველობა.  
ყველა პასუხი მცდარია.
- 883. როგორ გამოიყურება უმსხვილესი ინვესტორების სამეული საქართველოში 2014 წლის მონაცემებით?**  
ნიდერლანდი, აზერბაიჯანი, რუსეთი.  
დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი.  
ნიდერლანდი, აზერბაიჯანი, ჩინეთი.  
აზერბაიჯანი, ჩინეთი, საფრანგეთი.

## თემა 11. სახელმწიფოთა სახელშეკრულებო ურთიერთობები

- 884. საერთაშორისო ხელშეკრულებების შემადგენელი ელემენტებია:**  
პრეამბულა, ძირითადი ნაწილი.  
პრეამბულა, დასკვნა.  
პრეამბულა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- 884. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?**  
საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება სხვადასხვა სახელწოდებით გაფორმდეს, კერძოდ, თვით ხელშეკრულება, შეთანხმება, ოქმი, კონვენცია, პაქტი, კომუნიკე და სხვ.  
საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელია მისი ხელმოწერა. ზოგჯერ საჭიროა ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაცია ქვეყნის პარლამენტის მიერ.  
საერთაშორისო ხელშეკრულება არის როგორც ვადიანი, ისე უვადო.  
ხელშეკრულებას, გაფორმებულს წერილობითი ფორმით ეწოდება ჯენტლმენური შეთანხმება.
- 885. საერთაშორისო ხელშეკრულებების პრეამბულაში აღინიშნება:**  
მხარეთა დასახელება.  
მიწოდების პირობები.

მოქმედების ვადა.  
კონკრეტული შეთანხმებები პროდუქციის ფასზე.

**886. საერთაშორისო ხელშეკრულებების ძირითად ნაწილში აღინიშნება:**

მხარეთა დასახელება.  
მიწოდების პირობები.  
მოქმედების ვადა.  
მიზანი.

**887. საერთაშორისო ხელშეკრულებების დასკვნაში აღინიშნება:**

მხარეთა დასახელება.  
მიწოდების პირობები.  
დენონსაციისა და პროლონგაციის წესი.  
კონკრეტული შეთანხმებები პროდუქციის ფასზე.

**888. რომელ ენებზე ფორმდება გაეროს ეგიდით დადებული ხელშეკრულება?**

ინგლისურ, ესპანურ, რუსულ, არაბულ და ფრანგულ ენებზე.  
ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, არაბულ და ფრანგულ ენებზე.  
ინგლისურ, ესპანურ, რუსულ, იტალიურ და ფრანგულ ენებზე.  
ინგლისურ, იტალიურ, რუსულ, არაბულ და ფრანგულ ენებზე.

**889. რას ნიშნავს ხელშეკრულების რატიფიკაცია?**

ხელშეკრულების შეწყვეტას.  
ხელშეკრულების გაგრძელებას.  
ხელშეკრულების დამტკიცებას.  
ხელშეკრულების ცვლილებას.

**890. ორმხრივი ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ მხარეები ერთმანეთს უცვლიან:**

რატიფიკაციის სიგელებს.  
რატიფიციულ ხელშეკრულებებს.  
რატიფიკაციის ოქმებს.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**891. ვმო-ის დაფუძნების შესახებ მარაქემის შეთანხმება მოიხსენიება, როგორც:**

ორმხრივი ხელშეკრულება.  
მრავალმხრივი ხელშეკრულება.  
სპეციალური ხელშეკრულება.  
ნეიტრალური ხელშეკრულება.

**892. მრავალმხრივი ხელშეკრულების გაფორმებისას ხელშეკრულების დედანი ბარდება:**

მიმღებ ქვეყანას.  
დეპოზიტურ ქვეყანას.  
ნეიტრალურ ქვეყანას.  
გაეროს სამდივნოს.

**893. საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერისას, რატიფიკაციისა და მასთან მიერთების დროს, სახელმწიფოს შეუძლია მასში შეიტანოს ერთგვარი:**

დაზუსტება (დათქმა).  
შენიშვნა.  
რეკომენდაცია.  
მინიშნება.

**894. რას ნიშნავს ლათინური გამოთქმა: „პაქტა სენტ სერვანდა“?**

საერთაშორისო შეთანხმების აუცილებელ შესწორებას.  
საერთაშორისო შეთანხმების აუცილებელ შესრულებას.  
საერთაშორისო შეთანხმების აუცილებელ გაგრძელებას.  
საერთაშორისო შეთანხმების აუცილებელ დამტკიცებას.

**895. რას ნიშნავს ხელშეკრულების დენონსაცია?**

ხელშეკრულების შეწყვეტას.  
ხელშეკრულების გაგრძელებას.  
ხელშეკრულების დამტკიცებას.  
ხელშეკრულების ცვლილებას.

**896. რას ნიშნავს ხელშეკრულების პროლონგაცია?**

ხელშეკრულების შეწყვეტას.  
ხელშეკრულების გაგრძელებას.  
ხელშეკრულების დამტკიცებას.  
ხელშეკრულების ცვლილებას.

**897. საერთაშორისო ეკონომიკური ხელშეკრულების რამდენი სახეობა არის გაგრძელებული?**

ორი.  
სამი.  
ოთხი.  
ხუთი.

**898. რამდენ ტიპად იყოფა ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულება?**

ორ სახეობად.  
სამ სახეობად.  
ოთხ სახეობად.  
ხუთ სახეობად.

**899. ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულების ტიპი არ არის: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სავაჭრო ხელშეკრულება და შეთანხმება.  
სამთავრობათაშორისო შეთანხმება ეკონომიკურ-რელიგიური თანამშრომლობის შესახებ.  
სამთავრობათაშორისო ეკონომიკური შეთანხმება.  
საერთაშორისო სავაჭრო-კულტურული შეთანხმება.

**900. საერთაშორისო ხელშეკრულების სახეობა არ არის:**

სავაჭრო ხელშეკრულება და შეთანხმება.  
სამთავრობათაშორისი ეკონომიკური შეთანხმება.  
სამთავრობათაშორისი შეთანხმება ფინანსური დახმარების შესახებ.  
სამოქალაქო-სამართლებრივი საერთაშორისო ხელშეკრულება.

**901. საერთაშორისო ხელშეკრულების სახეობა არ არის:**

სამთავრობათაშორისი შეთანხმება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.  
სამთავრობათაშორისი შეთანხმება გამოსაყენებელი სამართლის შესახებ.  
სამთავრობათაშორისი ეკონომიკური შეთანხმება.  
სამთავრობათაშორისი შეთანხმება ინვესტიციების შესახებ.

**902. გაეროს კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ” მოიხსენიება, როგორც:**  
ვენის 1980 წლის კონვენცია.  
მარაქემის 1994 წლის ხელშეკრულება.  
განვითარების რაუნდი.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**903. რომელ ვალდებულებებზე არ ვრცელდება გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ?” (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
პირადი, ოჯახური ან საყოფაცხოვრებო გამოყენების მიზნით გათვალისწინებული საქონლის გაყიდვებზე.  
სამრეწველო დანიშნულების საქონლის გაყიდვებზე.  
ელექტროენერჯის გაყიდვებზე.  
საცალო და საბითუმო საქონლის გაყიდვებზე.

**904. სახელმწიფოს უფლება არ არის:**  
აირჩიოს საკუთარი ეკონომიკური სისტემა.  
თავისუფლად განახორციელოს სუვერენიტეტი საკუთარ რესურსებზე.  
ხელი შეუწყოს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.  
ეკონომიკის სფეროში გააფორმოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვათა დისკრიმინაციის გარეშე.

**905. სახელმწიფოს უფლება არ არის:**  
აირჩიოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ფორმები.  
აირჩიოს ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების საშუალებები.  
თავისუფლად განახორციელოს სუვერენიტეტი ბუნებრივ სიმდიდრეებსა და ყოველგვარ ეკონომიკურ საქმიანობაში.  
ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან საერთო ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების სფეროში.

**906. სახელმწიფოს უფლება არის:**  
არ დაუშვას სხვა სახელმწიფოთა დისკრიმინაცია.  
უზრუნველყოს შესაბამისი კომპენსაცია უცხოური საკუთრების ნაციონალიზაციის, ექსპროპრიაციის ან სხვაზე გადაცემის შემთხვევაში.  
ეკონომიკური განვითარების მიზნით ითანამშრომლოს რეგიონულ და საერთაშორისო თანამეგობრობასთან.  
აირჩიოს ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების საშუალებები.

**907. სახელმწიფოს უფლება არ არის:**  
შიდასახელმწიფოებრივი სამართლითა და ეროვნული სასამართლოებით მოაწესრიგოს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დავები.  
არ დაუშვას სხვა სახელმწიფოთა დისკრიმინაცია.  
გააკონტროლოს უცხოური ინვესტიციები.  
გააკონტროლოს ტნკ-ის საქმიანობა.

**908. სახელმწიფოს უფლება არ არის:**  
მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმებში.  
უზრუნველყოს შესაბამისი კომპენსაცია უცხოური საკუთრების ნაციონალიზაციის, ექსპროპრიაციის ან სხვაზე გადაცემის შემთხვევაში.  
ეკონომიკური განვითარების მიზნით ითანამშრომლოს რეგიონულ და საერთაშორისო თანამეგობრობასთან.  
თავისუფლად განახორციელოს სუვერენიტეტი საკუთარ რესურსებზე.

**909. სახელმწიფოს ვალდებულება არ არის:**

ხელი შეუწყოს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.  
არ გამოიყენოს იძულებითი ხასიათის ისეთი ეკონომიკური ღონისძიებები, რომლებიც შელახავს სხვათა სუვერენულ უფლებებს და, იმავდროულად, გამოიწვევს საკუთარი სარგებლის მიღებას.  
ეკონომიკური განვითარების მიზნით ითანამშრომლოს რეგიონულ და საერთაშორისო თანამეგობრობასთან.  
არ დაუშვას სხვა სახელმწიფოთა დისკრიმინაცია.

**910. სახელმწიფოს ვალდებულება არის:**

ეკონომიკური განვითარების მიზნით ითანამშრომლოს რეგიონულ და საერთაშორისო თანამეგობრობასთან.  
გააკონტროლოს უცხოური ინვესტიციები.  
თავისუფლად განახორციელოს სუვერენიტეტი საკუთარ რესურსებზე  
გააფართოოს და განამტკიცოს პრეფერენციული (შელავათიანი) სისტემა განვითარებადი ქვეყნებისათვის.

**911. სახელმწიფოს ვალდებულება არ არის:**

გააფართოოს და განამტკიცოს პრეფერენციული (შელავათიანი) სისტემა განვითარებადი ქვეყნებისათვის.  
გააკონტროლოს უცხოური ინვესტიციები.  
ითანამშრომლოს მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად და ამ სფეროში არსებული წინააღმდეგობების დასაძლევად.  
გაითვალისწინოს განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ინტერესები.

**912. სახელმწიფოს ვალდებულება არ არის:**

თავისუფლად განახორციელოს სუვერენიტეტი საკუთარ რესურსებზე.  
უზრუნველყოს, რომ ინტეგრაციული გაერთიანების პოლიტიკა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის საჭიროებებს პასუხობდეს.  
უფრო რაციონალური და სამართლიანი ქმედებებით ითანამშრომლოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში.  
უზრუნველყოს შესაბამისი კომპენსაცია უცხოური საკუთრების ნაციონალიზაციის, ექსპროპრიაციის ან სხვაზე გადაცემის შემთხვევაში.

**913. სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა წარმოიშობა მაშინ, როცა:**

სახელმწიფო რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშლება.  
ორი ან მეტი სახელმწიფო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდება.  
სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილიდან ახალი სახელმწიფო წარმოიშობა.  
ყველა პასუხი სწორია.

**914. სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა წარმოიშობა მაშინ, როცა:**

ერთი სახელმწიფოს ტერიტორია მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაში გადავა.  
ერთი სახელმწიფოს ნაცვლად, გარკვეული ცვლილების გამო, სხვა სახელმწიფო წარმოიშობა.  
ორი ან მეტი სახელმწიფო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდება.  
ყველა პასუხი სწორია.

**915. საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი არ არის:**

სახელმწიფოს ტერიტორია.  
საერთაშორისო ხელშეკრულებები.  
სახელმწიფო საკუთრება.  
სახელმწიფოს სახელწოდება.

**916. საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი არ არის:**

სახელმწიფოს ეკონომიკა.  
სახელმწიფო საკუთრება.  
სახელმწიფო ვალეები და არქივები.



საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა.

**917. საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი არის:**

საერთაშორისო ხელშეკრულებები.  
სახელმწიფოს ეკონომიკა.  
სახელმწიფოს სახელწოდება.  
სახელმწიფოს გერბი, დროშა.

**918. საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი არის: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

საერთაშორისო ხელშეკრულებები.  
სახელმწიფოს სომბოლოები.  
საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა  
სახელმწიფოს ეკონომიკა.

**919. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ სამართალმემკვიდრეობის პრინციპებია:**

**(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სახელმწიფოს ტერიტორიის გადაცემასთან ერთად იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადასვლა, რომლებიც ამ ტერიტორიას ეხება.  
სახელმწიფოთა საკუთრების კომპენსაციის გარეშე გადაცემა, თუ მხარეების მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.  
სახელმწიფოს დანაწილების დროს საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებათა იმ ნაწილში შენარჩუნება, რომელიც აგრძელებს არსებობას როგორც წინამორბედი სახელმწიფო.  
ახალი სახელმწიფოს წარმოშობის დროს მასზე წინამორბედი სახელმწიფოს ქონების გადაცემა.

**920. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ სამართალმემკვიდრეობის პრინციპი არ არის:**

სახელმწიფოს ტერიტორიის გადაცემასთან ერთად იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადასვლა, რომლებიც ამ ტერიტორიას ეხება.  
სახელმწიფოთა გაერთიანების დროს გაერთიანებული სახელმწიფოს მიმართ მათი ადრინდელი ხელშეკრულებების იურიდიული ძალის შენარჩუნება.  
სახელმწიფოს დანაწილების დროს საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებათა იმ ნაწილში შენარჩუნება, რომელიც აგრძელებს არსებობას როგორც წინამორბედი სახელმწიფო.  
ახალი სახელმწიფოს წარმოშობის დროს მასზე წინამორბედი სახელმწიფოს ქონების გადაცემა.

**921. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ სამართალმემკვიდრეობის პრინციპი არ არის:**

**(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სახელმწიფოს ტერიტორიის გადაცემასთან ერთად იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადასვლა, რომლებიც ამ ტერიტორიას ეხება.  
სახელმწიფოთა გაერთიანების დროს გაერთიანებული სახელმწიფოს მიმართ მათი ადრინდელი ხელშეკრულებების იურიდიული ძალის შენარჩუნება.  
სახელმწიფო საკუთრების კომპენსაციის გარეშე გადაცემა, თუ მხარეების მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.  
სახელმწიფოთა გაერთიანების დროს თითოეულის ქონების გაერთიანებულ სახელმწიფოზე გადასვლა.

**922. საკუთრებასთან დაკავშირებით სამართალმემკვიდრეობის პრინციპებია:**

**(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სახელმწიფო საკუთრების შემადგენლობისა და მოცემულ სახელმწიფოზე ქონების მიკუთვნება ამ სახელმწიფოს შიდა სამართლით განსაზღვრა.  
სახელმწიფო საკუთრების კომპენსაციის გარეშე გადაცემა, თუ მხარეების მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.  
სახელმწიფოთა გაერთიანების დროს თითოეულის ქონების გაერთიანებულ სახელმწიფოზე გადასვლა;  
სახელმწიფოს დანაწევრების დროს მისი საზღვარგარეთული ქონების, „სამართლიანი წილით“, მემკვიდრე სახელმწიფოზე გადაცემა (დასაშვებია კომპენსაციაც).

**923. საკუთრებასთან დაკავშირებით სამართალმემკვიდრეობის პრინციპია:**

**(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სახელმწიფოს ტერიტორიის გადაცემასთან ერთად იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებების გადასვლა, რომლებიც ამ ტერიტორიას ეხება.  
სახელმწიფოთა გაერთიანების დროს თითოეული ქონების გაერთიანებულ სახელმწიფოზე გადასვლა.  
სახელმწიფოს დანაწილების დროს საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებათა იმ ნაწილში შენარჩუნება, რომელიც აგრძელებს არსებობას როგორც წინამორბედი სახელმწიფო;  
სახელმწიფოთა გაერთიანების დროს თითოეულის ქონების გაერთიანებულ სახელმწიფოზე გადასვლა.

**924. სახელმწიფოთა სუვერენიტეტი არის:**

სახელმწიფო ურთიერთობების დამოუკიდებლობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.  
სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობა საერთაშორისო ურთიერთობებში.  
სახელმწიფოს ტერიტორიული დამოუკიდებლობა საერთაშორისო ურთიერთობებში.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**925. გაეროს 1970 წლის დეკლარაციით, „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“, „სუვერენული თანასწორობის“ ცნება ნიშნავს, სახელმწიფოთა:**

იურიდიულ თანასწორობას ანუ საერთაშორისო თანასაზოგადოების თანასწორუფლებიან წევრობას.  
სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.  
სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემას.  
ყველა პასუხი სწორია.

**926. გაეროს 1970 წლის დეკლარაციით, „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“, „სუვერენული თანასწორობის“ ცნება არ ნიშნავს, სახელმწიფოთა:**

იურიდიულ თანასწორობას ანუ საერთაშორისო თანასაზოგადოების თანასწორუფლებიან წევრობას.  
სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.  
სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემას.  
სხვა სახელმწიფოს საგარეო საქმეებში ჩარევას.

**927. სახელმწიფოს იურისდიქცია არის:**

მისი სუვერენიტეტის გამოვლენა, სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა ერთობლიობა განიხილონ, სამართლებრივად შეაფასონ და გადაწყვიტონ რაიმე საკითხი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.  
სახელმწიფო ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) უზენაესობა ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობა საერთაშორისო ურთიერთობებში.  
სახელმწიფოთაშორის მიღწეული შეთანხმებით ცნონ ესა თუ ის ნორმა სავალდებულო ქცევის წესად.  
თანამშრომლობა მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად და ამ სფეროში არსებული წინააღმდეგობების დასაძლევად.

**928. სახელმწიფოთა იურისდიქცია ძალაუფლების ხასიათის მიხედვით არის:**

ეროვნული (ტერიტორიული) და ექსტერიტორიული.  
საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.  
სრული და შეზღუდული.  
ეროვნული, საკანონმდებლო და სრული.

**929. სახელმწიფოთა იურისდიქცია მოქმედების სფეროს მიხედვით არის:**

ეროვნული (ტერიტორიული) და ექსტერიტორიული.  
საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.  
სრული და შეზღუდული.  
ეროვნული, საკანონმდებლო და სრული.

**930. სახელმწიფოთა იურისდიქცია მოცულობის მიხედვით არის:**

ეროვნული (ტერიტორიული) და ექსტერიტორიული.  
საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.  
სრული და შეზღუდული.

ეროვნული, საკანონმდებლო და სრული.

**931. რომელი ქვეყნის იურისდიქციაში იმყოფება საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქე?**

საკუთარი ქვეყნის.

საზღვარგარეთის ქვეყნის.

როგორც საკუთარი, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნის.

ნეიტრალური ქვეყნის.

**932. რა ახასიათებდათ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკებს?**

(ერთი ან ორი პასუხია სწორი)

სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული ეკონომიკა.

სახელმწიფო ქონებაზე პირადი საკუთრების უპირატესობა.

ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციული მეთოდები.

სახელმწიფო ქონების საზღვარგარეთ გადაცემა.

**933. რა არ ახასიათებდათ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკებს?**

სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული ეკონომიკა.

საერთო-სახალხო საკუთრება.

ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციული მეთოდები.

კერძო საკუთრების უპირატესობა.

**934. რომელ საუკუნეში შეწყვიტა არსებობა სოციალისტურმა სისტემამ?**

XX საუკუნეში.

XXI საუკუნეში.

XIX საუკუნეში.

XVIII საუკუნეში.

**935. როდის გახდა საქართველო სუვერენული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი?**

1991 წლის 9 აპრილს.

1991 წლის 26 მაისს.

1992 წლის 9 მაისს.

1992 წლის 23 ნოემბერს.

**936. რომელი სახელმწიფო ორგანოებით ახორციელებს საქართველო თავის იურისდიქციას საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში?**

საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს მთავრობა.

ყველა პასუხი სწორია.

**937. რომელი სახელმწიფო ორგანოთი ახორციელებს საქართველო თავის იურისდიქციას საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში?**

გამგეობა.

პარლამენტი.

მერია.

თვითმმართველობა.

**938. რომელი სახელმწიფო ორგანოთი არ ახორციელებს საქართველო თავის იურისდიქციას საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში?**

საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს მთავრობა.

საქართველოს თვითმმართველობა.

**939. რომელი სახელმწიფო ინსტიტუტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს?**

საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს მთავრობა.

საქართველოს თვითმმართველობა.

**940. საქართველოს რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია ასეთი ფორმულირება? „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“.**

საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოს ორგანულ კანონში „უნიდრუსას პრინციპების გამოყენების აუცილებლობის შესახებ“.

საქართველოს ორგანულ კანონში „სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების დანერგვის შესახებ“.

საქართველოს ორგანულ კანონში „სახელშეკრულებო ვალდებულებების სამართლის შესახებ“.

**941. რომელი სახელმწიფო ინსტიტუტია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას და განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს?**

საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს მთავრობა.

საქართველოს თვითმმართველობა.

**942. რომელ სახელმწიფო ინსტიტუტს მიმართავს საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ?**

საქართველოს პრეზიდენტს.

საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს მთავრობას.

საქართველოს თვითმმართველობას.

**943. რომელი სახელმწიფო ინსტიტუტია აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას?**

საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს მთავრობა.

საქართველოს თვითმმართველობა.

**944. საერთაშორისო ხელშეკრულება არის:**

სახელმწიფოთა შორის მიღწეული შეთანხმება ცნონ ესა თუ ის ნორმა სავალდებულო ქცევის წესად.

ერთი ეკონომიკური სუბიექტიდან მეორეზე უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის მიღწეული აშკარად გამოხატული შეთანხმება, რომელიც არეგულირებს მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა სფეროებს გარკვეული უფლებებისა და ვალდებულებების შექმნის გზით. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**945. გაეროს (ვენის) 1969 წლის კონვენციის - „საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“- თანახმად, რა შემთხვევაში ჩაითვლება ხელშეკრულება ბათილად?**

თუ ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, მის იმპერატიულ ნორმებს.

თუ ხელშეკრულება არღვევს სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპს.

თუ ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფოს წარმომადგენლის მიმართ ძალის ან ძალისმიერი მუქარის, მოტყუების, მოსყიდვის გზით.  
ყველა პასუხი სწორია.

**946. საქართველოს რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია ასეთი ფორმულირება? „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.**

საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოს ორგანულ კანონში „უნიდრუას პრინციპების გამოყენების აუცილებლობის შესახებ“.

საქართველოს ორგანულ კანონში „სახელმშეკრულებო სამართლის პრინციპების დანერგვის შესახებ“.

საქართველოს ორგანულ კანონში „სახელმშეკრულებო ვალდებულებების სამართლის შესახებ“.

**947. რომელ შემთხვევაშია მართებული ფრაზა? მირითადი პრობლემ წარმოიშობა მაშინ, როცა საერთაშორისო შეთანხმებას .... :**

არ ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი კანონების მიმართ.

არ ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა საერთაშორისო კანონების მიმართ.

გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი კანონების მიმართ.

გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა საერთაშორისო კანონების მიმართ.

**948. საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება არის:**

სახელმწიფოთა შორის მიღწეული შეთანხმება ცნონ ესა თუ ის ნორმა სავალდებულო ქცევის წესად.

ერთ სახელმწიფოში მიღწეული შეთანხმება ცნოს ესა თუ ის ნორმა სავალდებულო ქცევის წესად.

სახელმწიფოთა შორის მიღწეული შეთანხმება ცნონ ესა თუ ის ნორმა არასავალდებულო ქცევის წესად.

ერთ სახელმწიფოში მიღწეული შეთანხმება ცნოს ესა თუ ის ნორმა არასავალდებულო ქცევის წესად.

**949. რომელ წელს მიიღეს „სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების“ ქარტია?**

1971 წელს.

1972 წელს.

1973 წელს.

1974 წელს.

**950. რომელ წელს მიიღეს დეკლარაცია „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“?**

1970 წელს.

1972 წელს.

1973 წელს.

1974 წელს.

**951. რომელ წელს მიიღო იუნკტადმა „საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპები“?**

1960 წელს.

1964 წელს.

1969 წელს.

1974 წელს.

**952. იუნსიტრალის მონაწილეობით რომელი მნიშვნელოვანი კონვენციები მიიღეს?**

(ერთი ან ორი პასუხია სწორი)

გაეროს 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“.

„აუქციონებზე საქონლის გაყიდვის შესახებ“.

„ტვირთების საზღვაო გადაზიდვების შესახებ“;

„საქონლის ელექტრონული წესით გაყიდვის შესახებ“.

**953. რომელი კონვენციის შემუშავებაში არ მიუღია მონაწილეობა იუნსიტრალს?**

გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“;

„ტვირთების საზღვაო გადაზიდვების შესახებ“.  
დეკლარაცია „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“.  
ტიპური კანონი „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ“.

**954. რომელი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია მუშაობს სამართლებრივი ნორმების უნიფიკაციაზე?**

იუნსიტრალი.  
ინკოტერმსი.  
უნიდრუა.  
იუნკტადი.

**955. სამართლებრივი ნორმების არაოფიციალურ კოდიფიკაციასა (სტატისტიკური მასალების სისტემატიზაცია კოდირების საშუალებით) და უნიფიკაციას ახორციელებს:**

საერთაშორისო სავაჭრო პალატა.  
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.  
მსოფლიო ბანკი.  
საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

**956. საერთაშორისო სავაჭრო პალატამ შეიმუშავა:**

დოკუმენტალური აკრედიტივის უნიფიცირებული წეს-ჩვეულებები.  
უნიფიცირებული წესები ინკასოს შესახებ.  
სავაჭრო ტერმინების განმარტებები.  
ყველა პასუხი სწორია.

**957. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების ფუნქციებია:**

სახელმწიფოთა ძირითადი უფლებებისა და ვალდებულებების გაძლიერება.  
საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.  
საერთო-საკაცობრიო ფასეულობების დაცვა.  
ყველა პასუხი სწორია.

**958. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების ფუნქციებია:**

საერთაშორისო სამართლის ერთიანობის, განვითარებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.  
საერთაშორისო სამართალში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების შევსება.  
საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.  
ყველა პასუხი სწორია.

**959. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების ფუნქცია არ არის:**

საერთაშორისო სამართლის ერთიანობის, განვითარებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.  
საერთაშორისო სამართალში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების შევსება.  
საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.  
სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

**960. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების ფუნქცია არ არის:**

სახელმწიფოთა ძირითადი უფლებებისა და ვალდებულებების გაძლიერება.  
სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა.  
საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.  
საერთო-საკაცობრიო ფასეულობების დაცვა.

**961. რამდენი პრინციპია განსაზღვრული სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის მიზნით?**

ხუთი პრინციპი.  
რვა პრინციპი.  
ათი პრინციპი.  
თორმეტი პრინციპი.

- 962. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი არ არის:**  
 სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისთვის ნიშანდობლივი უფლებების პატივისცემა.  
 სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობა.  
 სახელმწიფოთა საზღვრების ურღვეობა.  
 სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.
- 963. ჩამოთვლილთაგან რომელია სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა.  
 სახელმწიფოთა ეკონომიკური ექსპანსია.  
 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა.  
 სახელმწიფოთა სავაჭრო ურთიერთობა.
- 964. ჩამოთვლილთაგან რომელია სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი?**  
 საერთაშორისო სამართლის ერთიანობის, განვითარებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.  
 საერთაშორისო სამართალში კერ კიდევ არსებული ხარვეზების შევსება.  
 საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.  
 ძალისა და ძალისმიერი მუქარის გამოყენებაზე უარის თქმა.
- 965. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოთა ეკონომიკური დისკრიმინაციის ანუ უფლებათა უკანონო შელახვის აკრძალვას, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში თავისუფალ მონაწილეობას?**  
 სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისთვის ნიშანდობლივი უფლებების პატივისცემა.  
 ძალისა და ძალისმიერი მუქარის გამოყენებაზე უარის თქმა.  
 სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
 საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა.
- 966. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი გულისხმობს შეიარაღებული ძალების გამოყენების აკრძალვას?**  
 სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისთვის ნიშანდობლივი უფლებების პატივისცემა.  
 ძალისა და ძალისმიერი მუქარის გამოყენებაზე უარის თქმა.  
 სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
 საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.
- 967. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი გულისხმობს ტერიტორიულ მთლიანობას?**  
 ადებულ ვალდებულებათა უცილობელი შესრულება.  
 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა.  
 სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
 საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.
- 968. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი გულისხმობს დავების გადასაწყვეტად მოლაპარაკებათა გამართვას, მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებას, საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებათა ჩარჩოებში სადავო საკითხების მოწესრიგებას, საერთაშორისო არბიტრაჟისა და სასამართლოების გამოყენებას?**  
 საერთაშორისო ვალდებულებების პირნათლად შესრულება.  
 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა.  
 საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა.  
 საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.
- 969. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპია დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობის პრაქტიკასთან, რომლის სახეობად გვევლინება ეკონომიკური ბლოკადა, ასევე ისეთი ღონიძიებების გატარება, რომლებიც სახელმწიფოთა კომპეტენციაშია მოქცეული?**

სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისთვის ნიშანდობლივი უფლებების პატივისცემა.  
სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა.  
სამინაო საქმეებში ჩაურევლობა.

**970. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი აკისრებს ყოველ სახელმწიფოსა და საერთაშორისო თანამეგობრობას ამ უფლებათა უზრუნველყოფაზე მკაცრ პასუხიმგებლობას?**

სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისთვის ნიშანდობლივი უფლებების პატივისცემა.  
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა.  
სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა.

**971. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი გულისხმობს ეკონომიკურ განვითარებას, რაც კოლონიალიზმისა და უცხოური უღლის აკრძალვას ნიშნავს?**

ხალხთა თანასწორობა და თვითგამორკვევა.  
სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა.  
სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობა.

**972. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი ავალდებულებს ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში სახელმწიფოებს ერთობლივად ითანამშრომლონ გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად?**

სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისთვის ნიშანდობლივი უფლებების პატივისცემა.  
სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა.  
სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობა.

**973. სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის რომელი პრინციპი ეხება ყველა ნორმას - სახელმწიფოებს და ჩვეულებით-სამართლებრივ სფეროს?**

აღებულ ვალდებულებათა უცილობელი შესრულება.  
ძალისა და ძალისმიერი მუქარის გამოყენებაზე უარის თქმა.  
სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.  
საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა.

**974. საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის სპეციალური (დარგობრივი) პრინციპებია:**

სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობა.  
ეკონომიკურ საქმიანობასა და ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოთა სუვერენიტეტი.  
ურთიერთხელსაყრელობა და თანაბარი სარგებლიანობა.  
ყველა პასუხი სწორია.

**975. საერთაშორისო-სამართლებრივ სისტემის სპეციალური (დარგობრივი) პრინციპი არ არის:**

სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობა.  
ეკონომიკურ საქმიანობასა და ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოთა სუვერენიტეტი.  
ურთიერთხელსაყრელობა და თანაბარი სარგებლიანობა.  
არათანაბარი სარგებლიანობა.

**976. ეკონომიკური თანამშრომლობა ნიშნავს:**

ეკონომიკურ ურთიერთობებში სარგებლის მიღებას.  
მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო-ეკონომიკურ პროცესებში შეუზღუდავი მონაწილეობის უფლებას.  
სახელმწიფოთა ვალდებულებას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში.



ყველა პასუხი სწორია.

**977. ეკონომიკური თანამშრომლობა არ ნიშნავს:**

ეკონომიკურ ურთიერთობებში სარგებლის მიღებას.  
მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო-ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლების არ ქონას.  
სახელმწიფოთა ვალდებულებას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში.  
სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების შემზღვეველი ეკონომიკური ღონისძიებების აკრძალვას.

**978. ეკონომიკური თანამშრომლობა არ ნიშნავს:**

ეკონომიკურ ურთიერთობებში სარგებლის მიღებას.  
მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო-ეკონომიკურ პროცესებში შეუზღუდავი მონაწილეობის უფლებას.  
სახელმწიფოთა ვალდებულებას მონაწილეობა არ მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში.  
სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების შემზღვეველი ეკონომიკური ღონისძიებების აკრძალვას.

**979. ეკონომიკური თანამშრომლობა არ ნიშნავს:**

ეკონომიკურ ურთიერთობებში სარგებლის მიღებას.  
მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო-ეკონომიკურ პროცესებში შეუზღუდავი მონაწილეობის უფლებას.  
სახელმწიფოთა ვალდებულებას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში.  
სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების შემზღვეველი ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას.

**980. ეკონომიკურ საქმიანობასა და ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ ნიშნავს:**

საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრის ფლობის, განკარგვის, კონტროლისა და ექსპლუატაციის თავისუფალუფლებას, თავის ეკონომიკურ საქმიანობაში თავისუფლებას.  
ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეჟიმთა (კონცესიები) განსაზღვრის უფლებას, ეკონომიკის განვითარების ფორმებისა და მეთოდების, საგარეო-ეკონომიკური კავშირების ორგანიზაციის, საკუთარი ბაზრის ლიბერალიზაციის ან პროტექციონიზმის ღონისძიებათა არჩევის უფლებას.  
საექსპორტო-საიმპორტო, სავალუტო და სხვა ეკონომიკურ ოპერაციებზე სახელმწიფოებრივი კონტროლის უფლების არ ქონას.  
სათანადო კომპენსაციით უცხოური კერძო საკუთრების ნაციონალიზაციის უფლებას.

**981. ეკონომიკურ საქმიანობასა და ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოს სუვერენიტეტი ნიშნავს:**

საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრის ფლობის, განკარგვის, კონტროლისა და ექსპლუატაციის თავისუფალუფლებას, თავის ეკონომიკურ საქმიანობაში თავისუფლებას.  
ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეჟიმთა (კონცესიები) განსაზღვრის უფლებას, ეკონომიკის განვითარების ფორმებისა და მეთოდების, საგარეო-ეკონომიკური კავშირების ორგანიზაციის, საკუთარი ბაზრის ლიბერალიზაციის ან პროტექციონიზმის ღონისძიებათა არჩევის უფლებას.  
სათანადო კომპენსაციით უცხოური კერძო საკუთრების ნაციონალიზაციის უფლებას.  
ყველა პასუხი სწორია.

**982. ჩამოთვლილთაგან რა მიიჩნევა ეკონომიკურ ურთიერთობებში დისკრიმინაციად?**

განვითარებული სახელმწიფოების მიერ განვითარებადი სახელმწიფოებისათვის მინიჭებული არაურთიერთხელსაყრელი პრეფერენციები (შეღავათები).  
ერთი სახელმწიფოს მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მეტი უფლებების მინიჭება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან შედარებით.  
შიდა ბაზრისა და ეროვნული ეკონომიკის დაცვის ღონისძიებები (კვოტირება და ა. შ.), თუ ისინი ყველა სახელმწიფოსათვის თანაბარი მოცულობითა და ხარისხით ხორციელდება.  
ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოებისთვის ზღვაზე თავისუფლად გასვლის ღონისძიებები.

## თემა 12. საერთაშორისო კომერციული გარიგებები

**983. ეკონომიკური შეთანხმება, რომელიც რაიმე გარემოებაზე ორი (ან მეტი) ქვეყნის საჯარო და/ან კერძო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობას ასახავს, არის:**

საერთაშორისო კომერციული გარიგება.

საერთაშორისო ლიზინგი.

საერთაშორისო პატენტი.

საერთაშორისო ფრანშიზინგი.

**984. საერთაშორისო კომერციული გარიგება არის:**

ეკონომიკური შეთანხმება, რომელიც რაიმე გარემოებაზე ორი (ან მეტი) ქვეყნის საჯარო და/ან კერძო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობას ასახავს.

ნებართვა რაიმე საქმიანობის გარკვეულ საზღვრებში განსახორციელებლად.

მანქანა-მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და საწარმოო დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი (6 თვიდან რამდენიმე წლამდე) იჯარა.

გრძელვადიანი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურების განხორციელებას.

**985. საერთაშორისო კომერციული გარიგების იურიდიული საფუძველია:**

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

მხარეთა შორის გაგზავნილი ოფერტი.

მხარეთა შორის ჩატარებული მოლაპარაკება.

მხარეთა შორის გაგზავნილი აქცეპტი.

**986. ხელშეკრულება საერთაშორისოა, თუ ის:**

გაფორმებულია სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ერთი სახელმწიფოს საწარმოების მიერ.

გაფორმებულია ერთ ქვეყანაში მდებარე სხვადასხვა სახელმწიფოს საწარმოთა მიერ.

გაფორმებულია ერთ ქვეყანაში ერთი სახელმწიფოს საწარმოების მიერ.

გაფორმებულია ერთი სახელმწიფოს ფედერაციული სტრუქტურების მიერ.

**987. „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ არის:**

გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია.

გაეროს (ვენის) 1985 წლის კონვენცია.

გაეროს (ვენის) 1986 წლის კონვენცია.

გაეროს (ვენის) 1988 წლის კონვენცია.

**988. როდის შეუერთდა საქართველო გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენციას?**

1994 წელს.

1992 წელს.

1991 წელს.

1989 წელს.

**989. რომელ წელს და სად მიიღეს კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის დროს გამოყენებული სამართლის შესახებ“?**

1980 წელს, ვენაში.

1983 წელს, ოტავაში.

1986 წელს, ჰააგაში.

1994 წელს, მეხიკოში.

**990. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების რამდენი დონე არსებობს?**

- ორი დონე.
- სამი დონე.
- ოთხი დონე.
- ხუთი დონე.

**991. „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ მიიღეს:**

- 1985 წელს.
- 1986 წელს.
- 1987 წელს.
- 1989 წელს.

**992. ხელშეკრულების დადების პრინციპად არ მიიჩნევა:**

- ხელშეკრულების თავისუფლება.
- დამოუკიდებლობა სამართლის არჩევანში.
- საქმიანი პრაქტიკისა და სავაჭრო ჩვეულებათა დაცვა.
- „უნიდრუას პრინციპები“.

**993. რაში ვლინდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი?**

- საქმიანი ადამიანების იმ უფლებებში, რომ მათ ნებაყოფლობით შეუძლიათ ნებისმიერ გარიგებაში მონაწილეობა და მისი შინაარსის განსაზღვრა.
- მხარეთა მიერ გამოსაყენებელი სამართლის თავისუფალ არჩევანში.
- საქმიანი პრაქტიკისა და სავაჭრო ჩვეულებათა თავისუფალ დაცვაში.
- ხელშეკრულების შესრულებისას სამართლიან ქცევაში.

**994. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ვლინდება იმაში, რომ:**

- მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების დადებამდე ჩაატარონ მოლაპარაკება.
- მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივი შეთანხმებით შეცვალონ შეთანხმება.
- მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივი შეთანხმებით შეწყვიტონ შეთანხმება.
- ყველა პასუხი სწორია.

**995. დამოუკიდებლობა სამართლის არჩევანში გულისხმობს:**

- ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად გაცნობის უფლებას.
- გამოსაყენებელი სამართლის თავისუფალი არჩევის უფლებას.
- ხელშეკრულების თავისუფლად გაფორმების უფლებას.
- მოლაპარაკების თავისუფლად ჩატარების უფლებას.

**996. ხელშეკრულების დადების პრინციპი - „კეთილსინდისიერება, გონიერება და სამართლიანობა“ - განმტკიცებულია:**

- სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების გაეროს 1974 წლის ქარტიაში.
- „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის 1980 წლის კონვენციაში.
- „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის დროს გამოყენებული სამართლის შესახებ“ ჰააგის 1986 წლის კონვენციაში.
- „უნიდრუას პრინციპებში“.

**997. რომელ კანონმდებლობებშია მოცემული ხელშეკრულების დადების პრინციპი – „საქმიანი პრაქტიკისა და სავაჭრო ჩვეულებათა დაცვა“?**

- ეროვნულ კანონმდებლობებში.
- საერთაშორისო კომერციულ სამართალში.
- როგორც ეროვნულ კანონმდებლობებში, ისე საერთაშორისო სამართალში.
- „უნიდრუას პრინციპებში“.

**998. საერთაშორისო კომერციული გარიგება მიიღწევა: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

მოლაპარაკების გზით.  
საერთაშორისო კომერციული სამართლის მოთხოვნით.  
ოფერტისა და აქცეპტის საფუძველზე.  
„უნიდრუას პრინციპების“ გამოყენებით.

**999. საერთაშორისო კომერციული გარიგება მიიღწევა: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ტიპური კონტრაქტების მეშვეობით.  
არატიპური კონტრაქტების მეშვეობით.  
სტანდარტული პირობების გათვალისწინებით.  
ლიზინგური ურთიერთობით.

**1000. საერთაშორისო კომერციული გარიგება არ მიიღწევა:**

ტიპური კონტრაქტების მეშვეობით.  
სტანდარტული პირობების გათვალისწინებით.  
საშინაო ვაჭრობის შედეგად.  
საჯარო ვაჭრობის შედეგად.

**1001. საერთაშორისო კომერციული გარიგება არ მიიღწევა:**

ოფერტისა და აქცეპტის საფუძველზე.  
მოლაპარაკების გზით.  
„საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებით“ („უნიდრუას პრინციპები“).  
საჯარო ვაჭრობის შედეგად.

**1002. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას ეწოდება:**

აქცეპტი.  
ოფერტი.  
კონტრაქტი.  
მოლაპარაკება.

**1003. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას მიღებაზე თანხმობას ეწოდება:**

აქცეპტი.  
ოფერტი.  
კონტრაქტი.  
მოლაპარაკება.

**1004. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას მიმცემ მხარეს ეწოდება:**

აქცეპტანტი.  
ოფერენტი.  
კონტრაქტი.  
მოლაპარაკება.

**1005. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას მიმღებ მხარეს ეწოდება:**

აქცეპტანტი.  
ოფერენტი.  
კონტრაქტი.  
მოლაპარაკება.

**1006. ვინ ამუშავებს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების ტიპურ კონტრაქტებს?**

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია („იუნკტადი“).  
პროფესიული ასოციაციები.  
კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი („უნიდრუა“).

საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

**1007. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების დადება საჯარო ვაჭრობის შედეგად ხდება:**

მოლაპარაკების გზით.  
ოფერტისა და აქცეპტის საფუძველზე.  
კონტრაქტის დადებით.  
აუქციონის ან ტენდერის წესით.

**1008. აუქციონზე გაიმარჯვებს ის პირი, რომელიც:**

გასაყიდ საქონელში უფრო მაღალ ფასს გადაიხდის.  
საკონკურსო კომისიას უკეთეს პირობებს შესთავაზებს.  
გასაყიდი საქონელის ღირებულებას უფრო სწრაფად გადაიხდის.  
საკონკურსო კომისიას თავის მოთხოვნას პირველი წარუდგენს.

**1009. ტენდერში გაიმარჯვებს ის პირი, რომელიც:**

გასაყიდ საქონელში უფრო მაღალ ფასს გადაიხდის.  
საკონკურსო კომისიას უკეთეს პირობებს შესთავაზებს.  
გასაყიდი საქონელის ღირებულებას უფრო სწრაფად გადაიხდის.  
საკონკურსო კომისიას თავის მოთხოვნას პირველი წარუდგენს.

**1010. ხელშეკრულების წერილობით ფორმაში იგულისხმება:**

სატელეგრაფო შეტყობინება.  
ტელეტაიპით.  
წერილების ურთიერთგაცვლა.  
ყველა პასუხი სწორია.

**1011. რომელი მსჯელობა არაა მართებული?**

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში ხელშეკრულების ფორმის არჩევა თავისუფალია.  
„უნიდრუას პრინციპებით“ და მხარეთა უბრალო შეთანხმებით, დასაშვებად მიჩნეულია სათანადოდ გაფორმებული და დამტკიცებული კომერციული ხელშეკრულების შეცვლა ან მისი მოქმედების შეწყვეტა.  
ხელშეკრულების გაუქმებასა და ვალდებულების შეწყვეტას შორის არ არის არსებითი განსხვავება.  
ხელშეკრულებამ შეიძლება მიიღოს ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის ან სხვა სახელწოდება.

**1012. რას ნიშნავს ხელშეკრულების ანულირება?**

ხელშეკრულების გაგრძელებას.  
ხელშეკრულების დამტკიცებას.  
ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმებას.  
ხელშეკრულების გაგრძელებას.

**1013. რა შემთხვევაშია მართლზომიერი ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების გაწყვეტა?**

**როცა მეორე მხარე:**  
თავის ვალდებულებას არ ასრულებს.  
თავის ვალდებულებას ჯეროვნად არ ასრულებს.  
თავის ვალდებულებას ასრულებს.  
პირველ და მეორე შემთხვევებში.

**1014. რომელი ქვეყნის სამართლით დასაშვებია ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმება, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებას? თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება დარღვეულად ითვლება და დაზარალებულ მხარეს მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. მაგრამ, ამისათვის აუცილებელია ერთი მნიშვნელოვანი პირობის შესრულება – დაზარალებული მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის აქცეპტირება ანუ დადასტურება:**  
ფრანგული სამოქალაქო სამართლით.

აშშ-ის საერთო სამართლით.  
ინგლისური საერთო სამართლით.  
გერმანული სამართლით.

**1015. კომერციული ხელშეკრულების ძირითადი ნიშანია:**

გარიგებაში ერთ-ერთი კონტრაპენტი (მხარე) უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირია. ხელშეკრულების შესრულების დროს, საქონელი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიას გადაკვეთს. ხელშეკრულებას ხელს აწერს მხარეთა უფლებამოსილი პირები და მათი ხელმოწერა დასტურდება ბეჭდით. ყველა პასუხი სწორია.

**1016. კომერციული ხელშეკრულების ძირითადი ნიშანი არ არის:**

გარიგებაში ერთ-ერთი კონტრაპენტი (მხარე) უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირია. ხელშეკრულებას ხელს აწერს ყოველი მხარის უფლებამოსილი პირი და მისი ხელმოწერა არ არის აუცილებელი დადასტურდეს ბეჭდით. ხელშეკრულების შესრულების დროს, საქონელი სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიას გადაკვეთს. ხელშეკრულებას ხელს აწერს მხარეთა უფლებამოსილი პირები და მათი ხელმოწერა დასტურდება ბეჭდით.

**1017. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების ძირითადი ნიშანი არ არის:**

გარიგებაში ერთ-ერთი კონტრაპენტი (მხარე) უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირია. გარიგებაში ერთ-ერთი კონტრაპენტი (მხარე) არ შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფოს ფიზიკური პირი. ხელშეკრულების შესრულების დროს, საქონელი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიას გადაკვეთს. ხელშეკრულებას ხელს აწერს მხარეთა უფლებამოსილი პირები და მათი ხელმოწერა დასტურდება ბეჭდით.

**1018. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების ძირითადი ნიშანია:**

გარიგებაში ერთ-ერთი კონტრაპენტი (მხარე) არ შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფოს ფიზიკური პირი. ხელშეკრულებას ხელს აწერს მხარეთა უფლებამოსილი პირები და მათი ხელმოწერა ბეჭდის დადასტურებას არ საჭიროებს. ხელშეკრულების შესრულების დროს, საქონელი ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას ვერ გადაკვეთს. ხელშეკრულებას ხელს აწერს მხარეთა უფლებამოსილი პირები და მათი ხელმოწერა დასტურდება ბეჭდით.

**1019. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების აუცილებელი იურიდიული პირობაა:**

კონტრაგენტებად (მხარეებად) უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირების არსებობა. გაყიდული საქონლის მიერ ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიის გადაკვეთა. გამყიდველიდან მყიდველზე საქონლის საკუთრების გადაცემა. ხელშემკვერელი ერთ-ერთი მხარის მიერ მესამე პირზე ვალდებულების გადაცემა.

**1020. საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ასრულებს:**

ერთ ძირითად ფუნქციას.  
ორ ძირითად ფუნქციას.  
სამ ძირითად ფუნქციას.  
ოთხ ძირითად ფუნქციას.

**1021. რა ფუნქციას ასრულებს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება?**

იურიდიულად ადასტურებს მხარეებს შორის ურთიერთობას და გარიგებას ვალდებულების ხასიათს აძლევს, რომლის შესრულებაც სამართლებრივად დაცულია. განსაზღვრავს პარტნიორთა მიერ გარიგების შესრულების წესს, თანამიმდევრობასა და მეთოდებს. ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ყველა პასუხი სწორია.

**1022. რა ფუნქციას არ ასრულებს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება?**

იურიდიულად ადასტურებს მხარეებს შორის ურთიერთობას და გარიგებას ვალდებულების ხასიათს აძლევს. განსაზღვრავს პარტნიორთა მიერ გარიგების შესრულების წესს, თანამიმდევრობასა და მეთოდებს.

ითვალისწინებს მხარეების მიერ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.  
არ ითვალისწინებს მხარეების მიერ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

**1023. საერთაშორისო ხელშეკრულებებში კომერციული პირობები განსაზღვრავს:**

მხარეთა ვალდებულებებს გამყიდველიდან მყიდველამდე საქონლის მიწოდების შესახებ.  
საჯარიმო სანქციებს მხარეთა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.  
საქონლის რაოდენობას, ხარისხს, ფასს, შეფუთვას, მიწოდებისა და ღირებულების გადახდის პირობებს.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**1024. საერთაშორისო ხელშეკრულებებში სატრანსპორტო პირობები განსაზღვრავს:**

მხარეთა ვალდებულებებს გამყიდველიდან მყიდველამდე საქონლის მიწოდების შესახებ.  
საჯარიმო სანქციებს მხარეთა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.  
საქონლის რაოდენობას, ხარისხს, ფასს, შეფუთვას, მიწოდებისა და ღირებულების გადახდის პირობებს.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**1025. საერთაშორისო ხელშეკრულებებში იურიდიული პირობები განსაზღვრავს:**

მხარეთა ვალდებულებებს გამყიდველიდან მყიდველამდე საქონლის მიწოდების შესახებ.  
საჯარიმო სანქციებს მხარეთა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.  
საქონლის რაოდენობას, ხარისხს, ფასს, შეფუთვას, მიწოდებისა და ღირებულების გადახდის პირობებს.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**1026. ჩვეულებრივ, კონტრაქტის ტექსტი იწყება:**

ხელშეკრულების საგნით.  
საქონლის ფასით და კონტრაქტის საერთო ღირებულებით.  
მხარეთა იურიდიული მისამართებით.  
პრემბულით.

**1027. კომერციული ხელშეკრულების (კონტრაქტის) პრემბულაში მიეთითება:**

მხარეთა იურიდიული მისამართები.  
საჯარიმო სანქციები და ზარალის ანაზღაურება.  
კონტრაქტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, ხელმოწერის ადგილი და თარიღი.  
დაუძლეველი ძალის გარემოებები (ფორსმაჟორი).

**1028. კონტრაქტის პრემბულაში არ აღინიშნება:**

ორგანიზაციის საფირმო დასახელება.  
ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა.  
საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობა.  
საწარმოს (ორგანიზაციის) ადგილმდებარეობა.

**1029. კონტრაქტის პრემბულაში არ აღინიშნება:**

მხარეთა ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ.  
საწარმოს (ორგანიზაციის) ადგილმდებარეობა.  
შეტყობინება საქონლის გადაზიდვის შესახებ.  
კონტრაქტის სარეგისტრაციო ნომერი.

**1030. კონტრაქტში აუცილებელია სისტემის მითითება საერთაშორისო მეტრულ სისტემასთან ერთად. ზომა-წონის რომელი სისტემა მოქმედებს, მაგ., კანადასა და ავსტრალიაში?**

ანგლო-ამერიკული.  
ანგლო-გერმანული.  
ბრიტანულ-გერმანული.  
ამერიკულ-იტალიური.

- 1031. მიწოდების საბაზისო პირობები განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს:**  
საქონლის ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვის შესახებ.  
გამყიდველის ვალდებულებას საქონლის შეფუთვისა და მარკირების შესახებ.  
გამყიდველიდან მყიდველზე საქონლის დაზიანებისა და დაკარგვის რისკის გადაცემის დროსა და ადგილს.  
ყველა პასუხი სწორია.
- 1032. მიწოდების საბაზისო პირობები განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს:**  
მიწოდებული საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის შესახებ.  
საქონლის მიწოდების პერიოდში მისი ბუნებრივი კლებადობის (გაშრობა, გაცვივნა და სხვ.) დონის შესახებ.  
გამყიდველიდან მყიდველზე საქონლის დაზიანებისა და დაკარგვის რისკის გადაცემის დროს და ადგილს.  
არაკომერციული დოკუმენტების გაფორმების შესახებ.
- 1033. მიწოდების საბაზისო პირობები არ განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს:**  
მიწოდებული საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის შესახებ.  
საქონლის ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვის შესახებ.  
გამყიდველის ვალდებულებას საქონლის შეფუთვისა და მარკირების შესახებ.  
საქონლის (ტვირთის) დაზღვევის შესახებ.
- 1034. მიწოდების საბაზისო პირობები არ განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს:**  
კომერციული დოკუმენტების გაფორმების შესახებ.  
საექსპორტო-საიმპორტო ლიცენზიების, საბაჟო და სხვა ფორმალობათა შესრულების შესახებ.  
საქონლის მიწოდების პერიოდში მისი ბუნებრივი კლებადობის (გაშრობა, გაცვივნა და სხვ.) დონის შესახებ.  
გამყიდველიდან მყიდველზე საქონლის დაზიანებისა და დაკარგვის რისკის გადაცემის დროს და ადგილს.
- 1035. მიწოდების საბაზისო პირობები არ ეხება:**  
იურიდიულ საკითხებს.  
სატრანსპორტო საკითხებს.  
საფასო საკითხებს.  
კულტურულ-ტექნოლოგიურ საკითხებს.
- 1036. მიწოდების საბაზისო პირობების იურიდიულ საკითხებს მიეკუთვნება:**  
გამყიდველიდან მყიდველამდე რისკის გადაცემის ადგილისა და დროის განსაზღვრა.  
დანიშნულების ადგილამდე საქონლის მიწოდება.  
მიწოდების საბაზისო პირობები.  
სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმება.
- 1037. მიწოდების საბაზისო პირობების სატრანსპორტო საკითხებს მიეკუთვნება:**  
გამყიდველიდან მყიდველამდე რისკის გადაცემის ადგილისა და დროის განსაზღვრა.  
ტრანსპორტირების პერიოდში ტვირთის დაზღვევის შესახებ მხარეთა ვალდებულებების დადგენა.  
მიწოდების საბაზისო პირობები.  
სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმება.
- 1038. მიწოდების საბაზისო პირობების საფასო საკითხებს მიეკუთვნება:**  
გამყიდველიდან მყიდველამდე რისკის გადაცემის ადგილისა და დროის განსაზღვრა.  
ტრანსპორტირების პერიოდში ტვირთის დაზღვევის შესახებ მხარეთა ვალდებულებების დადგენა.  
მიწოდების საბაზისო პირობები.  
სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმება.
- 1039. მიწოდების საბაზისო პირობების გამოყენების გასაადვილებლად, ისინი გაერთიანებულია:**  
ორ ჯგუფში.  
სამ ჯგუფში.  
ოთხ ჯგუფში.  
ხუთ ჯგუფში.



- 1040. მიწოდების საბაზისო პირობებიდან შედარებით გავრცელებულია FOB პირობა, რომელიც ნიშნავს:**  
 თავისუფალია გემბანზე (დატვირთვის პორტის მითითებით).  
 თავისუფალია გემბანის გასწვრივ (დატვირთვის პორტის მითითებით).  
 ფრანკო გადამზიდავი(პუნქტის მითითებით).  
 ღირებულება და ფრახტი (დანიშნულების პორტის მითითებით).
- 1041. მიწოდების საბაზისო პირობებიდან შედარებით გავრცელებულია CIF პირობა, რომელიც ნიშნავს:**  
 ღირებულება და ფრახტი (დანიშნულების პორტის მითითებით).  
 ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (დანიშნულების პორტის მითითებით).  
 თავისუფალია გემბანის გასწვრივ (დატვირთვის პორტის მითითებით).  
 ფრანკო გადამზიდავი(პუნქტის მითითებით).
- 1042. საქონლის ხარისხის შემოწმების მეთოდებია:**  
 შემოწმება სტანდარტის მიხედვით.  
 შემოწმება ტექნიკური პირობების მიხედვით.  
 შემოწმება სპეციფიკაციის მიხედვით.  
 ყველა ჩამოთვლილი მეთოდი.
- 1043. სპეციფიკაციაში, რომელიც კონტრაქტის აუცილებელი ნაწილია, მოცემულია:**  
 საქონლის ტექნიკური დახასიათება.  
 საქონლის ხარისხის შესაბამისობა სტანდარტთან.  
 საქონლის ნიმუში.  
 საქონლის სამომხმარებლო თვისებები.
- 1044. საქონლის ხარისხის შემოწმების მეთოდებია:**  
 წინასწარი დათვალიერების მეთოდი.  
 ნივთიერებათა შემცველობის მეთოდი.  
 „ტელ–კელის“ ანუ „როგორიც არის“ მეთოდი.  
 ყველა ჩამოთვლილი მეთოდი.
- 1045. რომელია მართებული ფრაზა: საქონლის ხარისხის შემოწმების მეთოდით სტანდარტი არის:**  
 დარგის ან ფირმის ოფიციალური სახელმწიფო ან ნორმატიული დოკუმენტი, რომლითაც პროდუქციის აუცილებელი თვისებრივი მახასიათებლები და მოთხოვნები დგინდება.  
 კონტრაქტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რომელშიც ჩვეულებრივ, მოცემულია საქონლის ტექნიკური დახასიათება.  
 ინდივიდუალური თვისებების მქონე საქონლის ხარისხის დამდგენი საშუალება.  
 საქონლის მთელი პარტიის დათვალიერების უფლება.
- 1046. რომელია მართებული ფრაზა? ტექნიკური პირობების მიხედვით საქონლის ხარისხის შემოწმების მეთოდი:**  
 დარგის ან ფირმის ოფიციალური სახელმწიფო ან ნორმატიული დოკუმენტის შესაბამისად გამოიყენება.  
 კონტრაქტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილად გამოიყენება.  
 იმ პროდუქციაზე გამოიყენება, რომელზეც არ არსებობს სტანდარტი და რომლის წარმოება–ექსპლუატაცია სპეციალური ნიშნების დაცვას გულისხმობს.  
 საქონლის მთელი პარტიის დათვალიერების უფლების მისაღებად გამოიყენება.
- 1047. რომელია მართებული ფრაზა: სპეციფიკაციის მიხედვით საქონლის ხარისხის შემოწმების მეთოდით:**  
 სპეციფიკაციით მყიდველი ვალდებულია საქონელი მიიღოს ხარისხის მიუხედავად, თუ იგი დასახელებას შეესაბამება.  
 სპეციფიკაცია კონტრაქტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მოცემულია საქონლის ტექნიკური დახასიათება.

სპეციფიკაცია დარგის ან ფირმის ოფიციალური სახელმწიფო ან ნორმატიული დოკუმენტია, რომლითაც პროდუქციის აუცილებელი თვისებრივი მახასიათებლები და მოთხოვნები დგინდება. სპეციფიკაციით მყიდველი საქონლის მთელი პარტიის დათვალიერების უფლებას იღებს.

**1048. ნიმუშის მიხედვით საქონლის ხარისხის შემოწმების მეთოდით:**

საქონლის ნიმუშს გამყიდველი განსაზღვრავს და მყიდველთან ათანხმებს, რის შედეგადაც იგი ეტალონი ხდება.

სპეციფიკაცია კონტრაქტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მოცემულია საქონლის ტექნიკური დახასიათება.

საქონლის ინდივიდუალური თვისებები დგინდება.

საქონლის მთელი პარტიის დათვალიერება ხდება.

**1049. საქონლის მიწოდების თარიღი, რომელიც კონტრაქტში არ აღინიშნება, შეიძლება იყოს:**

საწყობიდან საქონლის გამოტანის თარიღი.

სატრანსპორტო-საექსპედიციო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტის თარიღი.

საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.

ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი.

**1050. კონტრაქტში საქონლის ფასის დასადგენად განისაზღვრება:**

საზომი (წონის, სიგრძის, ფართობის, მოცულობის და ა.შ.) ერთეული.

ფულის ერთეული (ვალუტა).

ფასის ბაზისი, რომელიც ადგენს შედის თუ არა ფასში საქონლის ტრანსპორტირების, საზღვევის, სასაწყობო და სხვა ხარჯები.

ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი.

**1051. კონტრაქტის ის განყოფილება, სადაც საქონლის საზომი ერთეულია მოცემული, შეიცავს:**

საქონლის წონის, სიგრძის, ფართობის, მოცულობის ერთეულს.

ღირებულების გადახდის ვადას.

ანგარიშსწორების ფორმას.

სასაწყობო ხარჯებს.

**1052. კონტრაქტის ის განყოფილება, სადაც გადახდის პირობებია მოცემული, შეიცავს მხარეთა შეთანხმებას:**

გადახდის ვალუტაზე.

გადახდის ვადაზე.

ანგარიშსწორების ფორმაზე

ყველა ჩამოთვლილ ვარიანტს.

**1053. საქონლის შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს:**

საქონლის ტრანსპორტირების პერიოდში დაზიანებისაგან მისი დაცვა.

კლიმატურ პირობებთან შესაბამისობა.

იმპორტიორ ქვეყნებში მოქმედი საბაჟო რეჟიმისა და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.

ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი.

**1054. საქონლის მარკირება არ შეიძლება იყოს:**

სასაქონლო (ბრუტო და ნეტო წონა, გამგზავნი, მიმღები და სხვ.).

სატრანსპორტო (გემის სახელწოდება, ვაგონის ნომერი და სხვ.).

სპეციალური (ტვირთისადმი ფრთხილად მოპყრობის მიმნიშნებელი: „ფრთხილად“, „მინა“,

„ზევით“, „სითხე“, „ცეცხლსაშიში“, „გაიხსნას აქ“ და ა.შ.).

საფინანსო (ოპერატიულად გადასარიცხი, აკრედიტივით გადასარიცხი და სხვ.).

**1055. სასაქონლო მარკირებაში აღინიშნება:**

კონტრაქტის ნომერი, ბრუტო და ნეტო წონა, გამგზავნი და მიმღები.

გადაზიდვის სვლაგეზი, გამგზავნი და მიმღები.  
გემის სახელწოდება, ვაგონის ნომერი.  
ტვირთისადმი ფრთხილად მოპყრობის მიმნიშნებელი.

**1056. სატვირთო მარკირებაში აღინიშნება:**

კონტრაქტის ნომერი, ბრუტო და ნეტო წონა, გამგზავნი და მიმღები.  
გადაზიდვის სვლაგეზი, გამგზავნი და მიმღები.  
გემის სახელწოდება, ვაგონის ნომერი.  
ტვირთისადმი ფრთხილად მოპყრობის მიმნიშნებელი.

**1057. სატრანსპორტო მარკირებაში აღინიშნება:**

კონტრაქტის ნომერი, ბრუტო და ნეტო წონა, გამგზავნი და მიმღები.  
გადაზიდვის სვლაგეზი, გამგზავნი და მიმღები.  
გემის სახელწოდება, ვაგონის ნომერი.  
ტვირთისადმი ფრთხილად მოპყრობის მიმნიშნებელი.

**1058. სპეციალურ მარკირებაში აღინიშნება:**

კონტრაქტის ნომერი, ბრუტო და ნეტო წონა, გამგზავნი და მიმღები.  
გადაზიდვის სვლაგეზი, გამგზავნი და მიმღები.  
გემის სახელწოდება, ვაგონის ნომერი.  
ტვირთისადმი ფრთხილად მოპყრობის მიმნიშნებელი.

**1059. რა ვალდებულება გაითვალისწინება კონტრაქტში გამყიდველის მიერ?**

შეატყობინოს მყიდველს გაგზავნისათვის ტვირთის მზადყოფნა.  
შეატყობინოს მყიდველს თვით გაგზავნის ფაქტი.  
ვალდებულების შესრულების ვადა.  
ყველა პასუხი სწორია.

**1060. საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში, საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის გაგზავნა, გამყიდველმა მყიდველს დატვირთვის ნავსადგურიდან გემის გაცურვიდან ტელეფონით უნდა აცნობოს:**

- 12 საათში.
- 18 საათში.
- 24 საათში.
- 30 საათში.

**1061. მხარეთა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში სანქციის ოდენობა შეიძლება იყოს:**

ფიქსირებული თანხა.  
საქონლის ფასის პროცენტი.  
პირგასამტეხლო.  
ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი.

**1062. მხარეთა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში სანქციის ოდენობა არ შეიძლება იყოს:**

ფიქსირებული თანხა.  
საქონლის ფასის პროცენტი.  
პირგასამტეხლო.  
საქონლის მოცულობა.

**1063. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო შეიძლება იყოს:**

ჩათვლის პირგასამტეხლო.  
მხოლოდ პირგასამტეხლო.

ალტერნატიული და საჯარიმო პირგასამტეხლო.  
ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი.

- 1064. რომელი პირგასამტეხლო გულისხმობს კრედიტორის უფლებას, მოითხოვოს მხოლოდ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც არ არის დაფარული პირგასამტეხლოთი?**  
ჩათვლის პირგასამტეხლო.  
მხოლოდ პირგასამტეხლო.  
ალტერნატიული პირგასამტეხლო.  
საჯარიმო პირგასამტეხლო.
- 1065. რომელი პირგასამტეხლოს შემთხვევაში აქვს კრედიტორს უფლება თავისი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს პირგასამტეხლო ან ზიანის ანაზღაურება?**  
ჩათვლის პირგასამტეხლო.  
მხოლოდ პირგასამტეხლო.  
ალტერნატიული პირგასამტეხლო.  
საჯარიმო პირგასამტეხლო.
- 1066. რომელი პირგასამტეხლოს დროს აქვს კრედიტორს უფლება მოითხოვოს მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია?**  
ჩათვლის პირგასამტეხლო.  
მხოლოდ პირგასამტეხლო.  
ალტერნატიული პირგასამტეხლო.  
საჯარიმო პირგასამტეხლო.
- 1067. რომელი პირგასამტეხლოს შემთხვევაში აქვს კრედიტორს უფლება მოითხოვოს როგორც პირგასამტეხლოს გადახდა, ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურება?**  
ჩათვლის პირგასამტეხლო.  
მხოლოდ პირგასამტეხლო.  
ალტერნატიული პირგასამტეხლო.  
საჯარიმო პირგასამტეხლო.
- 1068. კონტრაქტში საქონლის დაზღვევის განყოფილება მოიცავს:**  
დაზღვევის ობიექტს.  
რისკის სახეობას.  
ვინ აზღვევს და ვის სასარგებლოდ აზღვევს.  
ყველა პასუხი სწორია.
- 1069. კონტრაქტში საქონლის დაზღვევის განყოფილება არ მოიცავს:**  
დაზღვევის ობიექტს.  
რისკის სახეობას.  
რის სასარგებლოდ აზღვევს.  
ვინ აზღვევს.
- 1070. ტვირთის დაზღვევა სადაზღვევო კომპანიასთან ხდება:**  
ხელშეკრულების გაფორმებით;  
სადაზღვევო თანხის გადახდით;  
სადაზღვევო პოლისის (მოწმობის) გამოწერით;  
ყველა პასუხი სწორია.
- 1071. კონტინენტური და საერთო სამართლის სისტემებისათვის გადაულახავი ძალის გარემოებების (ფორსმაჟორის) საერთო ნიშნებია:**  
ხელშეკრულების გაფორმებისას მისი განუჭვრეტელობა;

საგანგებო ხასიათი და გარედან გამოვლენა;  
ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოშობა;  
ყველა პასუხი სწორია.

**1072. კონტინენტური და საერთო სამართლის სისტემებისათვის გადაულახავი ძალის გარემოებების (ფორსმაჟორის) საერთო ნიშნებია:**

ამ ფაქტისა და მისი მოქმედების პერიოდის დოკუმენტურად დამტკიცების აუცილებლობა.  
საგანგებო ხასიათი და შიგნიდან გამოვლენა.  
ამ გარემოებასა და შესრულებელ ვალდებულებებს შორის პირდაპირ-მიზეზობრივი კავშირი.  
თვით ამ გარემოების ან მისი შედეგების თავიდან აცილების შესაძლებლობა.

**1073. კონტინენტური და საერთო სამართლის სისტემებისათვის გადაულახავი ძალის გარემოებების (ფორსმაჟორის) საერთო ნიშნები არ არის:**

ამ ფაქტისა და მისი მოქმედების პერიოდის დოკუმენტურად დამტკიცების აუცილებლობა.  
საგანგებო ხასიათი და შიდა გამოვლენა.  
ამ მდგომარეობის მოქმედების პერიოდში პასუხისმგებლობისაგან შესაბამისი მხარის გათავისუფლება.  
ამ გარემოებასა და შესრულებელ ვალდებულებებს შორის პირდაპირ-მიზეზობრივი კავშირი.  
ხელშეკრულების გაფორმებისას მისი განუჭვრეტელობა.

**1074. ფორსმაჟორული გარემოების რამდენი ჯგუფი შეიმუშავა საერთაშორისო კომერციულმა და სასამართლო პრაქტიკამ?**

ერთი.  
ორი.  
სამი.  
ოთხი.

**1075. რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია ასეთი ფორმულირება? „მხარე თავისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობაზე არ კისრულობს პასუხისმგებლობას, თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამოწვეული იყო მის კონტროლს გარეშე არსებული დაბრკოლებებით და რომ ხელშეკრულების გაფორმების დროს შეუძლებელი იყო მისი განჭვრეტა, ან თავიდან აცილება, ან დაბრკოლების ან მისი შედეგების გადალახვა“.**

გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენციაში „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“.

„საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებში“ („უნიდრუას პრინციპები“).

„ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში“.

ჰააგის 1986 წლის კონვენციაში „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის დროს გამოყენებული სამართლის შესახებ“.

**1076. მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას მთლიანი კონტრაქტის ან მისი ნაწილის შესრულებაზე, თუ ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად მიწოდების ვადაგადაცილება გადააჭარბებს:**

3 თვეს.  
6 თვეს.  
9 თვეს.  
12 თვეს.

**1077. ხელშეკრულების სხვა პირობების ნაწილში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ურთიერთმისაღებ სხვა უფლება-ვალდებულებებზე, რომელთა შორის შედარებით გავრცელებულია:**

არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, სხვას გადასცეს თავისი უფლება-ვალდებულებები.

მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, წინანდელი მოლაპარაკებები და მიმოწერა ძალას კარგავს.

მოცემულ ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

ყველა ვარიანტი სწორია.

- 1078. ხელშეკრულების სხვა პირობების ნაწილში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ურთიერთმისაღებ სხვა უფლება-ვალდებულებებზე, რომელთა შორის შედარებით გავრცელებულია:**  
მოცემული ხელშეკრულების გაფორმებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადს, ბაჟსა და მოსაკრებელს გამყიდველის ქვეყანაში იხდის გამყიდველი, ხოლო მყიდველის ქვეყანაში – მყიდველი.  
ხელშეკრულებაში მიეთითება თუ რომელი ქვეყნის სამართლით წესრიგდება მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.  
გამყიდველის თანხმობის გარეშე, მყიდველს მოცემული საქონლის რეექსპორტირების უფლება არა აქვს.  
ყველა ვარიანტი სწორია.
- 1079. რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია ასეთი ფორმულირება? „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება)“.**  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.  
„საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებში“ („უნიდრუას პრინციპები“).  
საქართველოს ორგანულ კანონში „სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების შესახებ“.  
საქართველოს ორგანულ კანონში „შემხვედრი ვაჭრობის შესახებ“.
- 1080. რომელ სამართლებრივ დოკუმენტშია ასეთი ფორმულირება? „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე“.**  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.  
„საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებში“ („უნიდრუას პრინციპები“).  
საქართველოს ორგანულ კანონში „სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების შესახებ“.  
საქართველოს ორგანულ კანონში „შემხვედრი ვაჭრობის შესახებ“.
- 1081. ბათილი გარიგების სახეობას არ წარმოადგენს:**  
არარა გარიგება.  
სადავო ხელშეკრულება.  
კონტრაქტი სტანდარტული პირობების გარეშე.  
შეუსრულებადი ხელშეკრულება.
- 1082. ბათილი გარიგების სახეობას წარმოადგენს:**  
არარა გარიგება;  
სადავო ხელშეკრულება;  
შეუსრულებადი ხელშეკრულება;  
ყველა პასუხი სწორია.

## თემა 13. საერთაშორისო საშუამავლო საქმიანობა

### 1083. პროდუცენტი არის:

- საქონლის მწარმოებელი.
- საქონლის რეალიზატორი.
- საქონლის რეკლამატორი.
- საქონლის შუამავალი.

### 1084. საშუამავლო საქმიანობის სუბიექტებია:

- მხოლოდ ფიზიკური პირები.
- მხოლოდ იურიდიული პირები.
- ფიზიკური და იურიდიული პირები.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

### 1085. საშუამავლო საქმიანობა არ მოიცავს:

- კონტრაგენტების მოძიებას და მათთან გარიგების გაფორმებას.
- ტვირთების დაზღვევას.
- ფიქსირებული თანხის გადახდას.
- საბაჟო და სხვა ფორმალობების შესრულებას.

### 1086. საშუამავლო საქმიანობა არ მოიცავს:

- მარკეტინგული კვლევების ჩატარებას.
- საბირჟო ოპერაციების განხორციელებას.
- სავაჭრო ოპერაციების დაფინანსებას.
- მყიდველის ვალდებულების შესრულების გარანტიას.

### 1087. საშუამავლო საქმიანობა არ მოიცავს:

- საქონლის რეალიზაციის შეზღუდვას.
- საბირჟო ოპერაციების განხორციელებას.
- სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებას.
- საქონლის რეკლამას.

### 1088. შუამავლის მონაწილეობა:

- ხელსაყრელია როგორც მწარმოებლის, ისე შუამავლისათვის.
- არ არის ხელსაყრელი მწარმოებლისათვის.
- ხელსაყრელია მხოლოდ მწარმოებლისათვის.
- ხელსაყრელია მხოლოდ შუამავლისათვის.

### 1089. საერთაშორისო ვაჭრობაში შუამავლების მონაწილეობა:

- ფირმა-მწარმოებელს საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული რთული და შრომატევადი ოპერაციებისაგან ათავისუფლებს.
- ფირმა-მწარმოებელს საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული რთული და შრომატევადი ოპერაციებისაგან არ ათავისუფლებს.
- ფირმა-მწარმოებელს საშემოსავლო გადასახადებისგან ათავისუფლებს.
- ფირმა-მწარმოებელს საქონლის რეკლამისგან ათავისუფლებს.

### 1090. შუამავლების მონაწილეობით სრულდება მსოფლიო საქონელბრუნვის:

- 20–30%.
- 40–50%.
- 60–70%.
- 75–80%.

### 1091. შუამავლის ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება:

განვითარებულ ქვეყნებში.  
ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.  
დაბალგანვითარებულ ქვეყნებში.  
ყველა პასუხი სწორია.

**1092. შუამავალზე საქონლის გაყიდვის გადაცემის უფლება არ არის:**

უბრალო (მარტივი) უფლება.  
უპირატესი უფლება.  
მუდმივი უფლება.  
მონოპოლიური უფლება.

**1093. რომელი უფლებით შეუძლია საქონლის მომწოდებელს შუამავალთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე თვითონაც გაყიდოს თავისი საქონელი ან სხვა შუამავალს გადასცეს გასაყიდად?**

უბრალო (მარტივი) უფლებით.  
უპირატესი უფლებით.  
მონოპოლიური უფლებით.  
განსაკუთრებული უფლებით.

**1094. რომელი უფლებით შეუძლია საქონლის მომწოდებელს სარეალიზაციო საქონელი სავაჭრო შუამავალს შესთავაზოს და, მხოლოდ მისი უარის შემთხვევაში, გადასცეს სხვას?**

უბრალო (მარტივი) უფლებით.  
უპირატესი უფლებით.  
მონოპოლიური უფლებით.  
განსაკუთრებული უფლებით.

**1095. რომელი უფლებით ვალდებულია საქონლის მომწოდებელი თავისი საქონელი მხოლოდ ამ უფლების მქონე შუამავალის მეშვეობით გაყიდოს?**

უბრალო (მარტივი) უფლებით.  
უპირატესი უფლებით.  
მონოპოლიური უფლებით.  
განსაკუთრებული უფლებით.

**1096. მწარმოებელი ფირმა საშუამავლო ხელშეკრულებით ვალდებული არ არის შუამავალს მიაწოდოს:**

თავისი საქმიანობის შესახებ პერიოდული ანგარიშგების მასალები.  
საქონლის შეთანხმებული მოცულობა.  
აუცილებელი სათადარიგო ნაწილები.  
ტექნიკური დოკუმენტაცია.

**1097. საშუამავლო ხელშეკრულებით შუამავალი ვალდებული არ არის:**

ხელი შეუწყოს მწარმოებლის საქონლის რეალიზაციას.  
პროდუცენტ-ფირმას მიაწოდოს აუცილებელი სათადარიგო ნაწილები.  
განახორციელოს ბაზრის მარკეტინგული კვლევა.  
განახორციელოს საქონლის გაყიდვის წინა და გაყიდვის შემდგომი მომსახურება.

**1098. დელკრედერე არის:**

საქონლის რეალიზაცია.  
აუცილებელი სათადარიგო ნაწილები.  
ტექნიკური დოკუმენტაცია.  
მყიდველის ვალდებულებათა შესრულების გარანტია.

**1099. საშუამავლო ხელშეკრულებით შუამავალი ვალდებული არ არის:**

განახორციელოს ბაზრის მარკეტინგული კვლევა.  
პროდუცენტ-ფირმას მიაწოდოს სარეკლამო მასალები.



განახორციელოს თავისი საქმიანობის შესახებ პროდუცენტ–ფირმასთან პერიოდული ანგარიშგება. ცალკეულ შემთხვევებში, აიღოს მყიდველის ვალდებულებების შესრულების გარანტია.

**1100. ტერმინი „დელკრედერე“ ნიშნავს:**

საქონლის მიწოდების ერთ-ერთი ფორმას.  
მყიდველის ვალდებულებათა შესრულების გარანტიას.  
შუამავალზე საქონლის სარეალიზაციოდ გადაცემის გარანტიას.  
შუამავლის თანხმობას საქონლის სარეალიზაციოდ მიღების შესახებ.

**1101. საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში შუამავლის გასამრჯელო ანაზღაურდება:**

ექსპორტიორისა და იმპორტიორის ფასთასხვავობით.  
საქონელბრუნვის შეთანხმებული პროცენტით.  
ფიქსირებული (მყარად დადგენილი) თანხით.  
ყველა ვარიანტი სწორია.

**1102. საშუამავლო ოპერაციები რეგულირდება:**

სამოქალაქო და სავაჭრო სამართლით.  
საქართველოს სავაჭრო კოდექსით.  
სახელმწიფო კოდექსით.  
საქართველოს საშუამავლო კოდექსით.

**1103. შუამავლობა არსებობს:**

იურიდიული და კომერციული.  
პირდაპირი და ირიბი.  
სახელმწიფო და კერძო.  
ყველა პასუხი სწორია.

**1104. რა ეწოდება ისეთ შუამავლობას, რომელიც სხვისი სახელით და ხარჯით ან საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი ხარჯით ხორციელდება?**

კომერციული შუამავლობა.  
იურიდიული შუამავლობა.  
კომერციული და იურიდიული შუამავლობა.  
ფინანსური შუამავლობა.

**1105. იურიდიული შუამავალი არ არის:**

დილერი.  
სავაჭრო წარმომადგენელი.  
სავაჭრო აგენტი.  
ბროკერი.

**1106. იურიდიული შუამავალი არ არის:**

კომისიონერი.  
დისტრიბუტორი.  
კონსიგნატორი.  
ფაქტორი.

**1107. იურიდიული შუამავალი არის:**

კომისიონერი.  
კონსიგნატორი.  
ბროკერი.  
ყველა პასუხი სწორია.

**1108. სავაჭრო წარმომადგენლის ინსტიტუტი ძირითადად გავრცელებულია:**

რომაულ–გერმანული სამართლის ქვეყნებში.  
ანგლო–საქსონური სამართლის ქვეყნებში.  
ტრადიციული სამართლის ქვეყნებში.

საერთო სამართლის ქვეყნებში.

**1109. სავაჭრო წარმომადგენელი არ ამზადებს:**

მესამე პირთან საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პროექტებს.  
სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების შეთანხმების პროექტებს.  
სარეალიზაციო საქონლის ხარისხის ამალგების ხელშეკრულების პროექტებს.  
სამრეწველო საკუთრების გადაცემის შეთანხმების პროექტებს.

**1110. სავაჭრო აგენტი არის:**

პირი, რომელიც დაქირავებულია პრინციპალის მიერ მესამე პირთან კონტრაქტის დასადებად.  
პირი, რომელიც აფინანსებს სავაჭრო გარიგებას.  
პირი, რომელიც იღებს საკომისიო მომსახურების შესრულების ვალდებულებას.  
კომერციული შუამავალი, რომელიც თავისი სახელითა და ხარჯით პროდუცენტის საქონლის რეალიზაციას ეწევა.

**1111. სავაჭრო აგენტს არ ევალება:**

საქონლისა და პრინციპალის რეკლამა.  
სარეალიზაციო საქონლის ღირებულების გადახდა.  
საქონლის გაყიდვის წინა და გაყიდვის შემდგომი ტექნიკური მომსახურება.  
ბაზრის კონიუნქტურისა და თავისი საქმიანობის შესახებ პრინციპალის პერიოდული ინფორმირება.

**1112. გაწეული მომსახურებისათვის ექსპორტიორი სავაჭრო აგენტს გასამრჯელოს სახით უხდის საშუალოდ, რეალიზაციის მოცულობის:**

- 5-10%-ს.
- 3-7%-ს.
- 4-8%-ს.
- 10-15%-ს.

**1113. სუბაგენტები მუშაობენ:**

განსაზღვრულ რაიონებში.  
კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში.  
ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში.  
ყველა პასუხი სწორია.

**1114. დილერები მუშაობენ:**

განსაზღვრულ რაიონებში.  
კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში.  
ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში.  
ყველა პასუხი სწორია.

**1115. გენერალური აგენტები მუშაობენ:**

განსაზღვრულ რაიონებში.  
კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში.  
ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში.  
ყველა პასუხი სწორია.

**1116. რა ეწოდება იმ შუამავალს, რომელიც არ არის საქონლის გამყიდველის წარმომადგენელი, არ შედის სახელშეკრულებო ურთიერთობებში და გამყიდველსა და მყიდველს შორის კონტაქტს ამყარებს?**

სავაჭრო წარმომადგენელი.  
ბროკერი.  
სავაჭრო აგენტი.  
დილერი.

**1117. ბროკერს არ ევალება**

ანგარიშის ჩაბარება გაწეული სამუშაოების შესახებ.  
კონსიგნანტის სასარგებლოდ საქონლის დაზღვევა.  
მისი მონაწილეობით გაფორმებული კონტრაქტის შესრულების კონტროლი.  
ბაზრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

**1118. გაწეული მომსახურებისათვის ბროკერს ეკუთვნის გასამრჯელოს სახით გაყიდული საქონლის ღირებულების**

5-10%.  
2,5-3%.  
4-8%.  
10-15.

**1119. რამდენი მხარე მონაწილეობს საკომისიო ოპერაციაში, რომელიც საკომისიო ხელშეკრულებით ხორციელდება?**

სამი  
ოთხი  
ხუთი  
ორი

**1120. საკომისიო ხელშეკრულებით განხორციელებულ საკომისიო ოპერაციაში არ მონაწილეობს:**

კომიტენტი.  
კომისიონერი.  
მომხმარებელი.  
ბროკერი.

**1121. კომიტენტი არის პირი, რომელიც:**

იმღევა დავალებას, რომ შესრულდეს საკომისიო-საშუამავლო მომსახურება და გაფორმდეს გარიგება მის ანგარიშზე.  
იღებს საკომისიო მომსახურების შესრულების ვალდებულებას.  
წარმართავს მხარეებს შორის მოლაპარაკებას.  
აწესრიგებს საშუამავლო საქმიანობას.

**1122. კომისიონერი არის პირი, რომელიც:**

დაქირავებულია პრინციპალის მიერ მესამე პირთან კონტრაქტის დასადავად.  
ასრულებს საქონლის რეკლამატორის ფუნქციას.  
იღებს საკომისიო მომსახურების შესრულების ვალდებულებას.  
საქონელს საბოლოო მომხმარებელზე თავისი სახელითა და ხარჯით ყიდის.

**1123. რა ეწოდება იმ საკომისიო დავალებას, რომელსაც იმპორტიორი სხვა ქვეყნის კომისიონერს კონკრეტული საქონლის შესყიდვის შესახებ ერთჯერადად აძლევს?**

ფაქტორი.  
ინდენტი.  
ოფერტი.  
აქცეპტი.

**1124. იდენტი არის პირი, რომელიც:**

იღებს ერთჯერად საკომისიო დავალებას.  
იღებს საკომისიო მომსახურების შესრულების ვალდებულებას.  
აფინანსებს გარიგებას.  
იურიდიულად აფორმებს გარიგებას.

**1125. საკონსიგნაციო ხელშეკრულებაში კონსიგნატორს (საქონლის გამყიდველს) არ ევალება:**  
საწყობის მომზადება.

პერსონალის დაქირავება.  
ლიცენზიის მიღება.  
საქონლის დროულად მიწოდება.

**1126. საკონსიგნაციო ხელშეკრულებაში კონსიგნანტს (საქონლის მფლობელს) არ ევალება:**

საკონსიგნაციო გასამრჯელოს გადახდა.  
საქონლის რეკლამა და დაზღვევა.  
სასაწყობო ხარჯების დაფარვა.  
საქონლის დროულად მიწოდება.

**1127. კონსიგნანტი ვალდებულია:**

კონსიგნატორთან შეთანხმებული პირობებით საკონსიგნაციო გასამრჯელოს გადახდაზე.  
სასაწყობო ხარჯების დაფარვაზე.  
საქონლის დროულად მიწოდებაზე.  
ყველა პასუხი სწორია.

**1128. რა ეწოდება იმ შუამავალს, რომელსაც საქონლის გაყიდვა ევალება და ამისათვის ფართო უფლებამო-სიღებაც აქვს, მოქმედებს საკუთარი სახელით და გაყიდვის პირობების დადგენაც შეუძლია:**

დილერი.  
აგენტი.  
ფაქტორი.  
დისტრიბუტორი.

**1129. რომელია კომერციული შუამავალი?**

დილერი.  
ბროკერი.  
ფაქტორი.  
კონსიგნატორი.

**1130. რომელია კომერციული შუამავალი?**

დილერები.  
დისტრიბუტორები.  
სავაჭრო სახლები.  
ყველა პასუხი სწორია.

**1131. კომერციული შუამავალი არ არის:**

დილერი.  
დისტრიბუტორი.  
სავაჭრო სახლები.  
ბროკერი.

**1132. რა ეწოდება იმ შუამავალს, რომელიც თავისი სახელითა და ხარჯით პროდუცენტის საქონლის რეალიზაციას ეწევა?**

ბროკერი.  
აგენტი.  
დილერი.  
კომისიონერი.

**1133. ფრანშიზა არის:**

ფირმა-მწარმოებლის სახელის გამოყენების უფლება.  
საქონლის გაყიდვის უფლება.  
უცხოეთში საქონლის შექმნა.

საქონლის გაყიდვის პირობების დადგენა.

1134. რა ეწოდება იმ შუამავალს, რომელიც საქონლის საიმპორტო ოპერაციებს ასრულებს და ბაზარზე გამოდის, როგორც მწარმოებლისგან შექმნილი მსხვილი სასაქონლო პარტიის საბითუმო გამანაწილებელი.  
დილერი.  
აგენტი.  
ფაქტორი.  
დისტრიბუტორი.
1135. დისტრიბუტორზე მიცემული საქონლის გაყიდვის უფლება შეიძლება იყოს:  
უბრალო (მარტივი).  
უპირატესი.  
მონოპოლიური.  
სამივე პასუხი სწორია.
1136. რა ეწოდება იმ შუამავალს, რომელიც საქონელს იძენს უშუალოდ მწარმოებლებისაგან ან თავისი ქვეყნის ბითუმად მოვაჭრეებისაგან და საზღვარგარეთ ყიდის, ან უცხოეთში ყიდულობს საქონელს და ადგილობრივ ფირმებზე ყიდის:  
სავაჭრო სახლები და საექსპორტო-საიმპორტო ფირმები.  
აგენტი.  
ფაქტორი.  
დისტრიბუტორი.
1137. საქონლის გამყიდველს საერთაშორისო ვაჭრობაში ეწოდება:  
ექსპორტიორი.  
იმპორტიორი.  
კონტრაჰენტი.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
1138. საქონლის მყიდველს საერთაშორისო ვაჭრობაში ეწოდება:  
ექსპორტიორი.  
იმპორტიორი.  
კონტრაჰენტი.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
1139. ხელშეკრულების მხარეებს საერთაშორისო ვაჭრობაში ეწოდება:  
ექსპორტიორები.  
იმპორტიორები.  
კონტრაჰენტები.  
კომისიონერები.
1140. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, რომელიც არის უცხოეთში საქონლის გაყიდვა და უცხოელი კონტრაგენტის საკუთრებაში გადაცემა?  
ექსპორტული ოპერაცია.  
იმპორტული ოპერაცია.  
რეექსპორტული ოპერაცია.  
რეიმპორტული ოპერაცია.
1141. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, რომელიც არის უცხოეთში საქონლის შექმნა და ეროვნულ ქვეყანაში სარეალიზაციოდ შემოტანა?  
ექსპორტული ოპერაცია.  
იმპორტული ოპერაცია.  
რეექსპორტული ოპერაცია.

რეიმპორტული ოპერაცია.

**1142. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, რომელიც არის გადაუმუშავებელი იმპორტირებული საქონლის სხვა ქვეყანაში გატანა და გაყიდვა?**

ექსპორტული ოპერაცია.

იმპორტული ოპერაცია.

რეექსპორტული ოპერაცია.

რეიმპორტული ოპერაცია.

**1143. რა შეიძლება იყოს საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში რეექსპორტული ოპერაციის მიზეზი?**

ვაჭრობის ტრადიციული ფორმების გამოყენებისას.

ფასთასხვაობის გამო მოგების მისაღებად.

როცა რომელიმე ქვეყანაში იმპორტირებული საქონელი, რაიმე მიზეზის გამო, იქ არ გაიყიდა და გამყიდველიც მის რეალიზაციას სხვა ქვეყანაში ცდილობს.

ყველა პასუხი სწორია.

**1144. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, რომელიც არის ადრე ექსპორტირებული და საზღვარგარეთ გადაუმუშავებელი საქონლის ეროვნულ ქვეყანაში სარეალიზაციოდ შემოტანა?**

ექსპორტული ოპერაცია.

იმპორტული ოპერაცია.

რეექსპორტული ოპერაცია.

რეიმპორტული ოპერაცია.

**1145. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, რომელიც ითვალისწინებს ექსპორტიორის შემხვედრ ვალდებულებას იმპორტიორისაგან შეისყიდოს საქონელი სრული ღირებულებით ან ექსპორტის ღირებულების ნაწილი? შემხვედრი ვაჭრობა (შესყიდვა).**

ბარტერი.

გარიგება „სვიჩი“.

გარიგება „ტოლინგი“.

**1146. რომელი მათგანი არ არის შემხვედრი ვაჭრობის ძირითადი სახეობა?**

კომპენსაციური ვაჭრობა.

ავანსად შესყიდვა.

გარიგება „სვიჩი“.

რენტინგი.

**1147. რომელი მათგანი არ არის შემხვედრი ვაჭრობის ძირითადი სახეობა?**

ბარტერი.

ავანსად შესყიდვა.

ტოლინგი.

ჰაირინგი.

**1148. შემხვედრი ვაჭრობის ძირითადი სახეობაა:**

ბარტერი.

კომპენსაციური ვაჭრობა.

ტოლინგი.

ყველა პასუხი სწორია.

**1149. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, რომელიც არის ნატურალური საქონელგაცვლა, რომლის დროსაც ერთი დოვლათი (საქონელი) მეორეზე ფულის გადახდის გარეშე იცვლება?**

ბარტერი.

გარიგება „სვიჩი“.

გარიგება „ტოლინგი“.  
რეიმპორტული ოპერაცია.

- 1150. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, რომელიც არის უვალუტო (უფულო), მაგრამ შეფასებული და დაბალანსებული საქონელგაცვლა?**  
ბარტერი.  
გარიგება „სვიჩი“.  
გარიგება „ტოლინგი“.  
რეიმპორტული ოპერაცია.
- 1151. საქართველოს რომელი სამართლებრივი დოკუმენტით რეგულირდება საქონელგაცვლითი ოპერაცია?**  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.  
საქართველოს სავაჭრო კოდექსით.  
საქართველოს სახელშეკრულებო კოდექსით.  
საქართველოს საქონელგაცვლითი კოდექსით.
- 1152. რა ეწოდება ისეთ ოპერაციას, როცა ექსპორტიორი არ საჭიროებს იმპორტულ საქონელს, მაგრამ მიდის ამ შეთანხმებაზე იმ იმედით, რომ ვინმე მესამე პირზე გაყიდის?**  
ბარტერი.  
შემხვედრი შესყიდვა.  
გარიგება „ტოლინგი“.  
რეიმპორტული ოპერაცია.
- 1153. ტერმინი „სვიტჩი“ ნიშნავს:**  
მიმართულების შეცვლას.  
კომპენსაციურ ვაჭრობას.  
საქონლის სარეალიზაციოდ მიღებას.  
იმპორტული ნედლეულის სანაცვლოდ ამ ნედლეულიდან დამზადებული მზა პროდუქციის მიწოდებას.
- 1154. რა ეწოდება ისეთ გარიგებას, როცა თავდაპირველად ხდება ექსპორტიორის მიერ იმპორტიორის საქონლის ავანსად (წინასწარ) შესყიდვა, რომ შემდეგ იმპორტიორმა მიღებული ვალუტით ექსპორტიორის საქონელი შეისყიდოს ?**  
ავანსად შესყიდვა.  
კომპენსაციურ ვაჭრობას.  
მიმართულების შეცვლას.  
ბარტერი.
- 1155. რომელი გარიგება ხდება ძირითადად საგარეო ვაჭრობაში, როცა საქონლის ღირებულებას მყიდველი თავისი ან სხვა საქონლის მიწოდებით იხდის?**  
კომპენსაციური ვაჭრობა.  
ექსპორტული ვაჭრობა.  
მიმართულების შეცვლა.  
ავანსად შესყიდვა.
- 1156. უკუშესყიდვითი გარიგების საკომპენსაციო ფორმაა:**  
მოწყობილობის მიმწოდებლის მიერ ამ მოწყობილობით დამზადებული პროდუქციის შესყიდვა.  
ლიცენზიის ფასის ნაცვლად მზა პროდუქციის მიწოდება.  
ინვესტორისათვის სათანადო ფართობის უფასოდ გამოყენების უფლების მიცემა.  
ყველა პასუხი სწორია.
- 1157. უკუშესყიდვითი გარიგების საკომპენსაციო ფორმა არ არის:**  
მოწყობილობის მიმწოდებლის მიერ ამ მოწყობილობით დამზადებული პროდუქციის შესყიდვა.  
ლიცენზიის ფასის ნაცვლად მზა პროდუქციის მიწოდება.  
ინვესტორისათვის სათანადო ფართობის უფასოდ გამოყენების უფლების მიცემა.

მზა პროდუქციის ნაცვლად იმპორტული ნედლეულის მიწოდება.

**1158. ტერმინი „ტოლინგი“ ნიშნავს:**

მიმართულების შეცვლას.

კომპენსაციურ ვაჭრობას.

საქონლის სარეალიზაციოდ მიღებას.

იმპორტული ნედლეულის სანაცვლოდ ამ ნელეულიდან დამზადებული მზა პროდუქციის მიწოდებას.

## თემა 14. ფასწარმოქმნა მსოფლიო ბაზარზე

**1159. საქონლის ფასი არის:**

ფულის ის რაოდენობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ერთეულ საქონელს.

საქონლის ის ფასი, რომლის მიხედვით მომხმარებელი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს.

მყიდველის მიერ ოპტიმალურად შეფასებული საქონლის ფასი.

მყიდველის მიერ საქონლის გასაყიდად დაწესებული ფასი.

**1160. საქონლის ფასთან დაკავშირებით მყიდველისა და გამყიდველის სურვილები შეიძლება იყოს:**

თანმხვედრი.

ურთიერთსაპირისპირო.

დროებითი.

ერთგვაროვანი.

**1161. საქონლის სარეალიზაციო ფასი უნდა იყოს: 401**

წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებზე დაბალი.

წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯების ტოლი.

წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებზე მაღალი.

წარმოების ხარჯებზე დაბალი, ხოლო რეალიზაციის ხარჯებზე მაღალი.

**1162. მართებული საფასო გადაწყვეტილების მისაღებად რა ფაქტორები გაითვალისწინება?**

მოთხოვნა, მიწოდება, დანახარჯები.

მოთხოვნა, მიწოდება, კონკურენცია.

მოთხოვნა, დანახარჯები, კონკურენცია.

ქვეყნის წესები, სავალუტო კურსი, დანახარჯები.

**1163. რომელი დებულებაა მართებული?**

როცა მოთხოვნა იზრდება, ფასი კლებულობს და პირიქით.

როცა მოთხოვნა იზრდება, ფასი მატულობს და პირიქით.

როცა მოთხოვნა მცირდება, ფასი იზრდება და პირიქით.

არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**1164. დაასრულეთ ფრაზა: წარმოების დანახარჯები განსაზღვრავს საქონლისათვის დასადგენ:**

მინიმალურ ფასს.

მაქსიმალურ ფასს.

პოტენციურ ფასს.

უმნიშვნელო ფასს.

**1165. რა განაპირობებს ფასის მაქსიმალურ სიდიდეს?**



მოთხოვნა.  
დანახარჯები.  
კონკურენცია.  
რეგულაციები.

- 1166. უცხოურ ბაზრებზე ფასწარმოქმნის სირთულეს განაპირობებს (ორი პსუხია სწორი):**  
სახელმწიფო რეგულაციების მექანიზმების განსხვავებულობა.  
მყიდველის განზრახვა მაღალი ფასი-მაღალი ხარისხი.  
ექსპორტირებადი საქონლის გასაღების ფასების ზრდადობა.  
სავალუტო კურსების სტბილურობა.
- 1167. პროდუქციის სამომხმარებლო ფასების დონეთა მარეგულირებელი კანონები ითვალისწინებს:**  
ფასების მაქსიმალურ საზღვრებს.  
ფასების მინიმალურ საზღვრებს.  
ფასების საერთო დონეს.  
ფასების მაქსიმალურ და მინიმალურ საზღვრებს.
- 1168. დემპინგი არის?**  
საქონლის გაყიდვა ხელოვნურად შემცირებული ფასით.  
საქონლის გაყიდვა ხელოვნურად გაზრდილი ფასით.  
ვალუტის კურსის გაუფასურება.  
ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ცვლილება.
- 1169. ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშანია დამახასიათებელი ბაზრების ნაირსახეობებისთვის ?**  
საფასო პოლიტიკის შემუშავება.  
მწარმოებელი და მომხმარებელი ქვეყნების განსხვავებული სტერეოტიპები.  
კონკურენტების ფასების ანალიზი.  
მოთხოვნის განსაზღვრა.
- 1170. რომელი დებულებაა ყველაზე მართებული? პროდუქციის სარეალიზაციო ფასის შემცირებამ შესაძლებელია:**  
ნაწარმის იმიჯი გაზარდოს.  
ნაწარმის იმიჯი გააუარესოს.  
მომხმარებელი გააკოტროს.  
გაყიდვების რაოდენობა შეამციროს.
- 1171. რომელი ფაქტორები მოქმედებს ექსპორტირებული პროდუქციის ფასზე?**  
სარეალიზაციო და სატრანსპორტო დანახარჯები.  
დარიცხული საურავი და სატრანსპორტო დანახარჯები.  
ტრანსპორტირების დანახარჯები და საბაჟო გადასახადები.  
სამშემოსავლო და საბაჟო გადასახადები.
- 1172. საფასო პოლიტიკა არის:**  
ფირმის მიერ შემუშავებული ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც საქონლის ფასის დასადგენად ხორციელდება.  
ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიწოდების მოცულობას განსაზღვრავს.  
ფასის მინიმალური ზღვარის დადგენის საშუალება.  
ფასის მაქსიმალური ზღვარის დადგენის საშუალება.
- 1173. რომელი ჯგუფის ფაქტორები არ მოქმედებენ საქონლის ფასის სიდიდეზე?**  
მიწოდების მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორები.  
მოთხოვნის მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორები.  
საერთო-ეკონომიკური ჯგუფის ფაქტორები.

საბაჟო ჯგუფის ფაქტორები.

**1174. საქონლის ფასზე მოქმედ რომელი ჯგუფის ფაქტორებს მიეკუთნება ინფლაცია?**

მიწოდების მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორებს.  
მოთხოვნის მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორებს.  
საერთო-ეკონომიკური ჯგუფის ფაქტორებს.  
მოთხოვნის მონოპოლიზაციის ჯგუფის ფაქტორებს.

**1175. საქონლის ფასზე მოქმედ რომელი ჯგუფის ფაქტორებს მიეკუთნება საქონლის სარგებლიანობა?**

მიწოდების მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორებს.  
მოთხოვნის მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორებს.  
საერთო-ეკონომიკური ჯგუფის ფაქტორებს.  
მეცნიერულ-ტექნიკური ჯგუფის ფაქტორებს.

**1176. საქონლის ფასზე მოქმედ რომელი ჯგუფის ფაქტორებს მიეკუთნება წარმოებისა და ექსპორტირების ხარჯები?**

საქონლის მიწოდების მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორებს.  
საქონლის მოთხოვნის მოცულობაზე მოქმედი ჯგუფის ფაქტორებს.  
საერთო-ეკონომიკური ჯგუფის ფაქტორებს.  
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჯგუფის ფაქტორებს.

**1177. საქონლის წარმოებისა და ექსპორტირების დანახარჯები განსაზღვრავს:**

საბაზრო ფასის ქვედა დონეს.  
საბაზრო ფასის ზედა დონეს.  
წარმოების სრულყოფის დონეს  
წარმოების გარდამავალ დონეს.

**1178. მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესი განაპირობებს:**

საწარმოო ფაქტორების მოზიდვას.  
ადამიანური რესურსების მოზიდვას.  
საბაზრო ფასის ამაღლებას.  
წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას.

**1179. მიწოდების მონოპოლიზაციის ხარისხი განაპირობებს:**

გამყიდველის მიერ ფასის დონის კონტროლს.  
საწარმოო პროცესის სრულყოფას.  
საწარმოო ხარჯების ზრდას.  
მომხმარებლის „ფრთხილ“ ქმედებას.

**1180. საქონლის სარგებლიანობა განმსაზღვრელი ფაქტორია:**

მიწოდებლისთვის.  
მომხმარებლისთვის.  
სახელმწიფოსთვის.  
რეზიდენტებისთვის.

**1182. მიიღველთა ფინანსური შესაძლებლობების შემცირებით :**

დაბალი ხარისხის საქონელზე მოთხოვნა იზრდება, მაღალზეც - იზრდება.  
დაბალი ხარისხის საქონელზე მოთხოვნა მცირდება, მაღალზე კი იზრდება.  
დაბალი ხარისხის საქონელზე მოთხოვნა იზრდება, მაღალზე კი მცირდება.  
ყველა პასუხი მცდარია.

- 1183. მომხმარებელთა ფინანსური შესაძლებლობების გადიდებით :**  
 დაბალი ხარისხის საქონელზე მოთხოვნა იზრდება, მაღალზეც - იზრდება.  
 დაბალი ხარისხის საქონელზე მოთხოვნა მცირდება, მაღალზე კი იზრდება.  
 დაბალი ხარისხის საქონელზე მოთხოვნა იზრდება, მაღალზე კი მცირდება.  
 ყველა პასუხი მცდარია.
- 1184. სარეალიზაციო საქონლის ფასის დადგენამდე აუცილებელია განისაზღვროს:**  
 შენაცვლებადი საქონელი.  
 საქონლის დანამატები.  
 შენაცვლებადი საქონლისა და დანამატების ფასები.  
 ყველა ერთად.
- 1185. შენაცვლებად საქონელზე ფასის გადიდება საექსპორტო საქონელზე მოთხოვნას :**  
 ადიდებს.  
 ამცირებს.  
 უცვლელს ტოვებს.  
 გავლენას არ ახდენს.
- 1186. საქონლის დანამატებზე ფასის მომატება, საექსპორტო საქონელზე მოთხოვნას:**  
 ადიდებს.  
 ამცირებს.  
 უცვლელს ტოვებს.  
 ყველა პასუხი მცდარია.
- 1187. მოთხოვნის მონოპოლიზაციის ხარისხი არის სიტუაცია, როცა:**  
 საქონლის სარეალიზაციო ფასს გამყიდველი კარნახობს.  
 საქონლის სარეალიზაციო ფასს მყიდველი კარნახობს.  
 საქონლის სარეალიზაციო ფასს „უხილავი ხელი“ კარნახობს.  
 საქონლის სარეალიზაციო ფასს მთავრობა კარნახობს.
- 1188. რომელი მსჯელობაა მართებული?**  
 მძაფრი კონკურენციის პირობებში საქონლის ფასი დაბალია, სიხალვათის შემთხვევაში კი - დაბალი.  
 მძაფრი კონკურენციის პირობებში საქონლის ფასი დაბალია, სიხალვათის შემთხვევაში კი - მაღალი.  
 ორივე შემთხვევაში საქონლის ფასი თანაბარია.  
 ყველა პასუხი მცდარია.
- 1189. ეკონომიკური კრიზისის ფაზაში ფასების დონე :**  
 მინიმალურია.  
 სტაბილურია.  
 მაქსიმალურია.  
 ზრდადია.
- 1190. დეპრესიის ფაზაში ფასების დონე:**  
 მინიმალურია.  
 არ მატულობს.  
 მაქსიმალურია.  
 ზრდადია.
- 1190. აღმავლობის ფაზაში ფასების დონე:**  
 მინიმალურია.  
 არ მატულობს.  
 მაქსიმუმს აღწევს და შემდეგ მცირდება.  
 სტაბილურია.

1191. **საბაზრო კონიუქტურის მერყეობის დროს ფასები ყველაზე მკვეთრად და სწრაფად იცვლება:**  
 ნედლეულზე, ხანგრძლივი მოხმარებისა და სამომხმარებლო დანიშნულების საქონელზე.  
 ნახევარფაბრიკატებზე.  
 საწარმოო დანიშნულების მანქანათმშენებლობის საქონელზე.  
 ყველა საქონელზე თანაბრად.
1192. **მიმდინარე ინფლაციური პროცესები განაპირობებს:**  
 ფასების ზრდის ტენდენციას.  
 საქონლის მიწოდების ზრდის ტენდენციას.  
 საქონლის მოთხოვნის ზრდის ტენდენციას.  
 ფასების კლების ტენდენციას.
1193. **ჩამოთვლილთაგან რომელია სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის სისტემა?**  
 სატარიფო და არასატარიფო მექანიზმები.  
 საბაჟო პოლიტიკა.  
 ბიუჯეტიდან ექსპორტის სუბსიდირება.  
 ყველა პასუხი სწორია.
1194. **ჩამოთვლილთაგან რომელს არ იყენებს კომპანია ფასწარმოქმნის სტრატეგიის განსაზღვრისას?**  
 „ბაზარზე გარღვევის“ სტრატეგიას.  
 „ნიღბის მოხსნის“ სტრატეგიას.  
 „ნაღბის მოხსნის“ სტრატეგიას.  
 „საფასო დიფერენციაციის“ სტრატეგიას.
1195. **ბაზარზე გარღვევის სტრატეგია ეფექტურია:**  
 მოთხოვნის მაღალი ელესტიურობის შემთხვევაში.  
 მიწოდების მაღალი ელასტიურობის შემთხვევაში.  
 მიწოდების დაბალი ელასტიურობის შემთხვევაში.  
 ახალი საბაზრო სეგმენტის აღმოჩენის შემთხვევაში.
1196. **„ნაღბის მოხსნის“ სტრატეგია ეფუძნება :**  
 საქონლის დაბალ ფასს.  
 საქონლის მაღალ ხარისხს და უნიკალურობას.  
 საქონელზე მაღალ მოთხოვნას.  
 არც ერთ ჩამოთვლილთაგანს.
1197. **ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია გულისხმობს ერთი და იგივე საქონელზე სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებელისთვის განსხვავებული ფასების განსაზღვრას?**  
 ბაზარზე გარღვევის სტრატეგია.  
 „ნაღბის მოხსნის“ სტრატეგია.  
 საფასო დიფერენციაციის სტრატეგია.  
 ფასების გათანაბრების სტრატეგია.
1198. **ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია გულისხმობს, რომ ერთი სახეობის საქონლის რეალიზაციიდან მიღებულმა მოგებამ, ასორტიმენტში შემავალი სხვა საქონლის ზარალი აუცილებლად გადაფაროს:**  
 ბაზარზე გარღვევის სტრატეგია.  
 „ნაღბის მოხსნის“ სტრატეგია.  
 საფასო დიფერენციაციის სტრატეგია.  
 ფასების გათანაბრების სტრატეგია.
1199. **ჩამოთვლილთაგან როგორი ტიპის ბაზარი არ არსებობს?**  
 ბარტერული ტიპის ბაზარი.

სრულყოფილი კონკურენციის ბაზარი.  
წმინდა მონოპოლიური ბაზარი.  
ოლიგოპოლიური ბაზარი.

**1200. მსოფლიო პრაქტიკაში როგორი ტიპის ბაზარი არსებობს?**

ბარტერული ტიპის ბაზარი.  
კონგლომერატული ბაზარი.  
ოლიგარქიული ბაზარი.  
მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი.

**1201. სრულყოფილი კონკურენციის დროს ბაზარზე:**

ვაჭრობის მონაწილეთა რაოდენობა დიდია და საქონლის სარეალიზაციოდ ერთნაირი პირობებია შექმნილი.  
საქონლის მიმწოდებელი ფირმა ერთადერთია.  
მცირე ფირმები უმნიშვნელო როლს ასრულებენ.  
საქონლის მყიდველი ფირმა ერთადერთია.

**1202. წმინდა მონოპოლიურ ბაზარზე :**

საქონლის მიმწოდებელი ფირმა ერთადერთია და ფასწარმოქმნას ის აკონტროლებს.  
ვაჭრობის მონაწილეთა რაოდენობა მრავალია.  
ფასწარმოქმნა ძლიერ კონკურენტულია.  
ყველა პასუხი სწორია.

**1203. მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი:**

ბაზრის სრულყოფილი ვარიანტია.  
ბაზრის ტიპური ვარიანტია.  
ბაზრის შერეული ვარიანტია.  
ბაზრის სტაბილური ვარიანტია.

**1204. ოლიგოპოლიურ ბაზარზე მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია:**

ერთადერთ მსხვილ ფირმას.  
მსხვილ მწარმოებელ ფირმას.  
რამდენიმე საშუალო ზომის მწარმოებელ ფირმას.  
როგორც მსხვილ, ასევე მცირე ზომის ფირმებს.

**1205. ფასწარმოქმნის რომელი მეთოდი არსებობს?**

ფასწარმოქმნა ორიენტირებული წარმოების დანახარჯებზე.  
ფასწარმოქმნა ორიენტირებული მსოფლიო მოთხოვნაზე.  
ფასწარმოქმნა ორიენტირებული კონკურენციაზე.  
ყველა პასუხი სწორია.

**1206. ფასწარმოქმნა ორიენტირებული წარმოების დანახარჯებზე ითვალისწინებს:**

დანახარჯების დონეს.  
მოგების პროცენტულ წილს.  
მომხარებლის მოთხოვნის დონეს.  
დანახარჯების დონეს და ფასის სტრუქტურაში მოგების პროცენტულ წილს.

**1207. ჩამოთვლილთაგან რომელია ფასწარმოქმნის გაანგარიშების ყველაზე მარტივი მეთოდი?**

ფასწარმოქმნა ორიენტირებული წარმოების დანახარჯებზე.  
ფასწარმოქმნა ორიენტირებული მსოფლიო მოთხოვნაზე.  
ფასწარმოქმნა ორიენტირებული კონკურენციაზე.  
ფასწარმოქმნა ორიენტირებული ეკონომიკური სტაბილიზაციის დონეზე.

- 1208. წარმოების დანახარჯებზე ორიენტირებული ფასწარმოქმნის მეთოდი:**  
 გამოიყენება არაელასტიური მოთხოვნის საქონლის ფასის დადგენისას.  
 გამოიყენება ელასტიური მოთხოვნის საქონლის ფასის დადგენისას.  
 მცირე დანახარჯების საქონლის ფასის დადგენისას.  
 ყველა პასუხი სწორია.
- 1209. მსოფლიო მოთხოვნაზე ორიენტირებული ფასწარმოქმნის მეთოდის გაანგარიშების საფუძველია:**  
 მსოფლიო მიწოდების დინამიკა.  
 მსოფლიო მოთხოვნის დინამიკა და მსოფლიო ფასების დონე.  
 მსოფლიო კონკურენტი ფირმების რაოდენობა.  
 მსოფლიო ეკონომიკის განვითარების დონე.
- 1210. მსოფლიო მოთხოვნის დინამიკისა და მსოფლიო ფასების დონის ცვლილებებს განაპირობებს:**  
 ეროვნული ვალუტის ცვლილება.  
 ინფლაციური ცვლილება.  
 ნედლეულზე ფასების მერყეობა.  
 ყველა პასუხი სწორია.
- 1211. კონკურენციაზე ორიენტირებული ფასწარმოქმნის მეთოდის გამოყენებისას:**  
 კომპანია ორიენტაციას აკეთებს მისი კონკურენტების მიწოდებაზე.  
 კომპანია ორიენტაციას აკეთებს მისი კონკურენტების მოთხოვნაზე.  
 კომპანია ორიენტაციას აკეთებს მისი კონკურენტების ფასზე.  
 კომპანია ორიენტაციას აკეთებს მისი კონკურენტების მომხმარებლებზე.
- 1212. რა შემთხვევაშია მართებული კონკურენტების ფასებზე უფრო მაღალი ფასის დაწესება?**  
 როცა საქონელი განსაკუთრებული სამომხმარებლო თვისებებით გამოირჩევა.  
 როცა მონოპოლისტი ფირმა არსებობს.  
 როცა საქონელი სასიცოცხლო ციკლის საწყის სტადიაზეა.  
 ყველა პასუხი მცდარია.
- 1213. რა შემთხვევაშია მართებული საქონელზე კონკურენტების ფასის ანალოგიური ფასის დაწესება ?**  
 როცა მომხმარებელთა მოთხოვნა დიდია.  
 როცა მომხმარებელთა მიწოდება დიდია.  
 როცა მომხმარებლები ფასის მიმართ ძალიან მგრძობიარენი არიან.  
 როცა მიმწოდებლები ფასის მიმართ ძალიან მგრძობიარენი არიან.
- 1214. რა შემთხვევაშია მართებული საქონელზე კონკურენტებზე უფრო დაბალი ფასის დაწესება?**  
 როცა მომხმარებლები ფასის მიმართ ძალიან მგრძობიარენი არიან.  
 როცა საქონელი განსაკუთრებული სამომხმარებლო თვისებებით გამოირჩევა.  
 როცა მოსალოდნელია რომ კონკურენტები ანალოგიურად ფასის შემცირებას ვერ შეძლებენ.  
 არც ერთი ჩამოთვლილთაგანი არაა სწორი.
- 1215. რა ეწოდება ქმედებას, როცა კომპანიები ერთი და იგივე საქონელზე სხვადასხვა მომხმარებლებისთვის განსხვავებულ ფასს აწესებენ?**  
 საფასო დივერსიფიკაცია.  
 მომხმარებლის გაკულაკება.  
 საფასო დისკრიმინაცია.  
 მაქსიმალური მოგების მიღების სტრატეგია.
- 1216. რომელი ფასით ხდება ტნკ-ის სტრუქტურებს შორის ვაჭრობა?**  
 ტრანსფარენტული ფასით.  
 ტრანსნაციონალური ფასით.

ტრანზიტული ფასით.  
ტრანსფერული ფასით.

- 1217. ტრანსფერული ფასის მანიპულირებით კომპანიები:**  
ოპტიმალურ საგადასახადო პირობებს იქმნიან და წმინდა მოგებას ხელოვნურად ზრდიან.  
კონკურენტებს ბაზრიდან ხელოვნურად ამკვებენ.  
მონოპოლისტურ ფასს აწესებენ.  
მომხმარებლების ნდობას იპოვებენ.
- 1218. ჩამოთვლილთაგან რა სახის სავაჭრო ფასი არ არსებობს?**  
კონტრაქტული ფასი.  
ბაზარზე შეღწევის ფასი.  
სასარტყელო ფასი.  
ჩალის ფასი.
- 1219. ბაზარზე შეღწევის ფასი, რომელიც ბაზრის დასაპყრობად გამოიყენება არის:**  
საქონლის დაბალი ფასი.  
საქონლის მაღალი ფასი.  
საქონლის ხარისხის ამსახველი ფასი.  
მონოპოლიური ფასი.
- 1220. მსოფლიო ბაზარზე რეალიზებული საქონლის ერთეულის ინტერნაციონალური ღირებულების ფულად გამოხატულებას უწოდებენ:**  
სასარტყელო ფასს.  
ფიუჩერსულ ფასს.  
მსოფლიო ფასს.  
კონტრაქტულ ფასს.
- 1221. სასარტყელო ფასი:**  
ჩამოყალიბებულია საბირჟო გარიგებების მიხედვით.  
დიფერენციულია გაყიდვების გეოგრაფიული ადგილის მიხედვით.  
არის ის ფასი, რომლითაც საქონელი დაუყოვნებლივი განაღდება იყიდება.  
ყველა პასუხი მცდარია.
- 1222. საბირჟო კონტრაქტების მიხედვით ჩამოყალიბებულ ფასს ეწოდება:**  
ფიუჩერსული ფასი.  
კონტრაქტული ფასი.  
საცნობარო ფასი.  
ფასი „სპოტი“.
- 1223. ოფიციალურ ფასს, რომელიც ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში ეწოდება:**  
აუქციონის ფასი.  
ფასი „სპოტი“.  
საცნობარო ფასი.  
ფიუჩერსული ფასი.
- 1224. ფასი „სპოტი“ ისეთი ფასია, რომლის მიხედვით:**  
საქონელი დაუყოვნებელი განაღდება იყიდება.  
საქონელი იშვიათ შემთხვევაში იყიდება.  
საქონელი აუქციონის ფასში იყიდება.  
საქონელი არ იყიდება.

**1225. საბირჟო ფასი:**

რთულად ცვალებადია.  
ნაკლებ სტაბილურია.  
სწრაფად ცვალებადია.  
უცვლელია.

**1226. საჯარო ვაჭრობის დროს დადგენილ ფასს უწოდებენ:**

საბირჟო ფასს.  
აუქციონურ ფასს.  
ფიუჩერსულ ფასს.  
საჯარო ფასს.

**1227. ფასდაკლება არის ბაზარზე ისეთი სიტუაცია, როცა:**

მყიდველი საბაზრო ფასზე იაფად უთმობს საქონელს გამყიდველს.  
მყიდველი საბაზრო ფასზე იაფად ცდილობს საქონლის ყიდვას.  
გამყიდველი საბაზრო ფასზე იაფად უთმობს საქონელს მყიდველს.  
ბაზარზე სარეალიზაციო საქონელი უფასოდ რიგდება.

**1228. რა სახის ფასდაკლება არ არსებობს?**

ექსკლუზიური ფასდაკლება.  
დილერული ფასდაკლება.  
კულტურული ფასდაკლება.  
ტრადიციული ფასდაკლება.

**1229. დილერული ფასდაკლება ეძლევათ:**

ადგილობრივი ბაზრის მოვაჭრეებს.  
საბითუმო და საცალო მოვაჭრეებს, აგენტებსა და შუამავლებს.  
ხანგრძლივი საიმედო კომერციული ურთიერთობის მქონე ფირმებს.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1230. ტრადიციული ფასდაკლება ეძლევათ:**

ადგილობრივი ბაზრის მოვაჭრეებს.  
საბითუმო და საცალო მოვაჭრეებს, აგენტებსა და შუამავლებს.  
ხანგრძლივი საიმედო კომერციული ურთიერთობის მქონე ფირმებს.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1231. სანედლეულო რესურსებზე მსოფლიო ფასების ცვლილებას განაპირობებს:**

აღნიშნული რესურსების რაოდენობრივი შეზღუდულობა.  
ყველა ქვეყნის ეკონომიკათა დიდად დამოკიდებულება.  
მათი ხელმისაწვდომობის განსხვავებული შესაძლებლობა.  
ყველა პასუხი სწორია.

**1232. ნედლეულზე მსოფლიო ფასების რეგულირების ქმედით მექანიზმს ფლობენ:**

ნედლეულის ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობები.  
ნედლეულის ექსპორტიორი ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი სასაქონლო ასოციაციები.  
ნედლეულის ექსპორტიორი ფირმების მმართველობის საბჭო.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1233. მსოფლიოს ძირითად რესურსებზე ფასების დინამიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ:**

ნავთობის ფასი ძვირდება.  
ნავთობის ფასი მცირდება.  
ნავთობის ფასი სხვა რესურსების ფასის დონეს დიდად განსაზღვრავს.



ნავთობის ფასი სხვა რესურსების ფასების დონეზეა დამოკიდებული.

**1234. პერსპექტივაში ნავთობის ფასის ცვლილება დამოკიდებული იქნება:**

- ექსპორტიორ ფირმებზე.
- სახელმწიფო ბარიერებზე.
- ნავთობის მარაგებზე.
- სხვა ნედლეულის რესურსებზე.

## თემა 15. ინფორმაცია და საგარეო გარემო

**1235. ჩამოთვლილთაგან რომელი სახეობის ეკონომიკური ინფორმაცია არ არსებობს?**

- სტატისტიკური.
- ბუხჰალტრული.
- ოპერატიული.
- ოპერაციული.

**1236. რა სახის ეკონომიკური ინფორმაცია არსებობს?**

- ანალიტიკური, სტატისტიკური, ოპერაციული.
- სამოქალაქო, საჯარო, საერთაშორისო.
- საგადასახადო, სასამართლო, მაკროეკონომიკური.
- სტატისტიკური, ოპერატიული, ანალიტიკური.

**1237. ეროვნული მეურნეობის მდგომარეობის და განვითარების საერთო სურათს ქმნის:**

- ოპერატიული ინფორმაცია.
- ანალიტიკური ინფორმაცია.
- სტატისტიკური ინფორმაცია.
- ბუხჰალტრული ინფორმაცია.

**1238. ფირმის საფინანსო საქმიანობის საფუძველი და საშუალებათა გამოყენების ამსახველია:**

- ოპერატიული ინფორმაცია.
- ანალიტიკური ინფორმაცია.
- სტატისტიკური ინფორმაცია.
- ბუხჰალტრული ინფორმაცია.

**1239. ჩამოთვლილთაგან, რომელია აუცილებელი მიმდინარე წინააღმდეგობების დასაძლევად?**

- ოპერატიული ინფორმაცია.
- ანალიტიკური ინფორმაცია.
- სტატისტიკური ინფორმაცია.
- ბუხჰალტრული ინფორმაცია.

**1240. საერთაშორისო ორგანიზაციები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები აქვეყნებენ:**

- ოპერატიულ ინფორმაციას.
- ანალიტიკურ ინფორმაციას.
- სტატისტიკურ ინფორმაციას.
- ბუხჰალტრულ ინფორმაციას.

**1241. ჩამოთვლილთაგან, რომელია ინფორმაციის პირველადი და სუბიექტური წყარო?**

- ექსპერტული შეფასებები.

ანალიტიკური ინფორმაცია.  
სტატისტიკური ინფორმაცია.  
ბუხჰალტრული ინფორმაცია.

**1242. ჩამოთვლილთაგან, რომელი გვაწვდის ინფორმაციას მოსალოდნელი მოვლენების შესახებ და იყენებს მათემატიკურ მეთოდებს?**

ექსპერტული შეფასებები.  
ანალიტიკური ინფორმაცია.  
სტატისტიკური ინფორმაცია.  
პროგნოზი.

**1243. რომელ წელს დაარსდა და სად მდებარეობს სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის შტაბ-ბინა?**

1885 წელს, ნიდერლანდში.  
1990 წელს, საფრანგეთში.  
1999 წელს, საქართველოში.  
2001 წელს, გერმანიაში.

**1244. სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი :**

არის ავტონომიური საერთაშორისო ორგანიზაცია.  
არ არის ავტონომიური საერთაშორისო ორგანიზაცია.  
არის გაეროს სპეციალიზირებულ დაწესებულებათა სისტემის ერთ-ერთი წევრი.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1245. რომელია მართებული დებულება? სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი :**

არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი სტრუქტურა.  
არის მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი სტრუქტურა.  
არის „დიდი შვიდეულის“ ინფორმაციის მიმწოდებელი ერთ-ერთი სტრუქტურა.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1246. სტატისტიკის სფეროში გაეროს ყველა განყოფილებას აკონტროლებს :**

სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი.  
გაეროს სტატისტიკური კომისია.  
გაეროს სამდივნოს სტატისტიკური ბიურო.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1247. გაეროს სამდივნოს სტატისტიკური ბიუროს ფუნქციებია :**

სტატისტიკური კომისიისთვის ინფორმაციის მომზადება, მეთოდოლოგიური დამუშავება და ანალიზი.  
სტატისტიკური მეთოდების სრულყოფა.  
გაეროს ყველა განყოფილების მეურვეობა.  
ყველა ერთად.

**1248. ყველა სახეობის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია მოიცავს:**

159 სასაქონლო კატეგორიის დეტალურ ინფორმაციას.  
170 სასაქონლო კატეგორიის დეტალურ ინფორმაციას.  
200 სასაქონლო კატეგორიის დეტალურ ინფორმაციას.  
500 სასაქონლო კატეგორიის დეტალურ ინფორმაციას.

**1249. გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სტანდარტული კლასიფიკაცია:**

მსოფლიოში წარმოებული ყველა საქონლის შესახებ დეტალურ ინფორმაციას.  
შეიცავს 261 ჯგუფს, 1033 ქვეჯგუფს და 2805 სასაქონლო პოზიციას.  
არის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სტრუქტურების მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

პროდუქტების ჩამონათვალია, რომელიც შესაძლოა საგარეო ვაჭრობის საგანი გახდეს.

**1250. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა:**

მოიცავს 159 სასაქონლო კატეგორიის დეტალურ ინფორმაციას.

მოიცავს 261 ჯგუფს, 1033 ქვეჯგუფს და 2805 სასაქონლო პოზიციას.

არის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სტრუქტურების მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

პროდუქტების ჩამონათვალია, რომელიც შესაძლოა საგარეო ვაჭრობის საგანი გახდეს.

**1251. ძირითადი პროდუქტის კლასიფიკატორი:**

მოიცავს 159 სასაქონლო კატეგორიის დეტალურ ინფორმაციას.

მოიცავს 261 ჯგუფს, 1033 ქვეჯგუფს და 2805 სასაქონლო პოზიციას.

არის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სტრუქტურების მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

პროდუქტების ჩამონათვალია, რომელიც შესაძლოა საგარეო ვაჭრობის საგანი გახდეს.

**1252. დაასრულეთ ფრაზა: გაეროს სტატისტიკური გამოცემები არსებობს ორი სახის, -**

ეკონომიკური და სპეციალური ხასიათის.

არაეკონომიკური და სპეციალიზირებული ხასიათის.

ფართომასშტაბიანი და ვიწრომასშტაბიანი ხასიათის.

ზოგადეკონომიკური და სპეციალიზირებული ხასიათის.

**1253. ზოგადეკონომიკური ხასიათის სტატისტიკურ ინფორმაციას მიეკუთვნება:**

„ცნობის ფურცელი“ და „ბიულეტენი“.

„სტატისტიკური უწყისი“ და „მათემატიკური მოდელირება“.

„წლიური ცნობარი“ და „ყოველთვიური სტატისტიკური ბიულეტენი“.

არც ერთი მათგანი.

**1254. სპეციალიზირებული ხასიათის სტატისტიკურ ინფორმაციას მიეკუთვნება:**

„წლიური ცნობარი“ და „ყოველთვიური სტატისტიკური ბიულეტენი“.

„სტატისტიკური უწყისი“ და „მათემატიკური მოდელირება“.

„წლიური დემოგრაფიული კრებული“ და „საგარეო ვაჭრობის წლიური კრებული“.

ყველა ერთად.

**1255. ინფორმაციის „წლიური ცნობარი“ ასახავს:**

მსოფლიო მეურნეობის დარგების განვითარების ინფორმაციას.

ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ინფორმაციას.

ქვეყნების დემოგრაფიული ცვლილების მონაცემებს.

ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით ვაჭრობის მონაცემებს.

**1256. „ყოველთვიური სტატისტიკური ბიულეტენი“ ასახავს:**

მსოფლიო მეურნეობის დარგების განვითარების ინფორმაციას.

ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყნების დემოგრაფიული ცვლილების მონაცემებს.

ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით ვაჭრობის მონაცემებს.

**1257. „წლიური დემოგრაფიული კრებული“ ასახავს :**

ქვეყნების დემოგრაფიული ცვლილების მონაცემებს.

მსოფლიო მეურნეობის დარგების განვითარების ინფორმაციას.

ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით ვაჭრობის მონაცემებს.

**1258. „საგარეო ვაჭრობის წლიური კრებული“ ასახავს:**

ქვეყნების დემოგრაფიული ცვლილების მონაცემებს  
მსოფლიო მეურნეობის დარგების განვითარების ინფორმაციას.  
ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.  
ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით ვაჭრობის მონაცემებს.

**1259. რომელი საერთაშორისო ორგანიზაცია არ აქვეყნებს საკუთარ სტატისტიკურ მონაცემებს:**

იუნკდატი.  
იუნესკო.  
იუნკერი.  
იფადი.

**1260. საერთაშორისო ორგანიზაციის WEB-საიტის ელექტრონული მისამართის დაბოლოებაა:**

„com“.  
„org“.  
„gov“.  
„net“.

**1261. ჩამოთვლილთაგან, რომელია ვმო-ს ვებ-გვერდის მისამართი?**

[www.wto.org](http://www.wto.org)  
[www.wmo.org](http://www.wmo.org)  
[www.wtm.org](http://www.wtm.org)  
[www.oecd.org](http://www.oecd.org)

**1262. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის ვმო-ს ვებ-გვერდის განყოფილება?**

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.  
ვმო-ის ცნობები.  
არქივარიუსი.  
საინფორმაციო რესურსები.

**1263. ვმო-ის ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის განყოფილება შეიცავს ცნობებს:**

მმართველობითი სტრუქტურისა და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული პრობლემების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის შესახებ.

**1264. ვმო-ის ცნობების განყოფილება შეიცავს ინფორმაციას:**

მმართველობითი სტრუქტურის და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული პრობლემების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის შესახებ.

**1265. ვმო-ის ვაჭრობის პრობლემების განყოფილება შეიცავს ინფორმაციას:**

მმართველობითი სტრუქტურის და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული პრობლემების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის შესახებ.

**1266. ვმო-ის საინფორმაციო რესურსების განყოფილება შეიცავს ცნობებს:**

მმართველობითი სტრუქტურის და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული პრობლემების შესახებ.  
საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის შესახებ.

1267. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ვებ-საიტი:

- [www.wto.org](http://www.wto.org)
- [www.wmo.org](http://www.wmo.org)
- [www.wtm.org](http://www.wtm.org)
- [www.oecd.org](http://www.oecd.org)

1268. სამართლებრივი გარემო 3 ტიპისაა:

ჩვეულებრივი, დისციპლინარული, სპეციალური  
ჩვეულებითი, ადათობრივი, სამოქალაქო  
ჩვეულებითი, სამოქალაქო, თეოკრატიული  
ყველა პასუხი სწორია.

1269. ჩვეულებითი სამართალი მომდინარეობს:

ისტორიიდან და არის ადათ-წესების ერთობლიობა.  
წინა საუკუნიდან და არ არის სახელმწიფოს პრეროგატივა.  
გვაროვნული წყობილებიდან და არის სახელმწიფო ხელისუფლების ხელისუფლების მიერ დადასტურებული  
ჩვეულებების ერთობლიობა.  
ყველა პასუხი მცდარია.

1270. თანამედროვე სახელმწიფოებში ჩვეულებითი სამართალი:

დიდი მნიშვნელობისაა.  
ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.  
არსებითი მნიშვნელობის არ არის.  
საერთოდ არ არსებობს.

1271. ჩვეულებითი სამართლებრივი სისტემის ნიმუშია:

აშშ და დიდი ბრიტანეთი.  
იაპონია და ჩინეთი.  
თურქეთი და არაბეთი.  
საქართველო და აზერბაიჯანი.

1272. რა ეწოდება მეორენაირად სამოქალაქო სამართლის სისტემას?

კოდური სამართლებრივი სისტემა.  
კოდიფიცირებული სამართლებრივი სისტემა.  
საერთო სამართლებრივი სისტემა.  
არც ერთი ჩამოთვლილთაგანი.

1273. სამოქალაქო სამართლის სისტემა :

კანონთა კომპლექსია.  
კოდექსის სახით კანონთა კომპლექსია.  
ჩვეულებითი კანონთა კომპლექსია.  
ყველა ჩამოთვლილი სწორია.

1274. რა განსხვავებაა ჩვეულებით და სამოქალაქო სამართლის სისტემებს შორის:

ჩვეულებითი სამართალი მოვლენების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას ემყარება, ხოლო  
სამოქალაქო სამართალი ფაქტებსა და კანონთა შესაბამისობას.  
ჩვეულებითი სამართალი მოვლენების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას არ ემყარება,  
ხოლო სამოქალაქო სამართალი - ფაქტებსა და კანონთა შესაბამისობას.  
ჩვეულებითი სამართალი მოვლენების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას ემყარება,  
ხოლო სამოქალაქო სამართალი - ფაქტებსა და კანონთა შეუსაბამობას.  
ყველა პასუხი მცდარია

1275. თეოკრატიული სამართალი იგივეა, რაც:

ჩვეულებითი სამართალი.  
რელიგიური სამართალი.  
სამოქალაქო სამართალი.  
ყველა ერთად.

**1276. თეოკრატიული სამართალი ეფუძნება:**

რელიგიური მოძღვრების მცნებებს.  
ოფიციალურად დადგენილ წეს-ჩვეულებებს.  
როგორც რელიგიური მოძღვრების მცნებებს, ასევე ოფიციალურად დადგენილ წეს-ჩვეულებებს.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1277. თეოკრატიული სამართლის საუკეთესო ნიმუშია:**

იტალიური ვენდეტა.  
მუსლიმური სამართალი.  
კათოლიკური სამართალი.  
პროტესტანტული სამართალი.

**1278. საუდის არაბეთში უცხოურმა კომპანიებმა უნდა იმოქმედონ:**

ინდივიდუალურად.  
თავისუფლად.  
ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით.  
ბანკებთან შეთანხმებით.

**1279. თანამედროვე კლასიფიკაციით, სამართლებრივი სისტემები იყოფა:**

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემად.  
ანგლო-საქსონურ სამართლებრივ სისტემად.  
ბიუროკრატიულ და რელიგიურ-ტრადიციულ სამართლებრივ სისტემად.  
ყველა ჩამოთვლილი ერთად.

**1280. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის საფუძვლად ითვლება:**

რომის იმპერატორების ავგუსტუსისა და იუსტინიანეს კოდექსები.  
ინგლისში ნორმანდიელების მიერ ქვეყნის დაპყრობის შედეგი.  
ისლამური სამართალი.  
ყველა პასუხი სწორია.

**1281. რა ეწოდება მეორენაირად ანგლო-საქსონურ სამართალს?:**

ჩვეულებითი სამართალი.  
რელიგიური სამართალი.  
სამოქალაქო სამართალი.  
საერთო სამართალი.

**1282. სად მოქმედებს საერთო სამართალი ?**

დიდ ბრიტანეთსა და მის ყოფილ კოლონიებში.  
თურქეთსა და საბერძნეთში.  
გერმანიასა და საფრანგეთში.  
ირლანდიასა და ისლანდიაში.

**1283. საერთო სამართალი ეფუძნება**

ნაფიცმსაჯულთა პრაქტიკას.  
მოწმეების დაკითხვის პრაქტიკას.  
სამართლებრივ პრაქტიკას ანუ სასამართლო პრეცედენტს.  
არც ერთ მათგანს.

- 1284. რა ეწოდებოდა კომუნისტურ-დიქტატორულ ქვეყნებში მოქმედ სამართლებრივ სისტემას?**  
ჩვეულებითი სამართალი.  
რელიგიური სამართალი.  
სამოქალაქო სამართალი.  
ბიუროკრატიული სამართალი.
- 1285. რაში მდგომარეობს ბიუროკრატიული სამართლის არსი?**  
კომპანიები დამოუკიდებლად მოქმედებენ.  
ბიუროკრატების ქმედება - მითითება ხშირად კანონის ძალას იღებს.  
მოსამართლე განსაზღვრავს ძირითად დავებს და გამოაქვს განაჩენი.  
ყველა ერთად.
- 1286. ბიუროკრატიული სამართლის ქვეყნებში :**  
კომპანია ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს.  
ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი.  
კომპანიის წარმატებული ბიზნესი რისკის ქვეშაა.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- 1287. მუსლიმები ძირითადად ცხოვრობენ:**  
ჩრდილოეთ აფრიკაში.  
მცირე აზიაში.  
ცენტრალურ აზიაში.  
ყველა ჩამოთვლილ ტერიტორიაზე.
- 1288. ყურანი წარმოადგენს:**  
ისლამის დოგმებისა და დებულებების კრებულს.  
რომის იმპერატორების ავგუსტუსისა და იუსტინიანეს კოდექსებს.  
როგორც რელიგიური მოძღვრების მცნებებს, ასევე ოფიციალურად დადგენილ წეს-ჩვეულებებს.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- 1289. ისლამის ორგანული ნაწილია შარიათი, რომელიც არის :**  
ისლამის დოგმებისა და დებულებების კრებული.  
რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებული.  
ორგანიზებული დანაშაულის სამართლებრივი საფუძვლების გარანტი.  
ტერორიზმთან დაკავშირებული ქადაგებების მოძღვრება.
- 1290. შარიათის კანონებით იკრძალება :**  
თამბაქოს მოწევა.  
ალკოჰოლის მიღება.  
ქალების მოკლესახელოებიანი სამოსით ქუჩაში გასვლა.  
ყველა პასუხი სწორია.
- 1291. ისლამური სამართალი ცნობს:**  
ცალმხრივ გარიგებას.  
ორმხრივ გარიგებას.  
როგორც ცალმხრივ, ასევე ორმხრივ გარიგებას.  
ისლამური სამართალი გარიგებებს არ ცნობს.
- 1292. ისლამურ სამართალში ცალმხრივი გარიგების დადებისათვის :**  
საჭიროა მეორე მხარის თანხმობა.  
საჭირო არ არის მეორე მხარის თანხმობა.  
საჭიროა მოწმეების თანდასწრება.

საჭიროა უხუცესების დამოწმება.

**1293. ისლამურ სამართალში ორმხრივი გარიგება იდება:**

ზეპირი შეთანხმებით.

წერილობითი ფორმით.

როგორც ზეპირი შეთანხმებით, ასევე წერილობითი ფორმით.

მხოლოდ უხუცესის თანდასწრებით.

**1294. ხელშეკრულების საგანი ისლამურ სამართალში შეიძლება იყოს:**

მოქმედება.

უმოქმედობა.

რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება.

ყველა პასუხი სწორია.

**1295. ისლამურ სამართალში აკრძალულია:**

სპეკულაციური ხელშეკრულება.

რისკიანი ხელშეკრულება.

მოტყუებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება.

ყველა პასუხი სწორია.

**1296. რომელ ხელშეკრულებას ცნობს ისლამური სამართალი?**

აუცილებელს

ნებადართულს.

დაკიდებულს.

ყველა პასუხი სწორია.

**1297. ისლამური სამართალით ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ზოგ შემთხვევაში, მხარეებს ხელშეკრულების მოშლის უფლება გააჩნიათ. კერძოდ, როცა:**

ისინი ხელშეკრულების დადების ადგილას იმყოფებიან.

მყიდველი ხელშეკრულების დადებიდან 3 დღის განმავლობაში ნაყიდ საქონელს ნაკლს აღმოუჩენს.

მყიდველი საქონელს ისეთ ნაკლს აღმოუჩენს რომლის შემჩნევაც ხელშეკრულების დადებისას

შეუძლებელი იყო.

ყველა პასუხი სწორია.

**1298. ინდუსური სამართალი იმ საზოგადოების სამართალია, რომელიც აღიარებს:**

(ერთი ან ორი პასუხია სწორი)

ინდუიზმს.

იუდაიზმს.

ბრაჰმანიზმს.

კრიშნაიზმს.

**1299. ბრძენი კონფუცის მოძღვრებაზე აგებულია:**

ინდოეთის სამართლებრივი სისტემა.

იაპონიის სამართლებრივი სისტემა.

მონღოლეთის სამართლებრივი სისტემა.

ჩინეთის სამართლებრივი სისტემა.

**1300. რომელი სიტყვაა გამოტოვებული ფრაზაში? ჩინელების გაგებით „.....“ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, იგი არღვევს საგანთა ბუნებრივ წესრიგსა და ჰარმონიას.**

უსამართლობა.

ადამიანი.

ტექნოლოგიები.



სამართალი.

**1301. ჩინეთში გავრცელებულია :**

გუანხის კონცეფცია.  
შენზენის კონცეფცია.  
გუანჯაოს კონცეფცია.  
უზნადის კონცეფცია.

**1302. იაპონური ქცევის ნორმებს, რომელიც ახლოს იდგა ჩინურ წესებთან უწოდებდნენ:**

გირის.  
ჰაკას.  
ჯიუ-ჯიცუს.  
ქოჯის.

**1303. იაპონიაში ქცევას განსაზღვრავდა ღირსების კოდექსი და სამართალი მიიჩნეოდა:**

ფუნდამენტურ მოვლენად.  
მართებულ მოვლენად.  
უსაფუძვლო, თითქმის იდიოზურ მოვლენად.  
იდიოტურ მოვლენად.

**1304. იაპონელებს სასამართლო სისტემსადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ და ისინი უპირატესობას აძლევენ დავების მოგვარებას:**

საარბიტრაჟო წესით.  
ნაფიცმსაჯულთა წესით.  
მოწმეთა დაკითხვის წესით.  
სიტყვაზე ნდობის წესით.

**1305. ჩამოთვლილთაგან რომელი ასპექტით განიხილება სამართლებრივი აქტები?**

შიდა ბაზარზე ორიენტირებული კანონები.  
საქმიანი ოპერაციების მარეგულირებელი კანონები.  
უცხოური კომპანიების საწინააღმდეგოდ მიმართული კანონები.  
ყველა პასუხი სწორია.

**1306. შიდა ბაზარზე ორიენტირებული კანონები არეგულირებს:**

პერსონალის მართვას.  
პროდუქციის მარკეტინგს.  
ოპერაციების დაფინანსებას და ტექნოლოგიების დამუშავება -გამოყენებას.  
ყველა ზემოთჩამოთვლილს.

**1307. საქმიანი ოპერაციების მარეგულირებელი კანონები:**

უმრავლეს შემთხვევაში მოტივირებულია პოლიტიკური შეხედულებებით.  
მოტივირებულია ეროვნული შეხედულებებით.  
მოტივირებულია კომერციული შეხედულებებით.  
ყველა პასუხი სწორია.

**1308. უცხოური კომპანიების საწინააღმდეგოდ მიღებული კანონები ემსახურება:**

ქვეყანაში ინტერნაციონალიზაციის დაჩქარებას.  
ნაციონალიზაციის პროცესის დაჩქარებას.  
მობილურობის დაჩქარებას.  
კომერციალიზაციის დაჩქარებას.

**1309. საულის არაბეთი, სამხრეთ აფრიკა და რუსეთი გამოირჩევიან :**

ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.  
მდიდარი ბუნებრივი რესურსებით.  
ჭარბი სამუშაო ძალით.  
სამუშაო ძალის ნაკლებობით.

**1310. არგენტინა და ავსტრალია გამოირჩევიან:**

ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.  
მდიდარი ბუნებრივი რესურსებით.  
ჭარბი სამუშაო ძალით.  
სამუშაო ძალის ნაკლებობით.

**1311. ჩინეთი და ინდონეზია გამოირჩევიან:**

ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.  
მდიდარი ბუნებრივი რესურსებით.  
ჭარბი სამუშაო ძალით.  
სამუშაო ძალის ნაკლებობით.

**1312. ისლანდია და ახალი ზელანდია გამოირჩევიან:**

ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.  
მდიდარი ბუნებრივი რესურსებით.  
ჭარბი სამუშაო ძალით.  
სამუშაო ძალის ნაკლებობით.

**1313. რესურსების ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ :**

რომელ პროდუქციას დაამზადებს ქვეყანა.  
ვინ გახდება პარტნიორი ქვეყანა.  
რომელ ქვეყანაში გავიტანთ ჩვენს გამოშვებულ პროდუქციას.  
ყველა პასუხი სწორია.

**1314. ტექნოლოგიური გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორია: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ინვესტიციები.  
სავაჭრო ბრუნვა.  
უცხოური გზავნილები.  
ინტელექტუალური საკუთრების დამცველი კანონები.

**1315. ჩამოთვლილთაგან, რომელი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების დაცვას?**

პარიზის კონვენცია.  
ბერნის კონვენცია.  
საერთაშორისო კონვენცია.  
ყველა პასუხი სწორია.

**1316. ეკონომიკური სისტემები იყოფა 3 ჯგუფად, კერძოდ:**

მარქსისტული, კეინზიანური, კაპიტალისტური.  
კაპიტალისტური, სოციალისტური, კომუნისტური.  
კაპიტალისტური, სოციალისტური, შერეული.  
სოციალისტური, კომუნისტური, შერეული.

**1317. რესურსების განაწილებისა და კონტროლის მიხედვით არსებობს:**

საბაზრო და არასაბაზრო ეკონომიკა.  
რესურსული და კონტროლირებადი ეკონომიკა.  
საბაზრო და კომანდიტური ეკონომიკა.  
ყველა მათგანი ერთად.

**1318. საკუთრების ტიპის მიხედვით არსებობს :**

- კერძო და პირადი საკუთრება.
- კერძო და სახელმწიფო საკუთრება.
- საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრება.
- კერძო და საზოგადოებრივი საკუთრება.

**1319. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთავარ როლს ორი სოციალური ელემენტი ასრულებს:  
(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

- საზოგადოება.
- ინდივიდი.
- ინვესტორი.
- ფირმა.

**1320. რა განსხვავებაა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინდივიდსა და ფირმას შორის?  
(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

- ინდივიდი იყენებს რესურსებს და აწარმოებს პროდუქციას.
- ინდივიდი ფლობს რესურსებს და მოიხმარს პროდუქციას.
- ფირმა ფლობს რესურსებს და მოიხმარს პროდუქციას.
- ფირმა იყენებს რესურსებს და აწარმოებს პროდუქციას.

**1321. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ნიშნებია: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

- მომხმარებლის სუვერენიტეტი.
- ინვესტორების პასიური როლი.
- ბაზარზე ფირმის საქმიანობის თავისუფლება.
- სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკაში

**1322. კომანდიტური ეკონომიკის პირობებში მეურნეობის ყველა სექტორს:**

- საზოგადოება აკონტროლებს.
- მწარმოებელი აკონტროლებს.
- სახელმწიფო აკონტროლებს.
- სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს.

**1323. შერეული ეკონომიკა შედგება:**

- საბაზრო ეკონომიკისაგან.
- კომანდიტური ეკონომიკისაგან.
- ორივე ჩამოთვლილი ეკონომიკისაგან.
- არც ერთი მათგანისაგან.

**1325. გავლენის ხარისხის მიხედვით არსებობს:**

- მიკრო და მაკროპოლიტიური რისკები.
- მეგა და მეზოპოლიტიკური რისკები.
- ლოკალური კულტურული რისკები.
- ყველა მათგანი სწორია.

**1326. პოლიტიკურ-ეკონომიკურ რისკს განეკუთვნება:**

- ქონების რეკვიზიცია.
- ქონების კონფისკაცია.
- ინფლაცია.
- ყველა პასუხი სწორია.

**1327. რას ნიშნავს სიტყვა რეპატრიაცია ?**

- სამშობლოში დაბრუნებას.

საკუთრების უფლების დაბრუნებას.  
კაპიტალის დაბრუნებას.  
პატენტის მინიჭებას.

**1328. რას ნიშნავს ეროვნული ვალუტის დევალვაცია:**

მტკიცე ვალუტასთან შედარებით კურსის გადიდებას.  
მტკიცე ვალუტასთან შედარებით კურსის შემცირებას.  
ვალუტის კურსის ცვლილებას.  
ყველა პასუხი სწორია.

**1329. რას ნიშნავს ქონების რეკვიზიცია?**

მტკიცე ვალუტასთან შედარებით კურსის გადიდებას.  
მტკიცე ვალუტასთან შედარებით კურსის შემცირებას.  
ჩამორთმევას ანაზღაურებით.  
ჩამორთმევას უსასყიდლოდ.

**1330. რას ნიშნავს ქონების კონფისკაცია?**

ჩამორთმევას ანაზღაურებით.  
ჩამორთმევას უსასყიდლოდ.  
დალადალებას.  
განადგურებას

**1331. ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მიიღება:**

ადგილობრივი მოსახლეობიდან.  
საელჩოებიდან და საერთაშორისო სავაჭრო პალატიდან.  
იმ ბეჭდური გამოცემებიდან, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.  
ყველა პასუხი სწორია.

**1332. აშშ-ში პოლიტიკური რისკებისაგან კომპანიების დაზღვევას უზრუნველყოფს:**

რისკების მართვის სააგენტო.  
ცენტრალური ბანკი.  
მთავრობა.  
კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაცია.

**1333. პოლიტიკური რისკების დაზღვევის ანალოგიურ საქმიანობას ეწევა მსოფლიო ბანკის დაქვემდებარებაში ფილიალის სტატუსით არსებული:**

რისკების მართვის სააგენტო.  
კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაცია.  
ინვესტიციების გარანტირების მრავალმხრივი სააგენტო.  
ფიუჩერსული ინვესტიციების სააგენტო.

## თემა 16. ბიზნესის გლობალიზაცია და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია

**1334. რას ნიშნავს სიტყვა „ბიზნესი“?**

მიზანმიმართულ საქმიანობას.  
მრავალმხრივ საქმიანობას.  
ცალმხრივ საქმიანობას.  
ბინძურ საქმიანობას.

**1335. ბიზნესის უმთავრესი მიზანია:**

წარმოების დივერსიფიკაცია.  
წარმოების მოდერნიზაცია.  
წარმოების გაფართოება.  
მოგების მიღება.

**1336. განმარტების თანახმად, რის შედეგად მიიღება ბიზნესიდან მოგება?**

წარმოების გაფართოების შედეგად.  
ვაჭრობის გაფართოების შედეგად.  
საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად.  
წილების დაპატრონების შედეგად.

**1337. ბიზნესის ფუნქციებს მიეკუთვნება: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

მომწოდებლების მოთხოვნების დაკმაყოფილება.  
ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილება.  
პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება.  
საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

**1338. ბიზნესის კლასიფიკაცია ხდება:**

სუბიექტის მიხედვით.  
ლეგალურობის მიხედვით.  
მასშტაბის მიხედვით.  
ყველა პასუხი სწორია.

**1339. სუბიექტის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი სახის ბიზნესს: (ერთ ან ორი პასუხია სწორი)**

ინდივიდის ბიზნესი.  
სამთავრობო ბიზნესი.  
ფირმის ფირმის.  
საერთაშორისო ბიზნესი.

**1340. ლეგალურობის მიხედვით განასხვავებენ:**

ღია და ფარულ ბიზნესს.  
ინდივიდის და ფირმის ბიზნესს.  
დიდ და საშუალო ბიზნესს.  
ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს.

**1341. მასშტაბის მიხედვით განასხვავებენ:**

ღია და ფარულ ბიზნესს.  
ინდივიდის და ფირმის ბიზნესს.  
დიდ, საშუალო და მცირე ბიზნესს.  
ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს.

**1342. სექტორის დაყოფის მიხედვით განასხვავებენ:**

ინდივიდის და ფირმის ბიზნესს.  
დიდ, საშუალო და მცირე ბიზნესს.  
ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს.  
მატერიალური და არამატერიალური წარმოების ბიზნესს.

**1343. დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ:**

ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს.  
მატერიალური და არამატერიალური წარმოების ბიზნესს.  
მრეწველობის, ტრანსპორტის, განათლების ბიზნესს.  
ინდივიდის და ფირმის ბიზნესს.

**1344. მოქმედების არეალის მიხედვით განასხვავებენ:**

ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს.  
მატერიალური და არამატერიალური წარმოების ბიზნესს.  
მრეწველობის, ტრანსპორტის, განათლების ბიზნესს.  
ინდივიდის და ფირმის ბიზნესს.

**1345. ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ:**

სამეწარმეო, კომერციულ, ფინანსურ ბიზნესს.  
ინდივიდის და ფირმის ბიზნესს.  
დიდ, საშუალო და მცირე ბიზნესს.  
ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს.

**1346. სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ეკონომიკური ურთიერთობის ნებაყოფლობით პროცესს ეწოდება:**

ინდივიდუალური ბიზნესი.  
საერთაშორისო ბიზნესი.  
ოფიციალური ბიზნესი.  
კომერციული ბიზნესი.

**1347. მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციისა და ბიზნესის ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს:**

საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია.  
ღია ეკონომიკის მასშტაბების შემცირება.  
ჩაკეტილი ეროვნული მეურნეობიდან ღია ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა.  
ყველა პასუხი სწორია.

**1348. თანამედროვე ღია ეკონომიკის ფორმირებაში დიდი როლი შეასრულეს:**

ადგილობრივმა ფირმებმა.  
საერთაშორისო ბანკებმა.  
მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ.  
ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა.

**1349. ღია ეკონომიკის უპირატესობებია: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სპეციალიზაციისა და კოოპერაციის გაღრმავება.  
კონკურენტული უპირატესობების შესუსტება.  
ფასების დონის რეგულირება.  
შრომით-სანედლეულო რესურსების რაციონალური გამოყენება.

**1350. ქვეყნის ღია ეკონომიკის რაოდენობრივ ინდიკატორად მიიჩნევა:**

ექსპორტულ-იმპორტული კვოტები.

ინფლაციის დონე.  
ფასებისა და პროდუქციის დონე.  
ლიცენზიების რაოდენობა.

**1351. საერთაშორისო ბიზნესის მიმართულებები: (ერთ ან ორი პასუხია სწორი)**

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი.  
საქონლისა და მომსახურების იმპორტი.  
საერთაშორისო ფინანსური გადარიცხვები.  
საშინაო ფინანსური გადარიცხვები.

**1352. საერთაშორისო ბიზნესის განხორციელების ძირითადი ფორმებია:**

საქონლის ყიდვა-გაყიდვა.  
საქონელგაცვლა.  
პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები.  
ყველა პასუხი სწორია.

**1353. საერთაშორისო ბიზნესის განხორციელების დამატებითი ფორმებია:**

საბანკო და სადაზღვეო მომსახურება.  
საქონლის ყიდვა-გაყიდვა.  
საქონელგაცვლა.  
პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები.

**1354. საერთაშორისო ბიზნესს ახასიათებს: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

უნივერსალურობისაკენ სწრაფვა.  
მიმზიდველობა.  
ტექნოლოგიური გლობალიზაცია.  
გაფართოებული კვლავწარმოება.

**1355. საერთაშორისო ბიზნესს ახასიათებს: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ინტერნაციონალიზაცია.  
კონკურენციის დონეთა განსხვავებულობა.  
მართვის ცენტრალიზებული სისტემა.  
საბანკო კონკურენცია.

**1356. გლობალური ბიზნესის განვითარების მოტივებს განეკუთვნება:**

გასაღების სფეროს გაფართოება.  
ხელსაყრელ პირობებში სანედლეულო რესურსების შეძენა.  
ჭარბი სიმძლავრეების გამოყენება.  
ყველა პასუხი სწორია.

**1357. ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის პოტენციურ შესაძლებლობას ზრდის:**

ინვესტიციების მაღალი დონე.  
ინფრასტრუქტურული პროექტებისადმი საერთო ინტერესების არსებობა.  
ეკონომიკური განვითარებისა და კლიმატური პირობების განსხვავება.  
ყველა პასუხი სწორია.

**1358. საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში რომელი მეთოდები გამოიყენება?**

რაციონალური და ირაციონალური  
კონკრეტული და აბსტრაქტული.  
პირდაპირი და ირიბი.  
ინდივიდუალური და საზოგადო.

**1359. პირდაპირი მეთოდი ბიზნესში გულისხმობს:**

უშუალო კავშირს ინვესტორსა და ქვეყანას შორის.  
უშუალო კავშირს მწარმოებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის.

უმუშალო კავშირს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.  
ყველა პასუხი სწორია.

**1360. რომელი ქვეყნის კომპანიის სახელს უკავშირდება ტნკ-ის წარმოშობა?**

- „ჩინეთი“.
- „ინდოეთი“.
- „აშშ“.
- „დიდი ბრიტანეთი“.

**1361. არსებობს საერთაშორისო კომპანიების შემდეგი კლასიფიკაცია:**

ტურისტული, ვაჭრობის, გადაზიდვის.  
ტნკ, მრავალეროვნული, გლობალური.  
გლობალური, ლოკალური.  
კვლავწარმოებითი, მომსახურებითი.

**1362. გლობალური კომპანიები გავრცელდა:**

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.  
XX საუკუნის პირველი ნახევრიდან.  
XX საუკუნის 80-ანი წლებიდან.  
XXI საუკუნიდან.

**1363. მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან 3/5 არის :**

ამერიკული და ბრიტანული.  
ამერიკული და იაპონური.  
ბრიტანული და კორეული.  
ქართული და სომხური.

**1364. საერთაშორისო კომპანიების უმთავრესი სტრატეგია დაკავშირებულია:**

მომსახურების გატანის სპეციფიკასთან.  
ჭარბი რაოდენობით პროდუქციის გამოშვებასთან.  
კაპიტალის გატანის სპეციფიკასთან.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1365. ცნობილი ფაქტორების (იაფი ნედლეული, სამუშაო ძალა, დიდი ბაზარი და ა.შ.) გამო, კომპანიების სტრატეგიები მიმსრთულია:**

განვითარებული ქვეყნებისაკენ.  
განვითარებადი ქვეყნებისაკენ.  
ავტოკრატული ქვეყნებისაკენ.  
ყველა მიმართულებით.

**1366. დაასრულეთ ფრაზა: კომპანიების მოგების გადიდებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს:**

ტრანსფარენტული ფასი.  
სარეკომენდაციო ფასი.  
ტრანსფერტული ანუ გადასაგზავნი ფასი.  
ტრანსნაციონალური ანუ საერთაშორისო ფასი.

**1367. ფასებით მანევრირების წინასწარგანზრახულ მიზნებს მიეკუთვნება: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

არსებულ ბაზრებზე უპირატესობის შენარჩუნება, ხოლო ახალზე გავლენის მოპოვება.  
მოგების მაქსიმალური მარჟის მიღწევა.  
ინვესტიციების მოზიდვა.  
სავალუტო კონტროლისაგან თავის დაღწევა.



**1368. რომელ შემთხვევაში გამოიყენება დაბალ ფასებში პროდუქციის გაყიდვით ადგილობრივი ბაზრების ათვისების ტაქტიკა?**

ჰორიზონტალურად ინტეგრირებული სტრუქტურების შემთხვევაში.  
ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურების შემთხვევაში.  
ცენტრალიზებულად ინტეგრირებული სტრუქტურების შემთხვევაში.  
ყველა პასუხი სწორია.

**1369. მაღალი საბაჟო გადასახადების არსებობისას კომპანიები:**

ექსპორტ-იმპორტის ფასს ხელოვნურად ამცირებენ.  
ექსპორტ-იმპორტის ფასს ხელოვნურად ამცირებენ.  
გადასახადებს მალავენ.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1370. სახელმწიფოდან საექსპორტო სუბსიდიების (დახმარებების) მიღებისას კომპანიები:**

გადასახადებს მალავენ.  
ექსპორტ-იმპორტის ფასს ხელოვნურად ადიდებენ.  
ექსპორტ-იმპორტის ფასს ხელოვნურად ამცირებენ.  
ყველა პასუხი სწორია.

**1371. ცნობილია, რომ მოგება ძირითადად მიიღება იმ ქვეყნებიდან, სადაც:**

მაღალი გადასახადებია დაწესებული.  
დაბალი გადასახადებია დაწესებული.  
ბიზნესის სოციალისტური მმართველობაა.  
ბიზნესის კაპიტალისტური მმართველობაა

**1372. ტრანსფერტული ფასწარმოქმნის მექანიზმიდან გამომდინარე, კომპანიებს კონკრეტულ ქვეყანაში ვალუტის მოსალოდნელი დევალვაციის დროს:**

აქტივები და მოგება სხვა ქვეყნებში გადააქვთ.  
აქტივები და მოგება მოცემულ ქვეყანაში მიზნობრივად აქვთ დაბანდებული.  
გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი აქვთ.  
ყველა პასუხი სწორია.

**1373. სუსტი ვალუტის მქონე ქვეყნებში, სადაც ინფლაცია ტიპური პროცესია, ამიტომ:**

კომპანიები მოგების მაღალ დონეს ლამობენ.  
კომპანიები მოგების მინიმალურ დონეს ესწრაფვიან.  
კომპანიები დიდი რაოდენობით დაბალხარისხიან პროდუქტს აწარმოებენ.  
ყველა პასუხი სწორია.

**1374. ძლიერი ვალუტის მქონე ქვეყნებში:**

კომპანიები მოგების მაღალ დონეს ლამობენ.  
კომპანიები მოგების მინიმალურ დონეს ესწრაფვიან.  
კომპანიები დიდი რაოდენობით დაბალხარისხიან პროდუქტს აწარმოებენ.  
ყველა პასუხი სწორია.

**1375. განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე შედღწევა-დაფუძნების მიზნით, კომპანიები ხშირად იყენებენ ისეთ ორგანიზაციულ ფორმებს, როგორებიცაა :**

ერთეული და საზოგადო საწარმოები.  
ერთობლივი და სააქციო საწარმოები.  
ერთჯერადი და მრავალჯერადი საწარმოები.  
კონტრაქტორი და არაკონტრაქტორი კომპანიები.

**1376. სახელმწიფოები მუდამ ცდილობენ თავიანთ კომპანიებს უცხოეთში ხელშეკრულების გასაფორმებლად:**

ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები არ შეუქმნან.  
მტკიცე საკონტრაქტო გარანტიების შექმნას ხელი შეუშალონ.  
ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები და მტკიცე გარანტიები შეუქმნან.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1377. ექსტერიტორიულობა არის :**

განსაკუთრებული უპირატესობანი, რომლებსაც სახელმწიფოები უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს აძლევენ.  
უცხოელებისთვის დაწესებული სპეციალური აკრძალვების ერთობლიობა.  
ეროვნული კომპანიებისათვის წამახალისებელი კანონების ერთობლიობა.  
არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგანი.

**1378. დონორ ქვეყნებში იგულისხმება :**

მიმღები ქვეყნები.  
გამცემი ქვეყნები.  
ორივე ერთად.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1379. რეციპიენტ ქვეყნებში იგულისხმება :**

მიმღები ქვეყნები.  
გამცემი ქვეყნები.  
ორივე ერთად.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1380. ფირმამ ბაზარზე უახლესი პროდუქციის გატანით შესაძლებელია :**

მოთხოვნები შეამციროს.  
მიწოდება გაზარდოს.  
ახალი მოთხოვნები შექმნას.  
ახალი ბარიერები შექმნას.

**1381. ჩამოთვლილთაგან, რომელია კონკურენტული ბრძოლის სტრატეგია: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ძალისმიერი.  
ფულისმიერი.  
სემენტური.  
სექტორული.

**1382. ჩამოთვლილთაგან, რომელია კონკურენტული ბრძოლის სტრატეგია: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

საბაზისო.  
შეგუებითი.  
ნოვატორული.  
სააქციო.

**1383. ძალისმიერ სტრატეგიას ახორციელებენ:**

საქონლის მცირე რაოდენობით მწარმოებელი ფირმები.  
დიდი ინვესტიციების მქონე ფირმები.  
საქონლის დიდი რაოდენობით მწარმოებელი ფირმები.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1384. ჩამოთვლილთაგან, რომელი დასახელების ძალისმიერი ფირმები არ არსებობენ?**

„ამაყი ლომები“.  
„მძლავრი სპილოები“.  
„მთვლემარე ნიანგები“.

„მოუქნელი ბეჭემოტები“.

**1385. ძალისმიერი სტრატეგიის გამოყენება მიიღწევა:**

შედარებით ძვირი საქონლის მასიური გამოშვების შედეგად.  
შედარებით იაფი და მაღალხარისხოვანი საქონლის მასობრივი გამოშვების შედეგად.  
შედარებით იაფი და დაბალხარისხოვანი საქონლის გამოშვების შედეგად.  
არც ერთი ჩამოთვლილთაგანი.

**1386. ძალისმიერი (ვიოლენტური) სტრატეგია არის ისეთი კონკურენტული სტრატეგია, როდესაც ფირმა უმთავრეს ყურადღებას:**

წარმოების ხარჯების შემცირებას უთმობს.  
დაბალი ფასების დაწესებას უთმობს.  
მაღალხარისხიანი და ძვირადღირებული პროდუქციის გამოშვებას უთმობს.  
არავის და არაფერს არ უთმობს.

**1387. სპეციალიზირებული ფირმები მომხმარებელს აწვდიან:**

ძვირადღირებულ და მაღალხარისხოვან პროდუქციას.  
იაფ და მაღალხარისხოვან პროდუქციას.  
ფართოდ გავრცელებულ პროდუქციას.  
ყველა პასუხი სწორია.

**1388. სეგმენტური სტრატეგია არის ისეთი სტრატეგია, როდესაც ფირმა უმთავრეს ყურადღებას უთმობს:**

დაბალი ხარისხის ფართოდ გავრცელებული პროდუქციის გამოშვებას.  
უმალღესი ხარისხის ვიწროდსპეციალიზირებული პროდუქციის გამოშვებას.  
ეკოლოგიური პროდუქციის გამოშვებას.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1389. სეგმენტური სტრატეგიების გამტარებელმა ვიწროსპეციალიზირებულმა ფირმებმა მიიღეს:**

„მძლავრი სპილოების“ სახელწოდება.  
„მთვლემარე ნიანგების“ სახელწოდება.  
„მოუქნელი ბეჭემოტების“ სახელწოდება.  
„ცბიერი მელიების“ სახელწოდება.

**1390. შეგუებითი (კომუნტანტური) სტრატეგია გულისხმობს:**

ლოკალური სამომხმარებლო ბაზრის ოპერატიულად დაკმაყოფილებას.  
უცხოური ბაზრის სპეციალიზირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას.  
სახელმწიფო შეზღუდვებისადმი უპირობო შეგუებას და მორჩილებას.  
ყველა პასუხი სწორია.

**1391. რა ხატოვანი სახელწოდება მიიღეს ფირმა-კომუნტანტებმა?**

„მოუქნელი ბეჭემოტების“ სახელწოდება.  
„ცბიერი მელიების“ სახელწოდება.  
„რუხი თაგვების“ სახელწოდება.  
„ხმაურიანი ბაყაყების“ სახელწოდება.

**1392. ნოვატორული (ექსპლერენტული) სტრატეგიისას:**

ფირმა რადიკალურ სიახლეზეა ორიენტირებული.  
ფირმა ფართო მასების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული.  
ფირმა მცირე წარმოებაზეა ორიენტირებული.  
ფირმა ინვესტიციების მოზიდვაზეა ორიენტირებული.

**1393. ნოვატორული სტრატეგიის მიმდევარ ფირმებს ხატოვნად უწოდებენ:**

„ამაყ ლომებს“.  
„პირველ მერცხლებს“.  
„მეუპოვარ ვეფხვებს“.  
„სულელ სირაქლეებს“.

**1394. რომელი სახეობის ფირმების წვლილი მიიჩნევა კოლოსალურად საზოგადოების ინოვაციურ განვითარებაში?**

ვიოლენტურ ფირმების.  
პატიენტურ ფირმების.  
კომპუტანტურ ფირმების.  
ექსპლერენტულ ფირმების.

**1395. ბიზნესის წარმართვის ადგილის ასარჩევად რომელი ორი უთიერთდამოკიდებული კითხვა წარმოიშობა? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

რომელ ბაზრებს უნდა მოემსახუროს ფირმები?  
რა სახეობის კომპანია უნდა იქნას არჩეული მთავარ პარტნიორად?  
ვინ უნდა დააფინანსოს პროექტები?  
სად უნდა განლაგდეს ფირმის საწარმოო სიმძლავრეები?

**1396. რა არის ბაზარი?**

სასაქონლო გარიგებების გაფორმების ადგილი.  
მომსახურების გარიგებების გაფორმების ადგილი.  
საქონლისა და მომსახურების სავაჭრო გარიგებების გაფორმების ადგილი.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1397. ბაზრის ტევადობა არის მოცემული პერიოდის მანძილზე:**

ბაზარზე განსაზღვრული საქონლის გაყიდვის პოტენციურად შესაძლო მოცულობა.  
შესაძლო მომსახურების გაყიდვის მოცულობა.  
შესაძლო ინვესტორთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.  
ბაზრიდან შესაძლო მომტანი მოგება.

**1398. ბაზრის ტევადობაზე მოქმედ ცვლადებს მიეკუთვნება:**

ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობა.  
შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.  
ინდუსტრიალიზაციის ზრდის დონე.  
ყველა ჩამოთვლილი ერთად.

**1399. ბიზნესის ადგილის შერჩევის კრიტერიუმად კომპანიების უმეტესობა:**

მისი წარმართვის სიმარტივესა და შეთავსებადობას მიიჩნევს.  
დიდ მასშტაბს მიიჩნევს.  
ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობას მიიჩნევს.  
ყველა პასუხი სწორია.

**1400. უცხო ქვეყნის არჩევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია:**

მოსახლეობის ცხოვრების დონე.  
დემოგრაფიული მდგომარეობა.  
ქვეყნის სიდიდე.  
რესურსების ხელმისაწვდომობა და ხარჯები.

**1401. რას გულისხმობს დივერსიფიკაცია?**

საქმიანობის მრავალი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სახეობების ერთდროულად განვითარებას.  
საქმიანობის მრავალი, ერთმანეთთან დაკავშირებული სახეობების ერთდროულად განვითარებას.

საქმიანობის დანაწილება-დაყოფას.  
ყველა პასუხი სწორია.

**1402. კომპანიის საქმიანობის დივერსიფიკაცია ნიშნავს:**

მრავალ ბაზარზე კომპანიის სწრაფად შეღწევას და პოზიციების განმტკიცებას.  
კონკრეტული საბაზრო ნიშის პოვნას.  
მრავალი სეგმენტიდან ერთის ამორჩევას.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1403. ფირმის საქმიანობის კონცენტრაცია ნიშნავს:**

ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ბაზარზე საქმიანობის თავმოყრას და მხოლოდ ამის შემდეგ სხვა ბაზრის დაპყრობას.  
მრავალ ბაზარზე კომპანიის სწრაფად შეღწევას და პოზიციების განმტკიცებას.  
კონკრეტული საბაზრო ნიშის პოვნას.  
მრავალი სეგმენტიდან ერთის ამორჩევას.

**1404. წარმოების კონცენტრაცია ნიშნავს:**

წარმოებისა და კაპიტალის თავმოყრას ერთ ადგილას ან ერთი სუბიექტის ხელში.  
წარმოებისა და კაპიტალის თავმოყრას რამდენიმე სუბიექტის ხელში.  
წარმოებისა და კაპიტალის თავმოყრას სახელმწიფოს ხელში.  
ყველა პასუხი მცდარია.

**1405. პროდუქციის „ბიძგის“ სტრატეგია გამოიყენება, როცა წარმოებული პროდუქცია:**

მყიდველებს გადაეცემათ.  
დისტრიბუტორებს გადაეცემათ.  
საბითუმო და საცალო მოვაჭრეებს გადაეცემათ.  
ფინანსურ პოლიციას გადაეცემა.

**1406. პროდუქციის „ქაჩვის“ სტრატეგია გამოიყენება, როცა წარმოებული პროდუქცია:**

დისტრიბუტორებს გადაეცემათ.  
საბითუმო და საცალო მოვაჭრეებს გადაეცემათ.  
უშუალოდ მომხმარებლებს გადაეცემათ.  
ლტოლვილებს გადაეცემათ.

**1407. რა არის რეკლამა? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ფირმის მიერ მომხმარებლების ინფორმირება პროდუქციის ხარისხის შესახებ.  
ფირმის მიერ მომხმარებლების ინფორმირება ფასების შესახებ.  
ფირმის მიერ მომხმარებლების ინფორმირება პროდუქციის ღირსებებისა და უპირატესობების შესახებ.  
ფირმის მიერ მომხმარებლების ინფორმირება პროდუქციის თვითღირებულების შესახებ.

**1408. რა უპირატესობა აქვს რეკლამის სტანდარტიზაციას? (ერთ ან ორი პასუხია სწორი)**

რეკლამის ხარჯები მცირდება და ხარისხი მაღლდება.  
ბაზარზე პროდუქციის გატანა ჩქარდება.  
მომხმარებელი უფრო კმაყოფილია.  
დისტრიბუცია უფრო ხელმისაწვდომია.

**1409. რეკლამის სრული სტანდარტიზაცია რიგ პრობლემებს წარმოშობს : (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

თარგმნის პრობლემა.  
გადაზიდვების პრობლემა.  
კანონმდებლობასთან შესაბამისობის პრობლემა.  
დემოგრაფიული პრობლემა.

**1410. რეკლამის დადებით მხარეს მიეკუთვნება: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ასტიმულირებს მოდერნიზებული პროდუქციის შექმნას.  
აღადგენს მოსახლეობის სოციალურ თანასწორობას.  
ქმნის სამუშაო ადგილებს.  
უზრუნველყოფს მომხმარებლის არჩევანის შესაძლებლობას.

## თემა 17. ეთნოკულტურული ღირებულებები

**1411. რას ეწოდება ეთნოსი?**

კომპაქტურად დასახლებულ ადამიანთა ერთობას.  
სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა ერთობას.  
ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჯგუფს, შეკავშირებულს ტერიტორიის, ენისა და კულტურის ერთობის საფუძველზე.  
სხვადასხვა რასის წარმომადგენლობათა ერთობას.

**1412. როგორი წარმომავლობა აქვს კაცობრიობას?**

საერთო წარმომავლობა.  
კულტურული წარმომავლობა.  
სოციალურ-ტექნიკური წარმომავლობა.  
გეოგრაფიულ-ისტორიული წარმომავლობა.

**1413. რა არის ერი, ნაცია?**

ადამიანთა დასახლებული ერთობა.  
ეთნოსის განვითარების უმაღლესი ეტაპი.  
დიასპორების ანკლავი.  
ადამიანთა კორპორაციული ერთობა.

**1414. რის საფუძველზე ყალიბდებს ერი, ნაცია?**

ისტორიულ-კულტურული ერთობის საფუძველზე.  
რელიგიური მრწამსისა და კულტურის საფუძველზე.  
ტერიტორიის, ეკონომიკური კავშირების, ენის, კულტურისა და ეროვნული ფსიქიკის საფუძველზე.  
გეოგრაფიულ-კულტურული ერთობის საფუძველზე.

**1415. რა ეწოდება ეთნოსის უმაღლეს ეტაპს?**

ერი, ნაცია.  
კულტურული ანკლავი.  
კლასტერული ერთობა.  
რასების ჯგუფი.

**1416. როგორია თანამედროვე საზოგადოება? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ერთიანი.  
გლობალური.  
კონტინენტური.  
კონტინენტთაშორისო.

**1417. ადრეულ პერიოდებში ცალკეული ერები და რასები როგორ ცხოვრობდნენ?**

განცალკევებულად.  
კონფლიქტურად.  
გლობალურად.

კონტინენტურად.

**1418. რა განაპირობებდა ცალკეული ერებისა და რასების განცალკევებულად ცხოვრებას? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ბუნებრივ-კლიმატური პირობები.  
გარესამყაროსგან შეგნებულად იზოლირება.  
სარჩოს მოპოვებისა და განაწილების შიში.  
სოციალურ-კულტურული ფაქტორები.

**1419. ძირითადად რას გულისხმობს ადამიანთა თანაცხოვრება?**

ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობას.  
სოციალურ ურთიერთობას.  
ბუნებრივ-კლიმატურ ურთიერთობას.  
ტექნიკურ თანამშრომლობას.

**1420. რომელი ფაქტორები განაპირობებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ხალხთა განსხვავებულობას? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

მსოფლმხედველობა, თვალსაწიერი.  
კულტურა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები.  
სოციალური მდგომარეობა.  
განათლებისა და ინტელექტის დონე.

**1421. რომელი დიდი განმანათლებლის ნაშრომია „ადამიანის შესახებ“, რომელშიც გაშუქებულია პიროვნების მსოფლმხედველობითი პრობლემები და ეროვნული ხასიათი?**

შარლ ლუი მონტესკიეს.  
დენი დიდროს.  
კლოდ ადრიან ჰელვეციუსის.  
ჟან ჟაკ რუსოს.

**1422. რომელი დიდი განმანათლებელი განიხილავდა ადამიანთა საზოგადოებას თავისი კანონზომიერებებით დამახასიათებელ ორგანიზმს?**

კლოდ ადრიან ჰელვეციუსი.  
შარლ ლუი მონტესკიე.  
ჰეროდოტე.  
პლატონი.

**1423. რომელი დიდი განმანათლებელი ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას გეოგრაფიულ, განსაკუთრებით კლიმატურ ფაქტორს და მიუთითებდა, რომ ცხელი კლიმატი იწვევს სიზარმაცეს, ახშობს მოქალაქეობრივ სიმამაცეს და არის დეპრესიის მიზეზი?**

ჟან ჟაკ რუსო.  
ფრანსუა მარი არუე ვოლტერი.  
შარლ ლუი მონტესკიე.  
დენი დიდრო.

**1424. ვისი ნაშრომია „ეროვნული ხასიათის შესახებ“?**

დევიდ ჰიუმის.  
გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის.  
ონორე დე ბალზაკის.  
ზიგმუნდ ფროიდის.

**1425. რომელი ფაქტორი მიიჩნია დევიდ ჰიუმმა ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელ წყაროდ?**

სოციალური ფაქტორი.  
ეკონომიკური ფაქტორი.  
ტექნიკური ფაქტორი.  
გლობალური ფაქტორი.

**1426. რომელმა დიდმა მოაზროვნემ აღიარა ეროვნული ფაქტორი სოციალურ მოვლენად?**

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა.  
იმანუელ კანტმა.  
გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა.  
რენე დეკარტმა.

**1427. რომელმა დიდმა მოაზროვნემ გამოიკვლია ევროპელ ხალხთა თვისებები და აღნიშნა მათი როგორც მსგავსება, ისე განსხვავება?**

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა.  
კარლ მარქსმა.  
რენე დეკარტმა.  
კლოდ ადრიან ჰელვეციუსმა.

**1428. ვინ ითვლება „ეროვნული ფსიქოლოგიის“ თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებლად?**

გუსტავ ლებონი.  
მორის ლაცარუსი.  
გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი.  
ზიგმუნდ ფროიდი.

**1429. რომელმა გერმანელმა მოაზროვნებმა განსაზღვრეს „ხალხის სული“ ისტორიის მთავარ ძალად?**

ჰეგელმა და შტაინთალმა.  
კანტმა და ჰელვეციუსმა.  
მარქსმა და ენგელსმა.  
ჰუმბოლტმა და ფროიდმა.

**1430. ვის ეკუთვნის „ხალხთა ფსიქოლოგიის“ განსაკუთრებულ მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბების იდეა?**

ვილჰელმ ვუნდტს.  
გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს.  
იმანუელ კანტს.  
გუსტავ ლებონს.

**1431. მეცნიერულად რომელმა დაასაბუთა ურთულესი ფსიქიკური პროცესების კულტურულ-ისტორიული მეთოდებით შესწავლის აუცილებლობა?**

ონორე დე ბალზაკმა.  
ჟან ჟაკ რუსომ.  
ვილჰელმ ვუნდტმა.  
გუსტავ ფლობერმა.

**1432. რომელი მეცნიერი უწოდებდა ხალხთა ფსიქოლოგიას „ხალხთა სულის“ მეცნიერებას და მას ძნელად შესაცნობ იდუმალ სუბსტანციად მიიჩნევდა?**

ვილჰელმ ვუნდტი.  
მორის ლაცარუსი.  
გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი.  
გუსტავ ლებონი.

**1433. ვინ ითვლება სოციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლად?**



გუსტავ ლებონი.  
ზიგმუნდ ფროიდი.  
ლუსიენ ლევი ბრიული.  
კლოდ ლევი სტროსი.

**1434. რომელი მეცნიერის აზრით აქვს ყოველ რასას საკუთარი ფსიქოლოგიური მენტალიტეტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება?**

ჯონ უოტსონის.  
გუსტავ ლებონის.  
მორის ლაცარუსის.  
ზიგმუნდ ფროიდის.

**1435. რომელი მეცნიერი ითვლება ფსიქანალიზის ფუძემდებლად?**

ზიგმუნდ ფროიდი.  
გუსტავ ლებონი.  
დევიდ ჰიუმი.  
იმანუელ კანტი.

**1436. რომელმა მეცნიერმა მიიჩნია ადამიანის ქცევის მამოძრავებელ ძალად ბიოლოგიური ინსტინქტები, არაცნობიერი სწრაფვა?**

ზიგმუნდ ფროიდმა.  
გუსტავ ლებონმა.  
მორის ლაცარუსმა.  
დევიდ ჰიუმმა.

**1437. რომელმა მეცნიერმა უარყო ცნობიერება, როგორც მეცნიერების საგანი და ფსიქოლოგიის ობიექტად გარეგნულად გამოჩენილი ქცევა მიიჩნია?**

ჯონ უოტსონმა.  
ზიგმუნდ ფროიდმა.  
ლუსიენ ლევი ბრიულმა.  
გუსტავ ლებონმა.

**1438. ვინ ითვლება ბიჰევიორიზმის ფუძემდებლად?**

ამერიკელი ფსიქოლოგი ჯონ უოტსონი.  
ავსტრიელი ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფროიდი.  
გერმანელი ფსიქოლოგი ალბერტ შტაინმაიერი.  
ფრანგი ფსიქოლოგი გუსტავ ვებერი.

**1439. რომელი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური (ეთნიკური) არქეტიპი (რისამე პირველსახე, საწყისი) ადამიანს წინა თაობებიდან მემკვიდრეობით გადმოეცემა?**

ლუსიენ ლევი ბრიუსი.  
ზიგმუნდ ფროიდი.  
ვილჰელმ ვუნდტი.  
გუსტავ ლებონი.

**1440. რომელმა მეცნიერმა გაავრცელა პირველად ცნება „ფსიქოლოგიური ცვლილება“, „ფსიქოლოგიური დინამიკა“, რომელსაც აკულტურაციის შედეგად მიიჩნევდა?**

ფრანც ბოიასმა.  
ედუარდ ჰოლმა.  
გირტ ჰოფსტედემ.  
ზიგმუნდ ფროიდმა.

- 1441. რა წვლილი შეიტანა ამერიკელმა ეთნოგრაფმა ფრანც ბოიასმა ეთნოგრაფიულ მეთოდოლოგიაში?**  
 პირველად გაავრცელა ტერმინი „ფსიქოლოგიური ცვლილება“, ფსიქოლოგიური დინამიკა“. პირველად გაავრცელა ტერმინი „ფსიქოლოგიური სტრესი“. პირველად გაავრცელა ტერმინი „ფსიქოლოგიური აშლილობა“. პირველად გაავრცელა ტერმინი „ფსიქოლოგიური წონასწორობა“.
- 1442. რაში მდგომარეობს ამერიკელი მეცნიერის ედუარდ ჰოლის კონცეპტუალური მიდგომა კულტურულ განსხვავებათა აღწერაში? მისი აზრით:**  
 ქვეყნის კულტურული თავისებურებების იდენტიფიკაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კონტექსტს, რომელშიც ესა თუ ის მოვლენა ხდება. ქვეყნის კულტურული თავისებურებების იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ადამიანების ფსიქიკური განწყობა. ქვეყნის კულტურული თავისებურებების იდენტიფიკაციისთვის გადამწყვეტია ხალხთა სოციალური პირობები. ქვეყნის კულტურული თავისებურებების იდენტიფიკაციისთვის საყურადღებოა პოლიტიკური ფაქტორები.
- 1443. ადამიანთა შორის კულტურული განსხვავების რამდენი განზომილება დაადგინეს ჰოლანდიელმა მეცნიერებმა გირტ ჰოფსტედემ და გერტ იან ჰოფსტედემ?**  
 სამი განზომილება.  
 ოთხი განზომილება.  
 ხუთი განზომილება.  
 ექვსი განზომილება.
- 1444. რომელმა მეცნიერებმა მიიჩნიეს, რომ ქვეყნებს შორის კულტურული განსხვავება საქმიან ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს და ბიზნესის წარმართვისას მათი გაუთვალისწინებლობა, ხშირად, უარყოფით შედეგებს იწვევს?**  
 ედუარდ ჰოლმა და ზიგმუნდ ფროიდმა.  
 გირტ ჰოფსტედემ და გერტ იან ჰოფსტედემ.  
 ფრანც ბოიასმა და ლევი სტროსმა.  
 გუსტავ ლებონმა და ჯონ უოტსონმა.
- 1445. რა საერთო თვალსაწიერი (მსოფლმხედველობა) აქვთ ამერიკელებსა და ფრანგებს?**  
 სამართლიანობა, მოგებისადმი სწრაფვა, მეცნიერება, თავისუფლება, თანასწორობა. არაფორმალური ურთიერთობა, სტატუსი ბანკში არსებული ფულით. შთაგონებით მოქმედება, რისკისადმი ფრთხილი დამოკიდებულება. ფორმალური ურთიერთობა, ინტელექტისადმი პატივისცემა.
- 1446. კულტურას, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში არსებულ წესებს ადგენს, ახასიათებს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 ქვეყნის განსაზღვრული სტილი.  
 ერთმანეთის მიმართ განსხვავებულობა.  
 კულტურის ელემენტების ურთიერთკავშირი.  
 ურთიერთკომპეტენტურობა.
- 1447. კულტურას, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში არსებულ წესებს ადგენს, ახასიათებს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 კულტურის ადაპტიურობა.  
 ერთმანეთის მიმართ ზეგავლენა..  
 კულტურის ელემენტების ურთიერთკავშირი.  
 ურთიერთგანპირობებულობა.
- 1448. კულტურას, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში არსებულ წესებს ადგენს, ახასიათებს?**

**(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ქვეყნის განსაზღვრული სტილი.

ხალხთა შორის ლოიალური დამოკიდებულება.

საზოგადოების ყველა წევრის მიერ ამ საზოგადოების კულტურული ფასეულობების შეცნობა-გათავისება.

ხალხთა შორის სოციალური დამოკიდებულება.

**1449. რას უჭერს მხარს ამერიკული კულტურა?**

ინდივიდუალიზმს.

კოლექტივიზმს.

პიროვნულ ურთიერთობას.

კლანურ ურთიერთობას.

**1450. რაზეა ორიენტირებული ამერიკული ურთიერთობა?**

ადამიანთა ფინანსურ შესაძლებლობებზე.

ადამიანის თვითშეფასების ამაღლებაზე და მასში ინდივიდუალურ-პოტენციურ შესაძლებლობებზე.

საკვანძო თანამდებობებზე.

ოჯახურ-ნათესაურ კავშირებზე.

**1451. არაბების საკუთრებაში არსებულ კომპანიებში რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა?**

თანამშრომელთა ფინანსებს.

ოჯახურ კავშირებს.

თანამშრომელთა კომპეტენტურობას.

თანამშრომელთა ქცევას.

**1452. რა აზრია ჩანერგილი ამერიკელის ცნობიერებაში?**

მისი ბედი ღვთაებრივ ძალაზეა დამოკიდებული.

მისი ბედი მხოლოდ მის ხელშია.

მისი ბედი სახელმწიფოს ხელშეწყობაზეა დამოკიდებული.

მისი ბედი გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

**1453. რომელ საზოგადოებაში ზრდიან ადამიანს ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით?**

ჩინურ საზოგადოებაში.

იაპონურ საზოგადოებაში.

ფრანგულ საზოგადოებაში.

ამერიკულ საზოგადოებაში.

**1454. პერსონალით დაკომპლექტებისას რომელ ღირებულებებს (თვისებებს) აქვს იაპონურ კომპანიებში**

**გადამწყვეტი მნიშვნელობა?**

ერთიანობას, ლოიალურობასა და თანხმობას.

კრეატიული აზროვნების უნარსა და შესაძლებლობებს.

კომპენტენტურობებსა და ფინანსებს.

შემწყნარებლობას, კონფრონტაციისა და კონსენსუსის მიღწევას.

**1455. იაპონიაში ბიზნესის წარმართვაზე კულტურის რომელი ელემენტები ასრულებს განსაკუთრებულ როლს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ეტიკეტის წესების გაცნობიერება.

საზოგადოების იერარქიული სტრუქტურა.

სოციალური თანხმობა.

რელიგიური მრწამსისადმი დამოკიდებულება.

**1456. იაპონიაში ბიზნესის წარმართვაზე კულტურის რომელი ელემენტები ასრულებს**

**განსაკუთრებულ როლს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ვალდებულება.

ფინანსური მდგომარეობა.

სოციალური თანხმობა.

ვერბალურ ურთიერთობა.

**1457. როცა იაპონელი ბიზნესმენები ერთმანეთს პირველად ხვდებიან სავიზიტო ბარათებს რატომ გადასცემენ? ამით ისინი: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ერთმანეთის სტატუსს ადგენენ.

კონსენსუსის მიღწევას ცდილობენ.

ურთიერთობის გამოყენების ფორმებს განსაზღვრავენ.

უბრალოდ ერთმანეთს ეცნობიან.

**1458. რას ვალდებულებას კისრულობს იაპონურ საზოგადოებაში ჯგუფის წევრი?**

ხელი შეუწყოს კონსენსუსის მიღწევას.

ხელი შეუწყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას.

ხელი შეუწყოს თავისი უპირატესობის წარმოჩენას.

ხელი შეუწყოს ხელმძღვანელთან ურთიერთობის მოწესრიგებას.

**1459. რა ვალდებულება აკისრია იაპონურ კომპანიას ახალბედა მუშაკის სამუშაოზე მიღებისას?**

მუშაკის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

მუშაკის პირად ჰიგიენაზე ზრუნვა.

მუშაკის პირადი თვისებების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

მუშაკის პიროვნულ ღირსებებზე ზრუნვა.

**1460. რა ვალდებულება აკისრია იაპონურ კომპანიაში ახალბედა მუშაკს სამუშაოზე მიღებისას?**

სამუშაოს ერთობლივად შესრულება.

სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულება.

სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულება.

სამუშაოს ერთპიროვნულად შესრულება.

**1461. რომელ კულტურაში (ქვეყანაში) მოქმედებს მუშაკის სამუდამო დაქირავების სისტემა?**

ჩინურ კულტურაში.

კორეულ კულტურაში.

იაპონურ კულტურაში.

ამერიკულ კულტურაში.

**1462. როგორი ენაა ფრანგული? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ცოცხალი, ზუსტი.

მოქნილი და ლოგიკური.

სერიოზული და მძიმე.

სარკაზმებით დატვირთული.

**1463. როგორი ენაა გერმანული?**

სერიოზული და მძიმე.

ფაქტებზე ორიენტირებული.

ორაზროვნანი.

ბასრი.

**1464. რომელი ენაა კომუნიკაციის და არა აზრის გამოხატვის საშუალება?**

ამერიკული.

იაპონური.

ფრანგული.  
იტალიური.

**1465. რომელი კულტურები იყენებენ სიტყვათა დიდ რაოდენობასა და არავერბალურ საშუალებებს?**

გერმანელები და იტალიელები.  
ფრანგები და იტალიელები.  
ესპანელები და იტალიელები.  
პორტუგალიელები და ბელგიელები.

**1466. როგორ იყენებენ ფრანგები თავიანთ ენას? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ვირტუოზულად.  
ენტუზიაზმით.  
აღმაფრენით.  
მოქნილად.

**1467. რომელია მსოფლიო რელიგიები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ქრისტიანობა.  
ინდუიზმი.  
ისლამი.  
კონფუციანელობა.

**1468. რომელ რელიგია ქადაგებს კასტურ სისტემას?**

ბუდიზმი.  
სინტოიზმი.  
ინდუიზმი.  
ისლამი.

**1469. რას კრძალავს ისლამი ? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ალკოჰოლიანი სასმელების მიღებას.  
მონოგამიურ ოჯახს.  
რამადანის პერიოდში სიმღერას.  
უქერცლო თევზის ჭამას.

**1470. რას ზღუდავს ისლამი რამადანის პერიოდში? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სიმღერას.  
ლოცვას.  
საკვების მიღებას.  
სასმელის მიღებას.

**1471. რამდენ კასტად იყოფა ინდური საზოგადოება?**

სამ კასტად.  
ოთხ კასტად.  
ხუთ კასტად.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**1472. რომელი თვისებები ახასიათებთ ამერიკელებს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დროის ფასი.  
მჭევრმეტყველება.  
პრაქტიკულობა.  
უსათუოდ ხელის ჩამორთმევა.

**1473. რომელი თვისებები ახასიათებთ ამერიკელებს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დინამიურობა.  
იმედგაცრეუბა.  
პომპეზურობა.  
ენეგიულობა.

**1474. რომელი თვისებები ახასიათებთ ამერიკელებს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ოპტიმიზმი.  
მოლაპარაკების მკვახედ წარმართვა.  
გადაწყვეტილების ფრთხილად მიღება.  
შრომისმოყვარეობა.

**1475. რომელი თვისებები ახასიათებთ ამერიკელებს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დამოუკიდებლობა.  
ოფიციალურობა.  
კონსერვატულობა.  
მიზანდასახულობა.

**1476. რას სცემენ ამერიკელები დიდ პატივს?**

ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.  
ფინანსურ შესაძლებლობებს.  
კულტურულ შესაძლებლობებს.  
ტექნიკურ შესაძლებლობებს.

**1477. რომელ ქვეყანაში მიიღეს პირველად კონსტიტუცია?**

აშშ-ში.  
დიდ ბრიტანეთში.  
საფრანგეთში.  
იტალიაში.

**1478. ვინ არის აშშ-ის კონსტიტუციის ავტორი?**

აშშ-ის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი.  
აშშ-ის მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი.  
აშშ-ის მეორე პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი.  
აშშ-ის მეოთხე პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი.

**1479. ვინ არის აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი?**

აშშ-ის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი.  
აშშ-ის მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი.  
აშშ-ის მეორე პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი.  
აშშ-ის მეოთხე პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი.

**1480. რომელი თარიღია აშშ-ის ეროვნული დღესასწაული?**

4 ივნისი.  
4 ივლისი.  
4 აგვისტო.  
4 სექტემბერი.

**1481. ამერიკელებისთვის როგორი სფეროა ბიზნესი?**

გახსნილი, გამჭვირვალე.  
კონფრონტაციული.  
ფამილარული.  
დესტრუქციული.

- 1482. გერმანელებისთვის რომელი თვისებებია მთავარი? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 შრომისმოყვარეობა.  
 მედიდურობა.  
 რაციონალურობა.  
 სისხარტე.
- 1483. გერმანელებისთვის რომელი თვისებებია მთავარი? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 სისტემატურობა.  
 ჰუმანურობა.  
 კონკრეტულობა.  
 ქველმოქმედება.
- 1484. გერმანელებისთვის რომელი თვისებებია მთავარი? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 თანამიმდევრობა.  
 პომპეზურობა.  
 ანგარიშიანობა.  
 ზედაპირულობა.
- 1485. როგორ წარმართავენ მოლაპარაკებას გერმანელები?**  
 საკმაოდ მკვახედ.  
 აღმაფრენით.  
 სარკაზმების გამოყენებით.  
 იუმორის მოშველიებით.
- 1486. მოლაპარაკების წარმართვისას რას ანიჭებენ უპირატესობას გერმანელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 როცა განსახილველი საკითხების სასურველ პერსპექტივას ნათლად ხედავენ.  
 როცა განსახილველ საკითხებს თანამიმდევრობის დაცვით განიხილავენ.  
 როცა განსახილველ საკითხებს იმპროვიზაციულად წარმოადგენენ.  
 როცა განსახილველ საკითხებს ოპერატიულად წყვეტენ.
- 1487. მოლაპარაკების დროს როგორ იღებენ გადაწყვეტილებას გერმანელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
 ფრთხილად.  
 ინდივიდუალურად.  
 ერთობლივად.  
 ალტერნატივების გარეშე.
- 1488. რა ეწოდებოდა აღორძინების ხანის პირველ ეტაპს?**  
 ტრეჩენტო.  
 კვატროჩენტო.  
 ჩინკვეჩენტო.  
 მეტროჩენტო.
- 1489. რა ეწოდებოდა აღორძინების ხანის მეორე ეტაპს?**  
 ტრეჩენტო.  
 კვატროჩენტო.  
 ჩინკვეჩენტო.  
 მეტროჩენტო.
- 1490. რა ეწოდებოდა აღორძინების ხანის მესამე ეტაპს?**  
 ტრეჩენტო.

კვატროცენტო.  
ჩინკვეცენტო.  
მეტროცენტო.

- 1491. რა დამსახურება მიუძღვით იტალიელებს კაცობრიობის წინაშე? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
იურისპრუდენციის განვითარება.  
მხატვრული ნაწარმოებების შედევრების შექმნა.  
სახელმწიფო მოწყობის მოდელის ჩამოყალიბება.  
ახალი რელიგიის შექმნა.
- 1492. რა დამსახურება მიუძღვით იტალიელებს კაცობრიობის წინაშე? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივად აღიარება.  
ახალი ტენოლოგიების განვითარება.  
ფილოსოფიის, როგორც აზროვნების უმაღლესი ინსტანციის დამკვიდრება.  
იურისპრუდენციის განვითარება.
- 1493. რა თვისებებს ამჟავნებენ იტალიელები მოლაპარაკების წარმართვისას?**  
მოქნილობა.  
თანამიმდევრულობა.  
მეთოდურად.  
გეგმაზომიერად.
- 1494. როგორ იღებენ იტალიელები მმართველობით გადაწყვეტილებებს?**  
ღიად.  
კანონის გამოყენებით.  
ფარულად, დახურულად.  
საკომუნიკაციო არხების გამოყენებით.
- 1495. რომელი ფაქტორები მძლავრობს იტალიელებთან ურთიერთობაში?**  
პირადი კონტაქტები.  
ფინანსური რესურსები.  
ქცევის კულტურა.  
ინფორმაციის ფლობა.
- 1496. ზოგადად, რა თვისებებს ამჟავნებენ იტალიელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
ნაკლებად ორგანიზებულია.  
თანამიმდევრულობა.  
არაპუნქტუალურობა.  
მიზანმიმართულობა.
- 1497. რამ განაპირობა ძველი ბერძნული ცივილიზაციის სწრაფი განვითარება?**  
შეჯიბრების ანუ აგონისტულმა სულმა.  
სამყაროს შეცნობის სურვილმა.  
მატერიალურმა დაინტერესებამ.  
შინაგანმა მზაობამ.
- 1498. რომელია მართებული ფორმულირება? ძველ ბერძენ მოაზროვნეთა შორის გამორჩეულია:**  
სოკრატე, პლატონი, არისტოტელე.  
პლატონი, აგრელიუსი, სოკრატე.  
იულიუს კეისარი, არისტოტელე, კლეოპატრა.  
ლაო-ძი, დეკარტი, ლუი XIV.



1499. ვინ იყო ანტიკური ეპოქის უდიდესი მოაზროვნე, „ელადის მასწავლებელი“ და განმანათლებელი?  
სოკრატე.  
ჰომეროსი.  
არისტოტელე.  
პლატონი.
1500. რომელია ევროპაში შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები?  
(ერთი ან ორი პასუხია სწორი)  
„ილიადა“.  
„ათენის ისტორია“.  
„ოდისეა“.  
„ღვთაებრივი ზევსის ქადაგებები“.
1501. რა თვისებებს ამჟავნებენ ბერძნები საქმიან შეხვედრებზე? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)  
დადგენილ დღის წესრიგს იშვიათად იცავენ.  
კომპრომისებს ემხრობიან.  
ყურადღებას წარსულზე ამახვილებენ.  
უყვართ მფლანგველობა.
1502. რა თვისებებს ამჟავნებენ ბერძნები საქმიან შეხვედრებზე? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)  
უყვართ ვაჭრობა.  
გადაწყვეტილების პირობებს კარგად იცავენ.  
სადავო საკითხებს გუნდურად წყვეტენ.  
ყურადღებას მომავალზე ამახვილებენ.
1503. რა თვისებებს ამჟავნებენ ბერძნები საქმიან შეხვედრებზე? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)  
უპირატესობას პირად კავშირებს ანიჭებენ.  
უპირატესობას კომპეტენციას ანიჭებენ.  
წერილობით ურთიერთობას უნდობლობით ეკიდებიან.  
მოლაპარაკებას მეთოდურად წარმართავენ.
1504. რა არ არის რეკომენდებული ბერძნებთან საქმიანი ურთიერთობების დროს?  
(ერთი ან ორი პასუხია სწორი)  
ფინანსური რისკების გაწევა.  
მაღალფარდოვანი საუბარი.  
შუამავლების გარეშე საქმიანი კონტაქტები.  
პირადი ღირსებების ხაზგასმა.
1505. რა არ არის რეკომენდებული ბერძნებთან საქმიანი ურთიერთობების დროს?  
(ერთი ან ორი პასუხია სწორი)  
მიღებული ნორმების ზუსტად დაცვა.  
თავიდანვე კომპრომისის სურვილის ხაზგასმა.  
პარტნიორთან შორი დისტანციიდან საუბარი.  
ოფიციალური მასალების დემონსტრირება.
1506. რომელი იყო დიდი ფრანგი ჰუმანისტ-განმანათლებელი? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)  
ფრანსუა ვოლტერი.  
ონორე დე ბალზაკი.  
შარლ ლუი მონტესკიე.  
ვიქტორ ჰიუგო.
1507. რომელი იყო დიდი ფრანგი ჰუმანისტ-განმანათლებელი? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)

ჟან ჟაკ რუსო.  
ალექსანდრე დიუმა (მამა)  
შარლ ლუი მონტესკიე.  
ნაპოლეონ ბონაპარტი.

**1508. ვის ეკუთვნის მოძღვრება უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების სამ ნაწილად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) დაყოფის შესახებ?**

ჟან ჟაკ რუსოს.  
ნაპოლეონ ბონაპარტს.  
შარლ ლუი მონტესკიეს.  
ვიქტორ ჰიუგოს.

**1509. ვის ითვლება სახალხო სუვერენიტეტის ანუ სახალხო ხელისუფლების უზენაესობის თეორიის ფუძემდებლად?**

ჟან ჟაკ რუსო.  
ალექსანდრე დიუმა (მამა)  
ონორე დე ბალზაკი.  
ევარისტ გალუა.

**1510. რა თვისებებს იყენებენ ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

მჭევრმეტყველება.  
კომპრომისის ხელოვნების ფლობა.  
გრამატიკულად გამართული საუბარი.  
უცხოური ენების ხშირად გამოყენება.

**1511. ფრანგულ კომპანიებში დაწინაურება რაზეა დამოკიდებული? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

განათლებაზე.  
ფინანსურ შესაძლებლობებზე.  
კომპეტენტურობაზე.  
მუშაკის მჭევრმეტყველებაზე.

**1512. როგორ იქცევია მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

შეხვედრაზე კარგად ჩაცმულები მიდიან და ამით მას ოფიციალურ ხასიათს აძლევენ.  
შეხვედრაზე კონკრეტულ პასუხს გაურბიან.  
მოლაპარაკებზე პარტნიორებს ოფიციალურად, თუმცა თავაზიანად მიმართავენ და მაგიდასთან სტატუსის შესაბამისად სხდებიან.  
გადაწყვეტილებას გვიან იღებენ

**1513. როგორ იქცევია მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

არგუმენტაციისას ლოგიკას იშველიებენ და შეხვედრის დროს ხელოვნურად ადიდებენ.  
პარტნიორის შესაძლებლობებს ამოწმებენ.  
მოთხოვნებს მოლაპარაკების დასაწყისში არ აყენებენ.  
პარტნიორის მოთხოვნებს იგნორირებას უკეთებენ

**1514. როგორ იქცევია მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ადრე ნაცნობობას საქმეში საეჭვოდ თვლიან.  
მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ცდილობენ.  
პარტნიორების მიზნების გაგებას თავიდანვე ცდილობენ.  
ფინანსურ რისკებზე ადვილად მიდიან.

**1515. როგორ იქცევია მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სწრაფი აზროვნების გამო ამაყოფენ, თუმცა არ უყვართ, როცა სხვები აჩარებენ.  
მოლაპარაკებისას იმპროვიზაციას მიმართავენ.

მოლაპარაკებას სწრაფ პროცედურად არ მიიჩნევენ.  
გადაწყვეტილებას ღიად იღებენ.

**1516. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
უპირატესობას აკადემიურ განათლებას ანიჭებენ.  
ფინანსურ რისკებს ადვილად მიმართავენ.  
მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იშვიათად იღებენ.  
საკითხს ოპერატიულად იხილავენ.

**1517. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
საკითხის განხილვას აჭიანურებენ და ამით პარტნიორთა ინტელექტის გაგებას ცდილობენ.  
პუნქტუალურობას მკაცრად იცავენ.  
საქმიან შეხვედრებზე მოქნილ მანერებს იყენებენ.  
კომპრომისზე ხშირად მიდიან.

**1518. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
კომპრომისზე იშვიათად მიდიან.  
თავიანთ ინტელექტუალურ უპირატესობას არ ამჟღავნებენ.  
რთულ სიტუაციაში მოუდრეკელნი არიან.  
ფინანსურ რისკებს ადვილად მიმართავენ.

**1519. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
საუბარსა და დოკუმენტებში სიზუსტეს იცავენ.  
სხვა ხალხთა ღირსებებს დიდად წარმოაჩენენ.  
თავიანთ ინტელექტუალურ უპირატესობას ხაზს უსვამენ.  
გუნდში კარგად მუშაობენ.

**1520. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
ურთიერთობის სტილი ექსტრავერტული, ემოციური აქვთ.  
სარეზერვო პოზიციას ყოველთვის იტოვებენ.  
მოლაპარაკებაზე კარგად ინფორმირებულები მიდიან.  
გადაწყვეტილებას ღიად იღებენ.

**1521. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
უცხოურ ენებს იშვიათად ფლობენ.  
კომპრომისზე ხშირად მიდიან.  
სხვა ხალხთა ღირსებებს ნაკლებად ამჩნევენ.  
პუნქტუალურობას მკაცრად იცავენ.

**1522. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
ინდივიდუალისტები არიან, გუნდში ცუდად მუშაობენ.  
საკითხს ოპერატიულად იხილავენ.  
უყვართ ცინიზმი და მომჭირნეობა.  
მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ცდილობენ.

**1523. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
შემოსულ წინადადებათა ყველა ასპექტსა და მოსალოდნელ შედეგს დეტალურად სწავლობენ.  
გუნდში კარგად მუშაობენ.  
საქმიან მოლაპარაკებას ნელ ტემპში წარმართავენ და ფინანსურ რისკებს გაურბიან.  
კომპრომისზე ხშირად მიდიან.

**1524. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**  
საკმაოდ მკაცრად და სარეზერვო პოზიციას არ იტოვებენ.

ფინანსურ რისკებს მიმართავენ.  
არ უყვართ ვაჭრობა.  
მიმდინარეობის პროცესში ხშირად შეაქვთ ცვლილებები.

**1525. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

მიმდინარეობის პროცესში არ უყვართ ცვლილებები.  
პუნქტუალურობას მკაცრად იცავენ.  
ხშირად პარტნიორს საუბარს აწყვეტინებენ, კრიტიკულ შენიშვნებსა და კონტრარგუმენტებს გამოთქვამენ.  
კომპრომისზე ხშირად მიდიან.

**1526. როგორ იქცევიათ მოლაპარაკებასას ფრანგი მენეჯერები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არაოფიციალურ ატმოსფეროში იღებენ.  
თავიანთ ინტელექტუალურ უპირატესობას არ ამჟღავნებენ.  
არ ახასიათებთ პუნქტუალურობა.  
სარეზერვო პოზიციას ყოველთვის იტოვებენ.

**1527. რა ფასდება ფრანგ მენეჯერებთან ურთიერთობებისას? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ცოდნა კულტურის სფეროში.  
კონსერვატული ქცევა.  
ცოდნა ხელოვნების სფეროში.  
ფუტურისტული შეხედულებები.

**1528. რას უნდა მოვერიდოთ ფრანგებთან ურთიერთობის დროს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

რელიგიასა და პირად პრობლემებზე საუბარს.  
კლიმატზე საუბარს.  
შემოსავლებსა და ხარჯებზე საუბარს.  
აღმოსავლეთის კულტურებზე საუბარს.

**1529. რას უნდა მოვერიდოთ ფრანგებთან ურთიერთობის დროს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ავადმყოფობაზე საუბარს.  
იმპროვიზაციაზე საუბარს.  
პოლიტიკურ შეხედულებებზე საუბარს.  
კულტურაზე საუბარს.

**1530. როგორ თვისებებს ამჟავნებენ ინგლისელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ახასიათებთ მინიშნებითი საუბარი.  
ახასიათებთ მბრძანებლური ტონით საუბარი.  
ახასიათებთ საქმიან საკითხზე წერილობითი ურთიერთობა.  
ახასიათებთ არაპუნქტუალურობა.

**1531. როგორ თვისებებს ამჟავნებენ ინგლისელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

იზიდავთ გრანდიოზულობა.  
იზიდავთ პომპეზურობა.  
იზიდავთ ორიგინალურობა.  
იზიდავთ მჭევრმეტყველება.

**1532. რა არის ინგლისელთა იდეალი? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დამოუკიდებლობა, განათლებულობა.  
არაფორმალური ურთიერთობა.  
ღირსეულობა, ტაქტიანობა.  
მსოფლიო ბატონობა.

**1533. როგორ თვისებებს ამჟავნებენ ინგლისელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

თავაზიანობა.  
ნაკლებად პუნქტუალურობა.

მოხდენილი მანერები.  
იუმორის უქონლობა.

**1534. რა ახასიათებს ინგლისურ ბიზნესს?**

კასტურობა.  
გულახდილობა.  
ფინანსური რისკებისადმი მგრძობელობა.  
მზაკვრობა.

**1535. ინგლისელი ბიზნესმენისთვის ნიშანდობლივია: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ერუდიტულობა.  
ქველმოქმედება.  
პროფესიული მომზადება.  
აჩქარებულობა.

**1536. რა გრძობა აქვთ ინგლისელებს ძალიან განვითარებული?**

სამართლიანობა.  
იმპროვიზაცია.  
გულჩახვეულობა.  
გაუბედაობა.

**1537. როგორია ინგლისელთა პოზიცია მოლაპარაკებისას?**

მკაცრი.  
ჩქარი.  
ომპროვიზაციული.  
გაუბედავი.

**1538. რას ემყარება ინგლისელთა აზროვნების ყაიდა? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

ტრადიციასა და საღ აზრს.  
ჟღერადობას.  
გამოცდილებას.  
არაფორმალურ ურთიერთობას.

**1539. რას იყენებენ ინგლისელები მოლაპარაკებისას? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

იუმორს.  
იდიომებს.  
ირონიასა და სარკაზმს.  
ემოციებს.

**1540. რას ნიშნავს ინგლისელი ხელმძღვანელის რჩევა–ინსტრუქცია?**

თავაზიან ბრძანებას.  
რეკომენდაციას.  
მითითებას.  
არაფორმალურ ურთიერთობას.

**1541. რომელია იაპონელთა ეროვნული რელიგია?**

ქრისტიანობა.  
ისლამი.  
სინტოიზმი.  
ბუდიზმი.

**1542. რას ნიშნავს ჯიუ-ჯიტსუ?**

რელიგიას.  
მეცნიერებას.

ქადაგებას.

არაფორმალურ ურთიერთობას.

**1543. როგორია იაპონელ მეწარმეთა სტრატეგია?**

ნედლეულის იაფად ყიდვა და მისგან დამზადებული პროდუქციის ძვირად გაყიდვა.  
ნედლეულის ძვირად გაყიდვა და მიღებული შემოსავლებით ქვეყნის განვითარება.  
მზა პროდუქციის იმპორტი და მისგან დამზადებული ნედლეულის გამოყენება.  
იმპორტირებული პროდუქციის დაყოვნებული ექსპორტირება ანუ რეექსპორტი.

**1544. რამ მოახდინა იაპონელთა ეროვნულ ხასიათზე მნიშვნელოვანი გავლენა?**

კლიმატურმა პირობებმა.  
მეორე მსოფლიო ომში დამარცხების განცდამ.  
გამუდმებით ჩინელების შემოსევებმა.  
იმპერატორის კულტის გავლენამ.

**1545. რა თვისებები ახასიათებთ იაპონელებს? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

იუმორის გამმაფრებული გრძნობა.  
მაღალი ორგანიზებულობა.  
ფინანსური რისკებისადმი შიში.  
გულწრფელი თვითკრიტიკულობა.

**1546. როგორ წარმართავენ მოლაპარაკებას იაპონელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

აუჩქარებლად, ნელი ტემპით.  
შეტევით, აგრესიით.  
დასაწყისში მეორეხარისხოვანი, განყენებული საკითხების გარჩევით.  
წვრილმანი საკითხების მიჩქმალვით.

**1547. როგორ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იაპონელი ბიზნესმენი?**

დამოუკიდებლად.  
ბოსის აზრის გათვალისწინებით.  
თავშეკავებითა და მოთმინებით.  
ხელქვეითებთან ფაქიზი ურთიერთობით.

**1548. როგორ აძლევენ იაპონელი მენეჯერები ხელქვეითებს დავალებას?**

გასაკეთებელ საქმეს ფაქიზად მიანიშნებენ.  
ბრძანებას იძლევიან.  
შესრულებას ელოდებიან.  
ოფიციალურ გარემოში საჯაროდ უცხადებენ.

**1549. იაპონური საქმიანი ეთიკის ნორმებით, ვინ ითვლება მაღალი ზნეობის ადამიანად?**

ვინც თავის პოზიციაზე მყარად დგას.  
ვისაც კომპრომისი შეუძლია.  
ვინც ხელმძღვანელის ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებს.  
ვინც მეტ შემოსავლებს დააგროვებს.

**1550. როგორია მოლაპარაკების პროცესში იაპონელთა დამოკიდებულება რისკისადმი?**

თავის არიდებითი.  
გასათვალისწინებელი.  
მეორეხარისხოვანი.  
პრესტიჟული.

**1551. როგორ განიხილავენ იაპონელი ბიზნესმენები კონტრაქტს?**

როგორც უსათუოდ შესასრულებელ იურიდიულ დოკუმენტს.  
არა როგორც იურიდიულ დოკუმენტს, არამედ ურთიერთობის დამყარების საშუალებას.  
როგორც მეორეხარისხოვან დოკუმენტს.

როგორც მთავრობის დადგენილებას.

**1552. იაპონელთა აზრით, მოლაპარაკების წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია: (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

კარგად იცოდე საკუთარი და მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები.  
მყარად იდგე საკუთარი შეხედულებების დაცვაზე.  
სწორად შეაფასო საშინაო და საგარეო ფაქტორები.  
მეორეხარისხოვნად ჩათვალო პარტნიორის სურვილები.

**1553. რა ითვლება იაპონელებთან ქცევის ნორმად?**

შეუჩერებლად ლაპარაკი.  
შეტევითი ლაპარაკი.  
თავშეკავებულობა.  
ემოციური ლაპარაკი.

**1554. როგორია იაპონელების დამოკიდებულება ვერბალური ურთიერთობებისადმი?**

ნაკლებად ნდობითი.  
მეტად ფასეული.  
აუცილებლად საჭირო.  
თავაზიანი.

**1555. როგორი თვისებებით ხასიათდებიან ჩინელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

თავდაჭერილობა, გულწრფელობა.  
პომპეზურობა, საკუთარი ღირსებების წარმოჩენა.  
მომთმენობა, ტრადიციების ერთგულება.  
სიძლიერების დემონსტრირება

**1556. რომელმა რელიგიამ მოახდინა ჩინელების მენტალობის ფორმირებაზე გავლენა? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

სინტოიზმმა.  
დაოსიზმმა.  
ინდუიზმმა.  
დაოსიზმმა.

**1557. როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩინელებს კრიტიკისადმი?**

მიუღებელია.  
ჭეშმარიტების დადგენის საშუალებად მიიჩნევა.  
განვითარების აუცილებელ რესურსად ითვლება.  
არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**1558. რას ეფუძნება ჩინური სამართლებრივი სისტემა?**

კონფუციის მოძღვრებას.  
ლაო-ძის მოძღვრებას.  
ცინ ში-ხუნდის მოძღვრებას.  
მაო ძე დუნის მოძღვრებას.

**1559. რა როლს ასრულებს სამართალი ჩინეთში?**

მეორეხარისხოვან როლს.  
მოწინავე როლს.  
ღირებულებების დადგენის როლს.  
ქცევის წესის დაცვის როლს.

**1560. საკმიანი შეხვედრისას რაზე ამახვილებენ ყურადღებას ჩინელები? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე.

პომპეზურობაზე, საკუთარი ღირსებების წარმოჩენაზე.  
პარტნიორთა დელეგაციაში „მეგობრულ სულისკვეთებაზე“.  
საკუთარი სიძლიერების დემონსტრირებაზე.

**1561. რომელ საკითხებს ექვევება ყურადღება ჩინელებთან მოლაპარაკების პირველ ეტაპზე?  
(ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

განსახილველი საკითხების წინასწარი განხილვა.  
პოზიციების დაზუსტება.  
მაღალი სტატუსის მქონე პიროვნებაზე ორიენტაცია.  
პარტნიორის ქცევის მანერებზე.

**1562. რომელი ფრაზაა მართებული? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დასავლეთში მიიჩნევენ, რომ არაბული ქვეყნები ეკონომიკის აღმავლობის სიტუაციაში, რაც ნავთობის მარაგების გამოყენებით არის განპირობებული.  
დასავლეთში მიიჩნევენ, რომ არაბული ქვეყნები ეკონომიკური დაქვეითების სიტუაციაშია და დღევანდელი მდგომარეობა ნავთობის შემოსავლებით აქვთ განპირობებული.  
დასავლეთში ეკლესია სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია.  
ისლამის უმრავლეს ქვეყანაში რელიგია საზოგადოებაზე, პოლიტიკასა და ბიზნესზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს.

**1563. რომელი ფრაზაა მართებული? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დასავლეთში ადამიანის სტატუსი მისი მიღწევებით განისაზღვრება, არაბულ სამყაროში - წოდებრივი კუთვნილებით.  
დასავლეთში ადამიანის სტატუსი წოდებრივი კულთვნილებით განისაზღვრება, არაბულ სამყაროში კი - მისი მიღწევებით.  
დასავლეთში სწამთ ორგანიზაციისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, არაბებს კი ლიდერების, ხილული ღმერთების სჯერათ.  
დასავლეთში სწამთ ლიდერების, ხილული ღმერთების, ხოლო არაბებს - ორგანიზაციისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების.

**1564. რომელი ფრაზაა მართებული? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დასავლეთი სიახლის მომხრეა, არაბებს კი ტრადიციების დაურღვევლად თანამედროვე ფორმების დანერგვა უნდათ.  
არაბები სიახლის მომხრეები არიან, დასავლეთს კი ტრადიციების დაურღვევლად თანამედროვე ფორმების დანერგვა უნდათ.  
დასავლეთში პატივს სცემენ ძალას, არაბულ ქვეყნებში კი სუსტის დაცვას, გულმოდგინებას.  
დასავლეთის ქვეყნებში პატივს სცემენ სუსტის დაცვას, გულმოდგინებას, არაბულ ქვეყნებში კი ძალას.

**1565. რომელი ფრაზაა მართებული? (ერთი ან ორი პასუხია სწორი)**

დასავლეთში საქმიანი პროგრამების დასაწერად იყენებენ ოფიციალურ არხებს, ხოლო არაბებთან პირად კავშირებს.  
დასავლეთში საქმიანი პროგრამების დასაწერად იყენებენ პირად კავშირებს, ხოლო არაბულ ქვეყნებში ოფიციალურ არხებს.  
დასავლეთის წარმომადგენლები მოლაპარაკებაზე ლოგიკურ მოსაზრებებს ეძებენ, არაბები კი, პირად არგუმენტებს იშველიებენ.  
დასავლეთის წარმომადგენლები მოლაპარაკებაზე პირად არგუმენტებს იშველიებენ, არაბები კი, ლოგიკურ მოსაზრებებს ეძებენ.

**1566. როგორ წარმართავენ მოლაპარაკებას არაბები?**

ემოციურად, ხმამაღლა, რაც გულწრფელობის ნიშანია.  
მეთოდურად, გააზრებულად.  
თანამიმდევრულად, სკრუპოლუზურად.  
პუნქტუალურად, რელიგიური დოგმების გამოყენებით



1567. ვის ეკუთვნის ცნობილი შეგონება: „დრო ფულია“.  
 ბენჯამინ ფრანკლინს.  
 ჯორჯ ვაშინგტონს.  
 რონალდ რეიგანს.  
 თომას ჯეფერსონს.
1568. როგორ აღიქვამენ დროს იაპონელე  
 ციკლობრივად, ციკლურად.  
 ადაპტაციის მიზნით.  
 სარგებლის მისაღებად.  
 თავაზიანობის გამოსახატავად.
1569. როგორ აღიქვამენ დროს აფრიკელები?  
 გულგრილად.  
 პატივისცემით.  
 რეალურად.  
 შეზღუდულად.
1570. რასთან ასოცირდება ასაკი არაბულ და აზიურ კულტურებში?  
 სიბრძნესთან.  
 განახლებასთან.  
 მჩქეფარე ენერჯიასთან.  
 ტრადიციის შენარჩუნებასთან.
1571. რომელია მართებული ფორმულირება? დაბალი კონტექსტური კულტურებია:  
 გერმანელები, შვეიცარიელები, საკანდინავიელები, ამერიკელები.  
 გერმანელები, ბერძნები, საკანდინავიელები, ამერიკელები.  
 გერმანელები, შვეიცარიელები, არაბები, ამერიკელები.  
 გერმანელები, შვეიცარიელები, საკანდინავიელები, ჩინელები.
1572. რომელია მართებული ფორმულირება? მაღალი კონტექსტური კულტურებია:  
 ჩინელები, კორეელები, იაპონელები, არაბები.  
 ჩინელები, იტალიელები, იაპონელები, არაბები.  
 ჩინელები, კორეელები, ამერიკელები, არაბები.  
 ჩინელები, კორეელები, იაპონელები, შვეიცარიელები.
1573. რა თვისებებით ხასიათდებიან დაბალი კონტექსტური კულტურების ხალხი?  
 მოსაუბრეს ინფორმაციას ექსპლიციტური ანუ ღია ფორმით გადასცემენ.  
 მოსაუბრეს ინფორმაციას ფარულად გადასცემენ.  
 მოსაუბრეს ინფორმაციას წერილობით გადასცემენ.  
 მოსაუბრეს ინფორმაციას არავერბალურად გადასცემენ.
1574. რა თვისებებით ხასიათდებიან მაღალი კონტექსტური კულტურების ხალხი?  
 კომუნიკაციისას უპირატესობას არა სიტყვას, არამედ კონტექსტს (ვითარებას) ანიჭებენ.  
 კომუნიკაციისას უპირატესობას არა კონტექსტს (ვითარებას), არამედ სიტყვას ანიჭებენ.  
 კომუნიკაციისას უპირატესობას მიზნის მიღწევას ანიჭებენ.  
 კომუნიკაციისას უპირატესობას ფინანსურ რისკებს ანიჭებენ.
1575. რომელი კულტურა ითვალისწინებს ემოციების დაფარვას?  
 იაპონური.  
 ჩრდილოეთამერიკული.  
 ლათინურამერიკული.  
 ევროპული.

1576. რომელი კულტურა ითვალისწინებს მეთოდურად გადაწყვეტილების მიღებას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
ჩინური.
1577. რომელი კულტურა ითვალისწინებს იმპულსურად, სპონტანურად გადაწყვეტილებების მიღებას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
ესპანური.
1578. რომელი კულტურა ითვალისწინებს ღია ურთიერთობებს?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
ბერძნული.
1579. რომელი კულტურა ითვალისწინებს სადავო საკითხების სასამართლოს გზით გადაწყვეტას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
გერმანული.
1580. რომელი კულტურა ითვალისწინებს პარტნიორის სუსტი მხარეების ძიებასა და გამოყენებას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
ჩინური.
1581. რომელი კულტურა ითვალისწინებს კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილების ჯგუფურად მიღებას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
ფრანგული.
1582. რომელი კულტურა ითვალისწინებს პოლემიკაში ნაკლებად მონაწილეობას, სიმშვიდის შენარჩუნებას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
ინდური.
1583. რომელი კულტურა ითვალისწინებს თავმეუკავებლობას, პლემიკაში მონაწილეობას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.  
ავსტრალიური.
1584. რომელი კულტურა ითვალისწინებს საქმიანი დოკუმენტაციის მიმართ აკურატულ დამოკიდებულებას?  
იაპონური.  
ჩრდილოეთამერიკული.  
ლათინურამერიკული.

ჩინური.

**1585. რომელი კულტურა ანიჭებს საქმიან დოკუმენტაციას დიდ მნიშვნელობას?**

იაპონური.

ჩრდილოეთამერიკული.

ლათინურამერიკული.

ჩინური.

**1586. რომელი კულტურა იჩენს საქმიანი დოკუმენტაციის მიმართ მოუთმენელ დამოკიდებულებას?**

იაპონური.

ჩრდილოეთამერიკული.

ლათინურამერიკული.

ფინური.

**1587. რომელი კულტურა იყენებს გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი სისტემურ მიდგომას?**

იაპონური.

ჩრდილოეთამერიკული.

ლათინურამერიკული.

რუსული.

**1588. რომელი კულტურისთვის არის საბოლოო მიზანი - ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილება?**

იაპონური.

ჩრდილოეთამერიკული.

ლათინურამერიკული.

გერმანული.

**1589. რომელი კულტურისთვის არის საბოლოო მიზანი - მოგების მიღება ან ინდივიდის ინტერესების დაკმაყოფილება?**

იაპონური.

ჩრდილოეთამერიკული.

ლათინურამერიკული.

ესპანური.

**1590. რომელი კულტურისთვის არის ნიშანდობლივი დევიზი - „რაც კარგია ჯგუფისთვის, კარგია მისი თითოეული წევრისთვის“.**

იაპონური.

ჩრდილოეთამერიკული.

ლათინურამერიკული.

გერმანული.